საერთო გაზეთი

№5 (738)
ოთხშაბათი
14 თებერვალი,
2024 წ.
ფასი 1.50 ლ.

შალიკოს ფანჩატურიდან – სალომეს ბუდუარამდე



ლენინი რომ კომკავშირელებს შემოიკრებდა და სიტყვაში გამოდიოდა, ისეა ახლა ამ სალომეს საქმეც...

ვინ და რატომ აფინანსებს არასამთავრობო სექტორს

ელექტრონული წესით ჩატარებული არჩევნები დესტრუქციულ სცენარს გამორიცხავს

აფხაზებთან და ოსებთან საერთო ინტერესების პოვნით დაიწყება ჩვენი დაახლოების პროცესი

ისეთი განათლება, რომელიც კეთილდღეობაში არ გადაიზრდება, საჭირო არ არის!

ანაკლიის პორტის გავლით ტოკიოდან ლისაბონამდე

გამოსვლები ევროპაში და ორხელისუფლებიანობა აშშ-ში

რუსეთი – სახელად „სანქცია“

საქართველო „ვეფხისტყაოსანმა“ შექმნა

ირაკლი კობახიძე: დღეს ჩვენ გვჭირდება ეკონომიკის, თავდაცვის, განათლებისა და ჯანდაცვის სისტემების კიდევ უფრო მეტად გაძლიერება

12 თებერვალს ახალი მთავრობის პირველი სხდომა გაიმართა

ირაკლი კობახიძემ ირაკლი ღარიბაშვილს სამი წლის განმავლობაში მთავრობის მეთაურობისთვის მადლობა გადაუხადა, მთავრობის ახალ შემადგენლობას კი წარმატებები უსურვა.

„მოგესალმებით. დღეს იმართება მთავრობის პირველი სხდომა ახალი შემადგენლობით. მინდა, ყველას წარმატებები გისურვოთ. წინა წლების განმავლობაში ძალიან ბევრი რამ გაკეთდა თითოეული თქვენგანის მონაწილეობით, ჩვენი ქვეყნისთვის, ჩვენი ქვეყნის განვითარებისთვის და ამისთვის კიდევ ერთხელ მინდა, მადლობა გადაგიხადოთ. ასევე, კიდევ ერთხელ მინდა, მადლობა გადავუხადო ბატონ ირაკლი ღარიბაშვილს 3 წლის განმავლობაში მთავრობის მეთაურობისთვის და ძალიან ბევრი რამის გაკეთებისთვის ჩვენი ქვეყნისთვის.

რამდენიმე საკადრო გადაწყვეტილება მინდა გავაცნო საზოგადოებას. უკვე ცნობილია პრინციპში, რომ პირველი ვიცე-პრემიერის უფლებამოსილება დაეკისრება ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრს ბატონ ლევან დავითაშვილს, მას წარმატებები მინდა ვუსურვო. ქალბატონ თეა წულუკიანს, კულტურისა და სპორტის მინისტრს, დაეკისრება საქართველოს ვიცე-პრემიერის მოვალეობა, აგრეთვე, ბატონ ირაკლი ჩიქოვანს, თავდაცვის მინისტრს დაეკისრება საქართველოს ვიცე-პრემიერის უფლებამოსილება. გვაქვს ცვლილება, ასევე, მთავრობის ადმინისტრაციაში. მთავრობის სტრატეგიული კომუნიკაციების დეპარტამენტის უფროსი გახდება ბატონი მიხეილ ფეიქრიშვილი. თითოეულ თქვენგანს მინდა წარმატებები ვუსურვო“, – განაცხადა პრემიერ-მინისტრმა ირაკლი კობახიძემ.

„ზოგადად, ჩვენი ქვეყანა დგას სერიოზული გამოწვევების წინაშე. გვჭირდება ჩვენი ეკონომიკის სწრაფი განვითარება, დაწყებული მასშტაბური ინფრასტრუქტურული პროექტების ბოლომდე მიყვანა, გვჭირდება ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის, უსაფრთხოების კიდევ უფრო მეტად გაძლიერება, განათლების, ჯანდაცვის, სოციალური დაცვის სისტემების კიდევ უფრო მეტად გაძლიერება, ასევე, ზრუნვა კულტურაზე, სპორტზე, ახალგაზრდობის მიმართულებით, ასევე ჩვენი ქვეყნის საგარეო პოლიტიკური პოზიციების კიდევ უფრო მეტად გაძლიერება არის, ბუნებრივია, საჭირო.

იმისათვის, რომ მაქსიმალურ შედეგებს მივაღწიოთ, ჩვენი საქმიანობა, მთავრობის საქმიანობა უნდა ეფუძნებოდეს ძალიან მყარ პრინციპებს. პირველ რიგში, მიმაჩნია, რომ საქართველოს მთავრობა უნდა იყოს მაგალითის მიმცემი ყველასთვის, გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების თვალსაზრისით. ჩვენი თითოეული გადაწყვეტილება უნდა იყოს მაქსიმალურად ღია მოქალაქეებისთვის და იგივეს მოვითხოვთ ყველა სხვა სახელმწიფო უწყებისგან.

ასევე ჩვენ მუდმივად უნდა ვიზრუნოთ ჩვენს მიერ შესრულებული სამუშაოების ხარისხის მუდმივად გაუმჯობესებაზე, ხარვეზების მინიმუმამდე დასაყვანად უნდა გავაძლიეროთ ხარისხის კონტროლისა და ზედამხედველობის ყველა შესაბამისი მექანიზმი, იგივე ეხება საზოგადოებრივი მომსახურების ხარისხს, აქაც მინიმუმამდე უნდა დავიყვანოთ ჩვენი მოქალაქეების პრეტენზიები სერვისების ხარისხთან დაკავშირებით“.

„ჩვენ გვაქვს ძალიან კარგი შედეგები კორუფციასთან ბრძოლის თვალსაზრისით, კორუფციის სიმცირის თვალსაზრისით, რასაც ძალიან ბევრი საერთაშორისო კვლევაც ადასტურებს, თუმცა აქაც ვფიქრობ, რომ კიდევ უფრო მაღალი ამბიციები უნდა გვქონდეს და ჩვენ უნდა გვქონდეს იმის ამბიცია, რომ ამ თვალსაზრისით ვიყოთ მსოფლიოს მოწინავე ქვეყნებს შორის, რაც არის აბსოლუტურად რეალისტური ამოცანა. მთავარია, რომ აქტიურად ვიმუშაოთ ამ ყველაფერზე. ზოგადად, ჩვენ გვყავს ძალიან ძლიერი სამთავრობო გუნდი და, დარწმუნებული ვარ, რომ ერთად ძალიან მნიშვნელოვან შედეგებს მივაღწევთ. ყველაფერი არის ჩვენი მიზანდასახულობის, პრინციპულობის, თანმიმდევრული საქმიანობის, შრომისმოყვარეობის საქმე, რაც არც ერთ თქვენგანს არ აკლია. კიდევ ერთხელ მინდა გისურვოთ წარმატებები.დიდი მადლობა, შეგვიძლია, გადავიდეთ სამუშაო რეჟიმზე“.

„გასული კვირა იყო ძალიან მტკივნეული ჩვენთვის. სტიქიამ, ასევე უბედურმა შემთხვევამ იმსხვერპლა 14 ადამიანის სიცოცხლე. კიდევ ერთხელ გამოვთქვამ სამძიმარს დაღუპულთა ოჯახის წევრებისა და ახლობლების მიმართ. ადგილზე გავეცანი სტიქიის სალიკვიდაციო სამუშაოებს და მინდა აღვნიშნო, რომ, როგორც სახელმწიფო უწყებებმა, ასევე ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებმა, გააკეთეს ძალიან ბევრი რამ, იმოქმედეს ძალიან სწრაფად, ძალიან მალე აღდგა ელექტროენერგიისა და ბუნებრივი აირის მიწოდება ასეულობით სოფლისთვის, სადაც იყო პრობლემა სტიქიის გამო. ასევე სწრაფად გაიწმინდა საავტომობილო გზები, აღდგა საავტომობილო მოძრაობა შესაბამის მონაკვეთებზე. დაახლოებით 400 საცხოვრებელი სახლი იყო დატბორილი, სადაც 300-ზე მეტის შემთხვევაში დასრულდა ამოტუმბვის სამუშაოები. საბოლოო დასკვნის მომზადებამდე უსაფრთხო ადგილზე გადაყვანილია 296 ოჯახი. ასევე შეფასდა ზარალი, მზადდება სათანადო დოკუმენტაცია იმისათვის, რომ გაიცეს კომპენსაციები, ანაზღაურება შესაბამის ოჯახებზე. საჭიროების შემთხვევაში, ამისათვის ცენტრალური ბიუჯეტიდანაც იქნება გამოყოფილი რესურსები. მინდა, მადლობა გადავუხადო შესაბამის სამინისტროებს,ვინც ყველაზე აქტიურად იყო ჩართული სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო სამუშაოებში. ეს არის შინაგან საქმეთა სამინისტრო, რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო, გარემოს დაცვის სამინისტრო, ასევე მადლობა მინდა ვუთხრა მთავრობის ადმინისტრაციის რეგიონებთან ურთიერთობის დეპარტამენტს, ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებს, მაშველებს და ყველა იმ ადამიანს, ვინც ამ სამუშაოებში იყო ჩართული“, - განაცხადა პრემიერმა.

დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრი ირაკლი კობახიძეს თანამდებობაზე დანიშვნას ულოცავს

„ბატონო პრემიერ-მინისტრო! გულთბილად მინდა მოგილოცოთ საქართველოს პრემიერ-მინისტრის თანამდებობაზე დანიშვნა.

ვამაყობ, რომ დიპლომატიური ურთიერთობების აღდგენიდან 30 წელზე მეტი ხნის განმავლობაში ჩვენს ორ ქვეყანას შორის მეგობრობა უმაღლეს ნიშნულზეა. ჩვენი ურთიერთობის სიახლოვე ასახულია საქართველოსა და გაერთიანებულ სამეფოს შორის პარტნიორობისა და თანამშრომლობის შეთანხმებაში, რომელიც პოლიტიკურ, უსაფრთხოების, კომერციულ და კულტურულ კავშირებს მოიცავს, ისევე როგორც უორდროპის სახელობის ყოველწლიურ სტრატეგიულ დიალოგს.

კარგად ვიცი, რა ღრმა რეზონანსი აქვს უკრაინაში რუსეთის არაპროვოცირებულ და სასტიკ ომს ქართველი ხალხის ცნობიერებაში. ის მტკივნეულ მოგონებებს აღძრავს და შეუპოვრობის ისეთ გამოწვევებს აჩენს, რაც საქართველოს წინაშე დგას დღესდღეობით. დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, რომ გაერთიანებული სამეფო მტკიცედ დარჩება თქვენი მხარდამჭერი ქვეყნის სუვერენიტეტის, ტერიტორიული მთლიანობისა და რუსეთის აგრესიის წინააღმდეგ.

ჩვენთვის მუდმივი შთაგონების წყაროა საქართველოს ერთგულება თავისუფლებისა და დემოკრატიული ღირებულებებისადმი. მოხარული ვარ, რომ ჩვენი მთავრობები მჭიდროდ მუშაობენ რეფორმების განსახორციელებლად საქართველოს ევროატლანტიკური მისწრაფებების რეალიზებისთვის და თქვენი კიბერმედეგობის გაძლიერებისთვის რუსული ჰიბრიდული აგრესიის წინააღმდეგ.

ყოველივე საუკეთესოს და წარმატებებს გისურვებთ ახალ თანამდებობაზე და მოუთმენლად ველი თქვენთან მუშაობას ჩვენი პარტნიორობის შემდგომი გაძლიერების მიმართულებით“, - აღნიშნავს რიში სუნაკი.

შალიკოს ფანჩატურიდან - სალომეს ბუდუარამდე

სანამ ირაკლი კობახიძე არ აასრულებს დანაქადს, რომ მათი „ქართული ოცნების“ გუნდის პრინციპი მარტივია — არცერთი ნაცი არცერთ ორგანოში! და ამ პრინციპით არ იმოქმედებენ მომავალში, მანამდე ყოველთვის გავიმეორებთ, რომ ეს ანგლოსაქსური ქვეყნებიდან კალკირებული ორპარტიული სისტემა სხვა არაფერია, თუ არა ბურჟუაზიის საშუალება დიქტატურის შენარჩუნებისთვის და ის ვერასდროს ვერ უზრუნველყოფს მშრომელთა თავისუფლებას.

ორპარტიული სისტემა არ გამორიცხავს სხვა პარტიების არსებობას, მაგრამ ისინი სხვადასხვა მიზეზის გამო სახელმწიფოს მართვაში რეალურ მონაწილეობას არ იღებენ. ორპარტიული სისტემა უზრუნველყოფს ბურჟუაზიის ხელისუფლების შენარჩუნებას, იმის მიუხედავად, რომელი პარტია გაიმარჯვებს არჩევნებში, ამავე დროს, ჩნდება ყალბი დემოკრატიულობა და იწყება საარჩევნო ბრძოლა.

კაპიტალისტურ საზოგადოებაში ბურჟუაზია — არის გაბატონებული კლასი, რომლის ხელშიც არის სამუშაო იარაღი და საწარმოო საშუალებანი და რომელიც დაქირავებული შრომის ექსპლუატაციას ეწევა.

დღევანდელი მშრომელი ადამიანისთვის არაფერი შეცვლილა. გლეხი ისევ ცალკეა, დანარჩენი? ერთი პატარა მანუფაქტურა ვართ და თავზე აშშ და ევროკავშირი გვადგანან მკაცრ მაკონტროლებლებად...

მაშასადამე, არაფერი შემშლია და არც ის მეშლება, რომ დემოკრატიაში კი არა, კაპიტალიზმში ვართ გადავარდნილები, რადგან, დემოკრატია სახელმწიფო მართვის ისეთი ფორმაა, როდესაც მთელი ძალაუფლება უშუალოდ ხალხს ან მის წარმომადგენლებს ეკუთვნით, რომლებიც ხალხის ნებას ახმოვანებენ და ასრულებენ კიდეც.

დემოკრატია მმართველობის ფორმაა, სადაც იერარქიისა და პრივილეგიების ადგილი არ არის, ჩვენ და ყველა, ვინც დემოკრატიის არსებობით თავს იტყუებს, გაქანებულ კაპიტალიზმში ვართ, — რა პირდაპირი, წარმომადგენლობითი, კლასიკური, დამცავი, ხელშემწყობი და სახალხო დემოკრატია!

სწორედ ამიტომ, ყველა ნაცი პრივატიზებულ ადგილზეა კვლავ და იგივე ირაკლი კობახიძეც ვერ შეასრულებს პათეტიკურად ნათქვამს. შესაბამისად, გამუდმებულ რყევაში ვართ და ვიქნებით, ხან „შალიკოს ფანჩატურის“ ამბებს ვარჩევთ, ხან „სალომე ზურაბიშვილის ბუდუარისას“ და მომავალში, ალბათ, ვინმეს სახერხი გაგვიხდება გასარჩევი.



„ზურაბიშვილის ბუდუარს“ დიდი გარჩევა არც უნდა, ყველაფერი ხელისგულზე იდო იმთავითვე, მაგრამ ახლა, როცა დიდ გადარბენებს აქვს ადგილი დაშლილი სახით წარმოდგენილ კოლექტიურ „ნაცმოძრაობაში“, ერთგვარად, გასართობი მოგვეცა.

დიახ, გასართობი, რადგან, საქართველოში სასეიროდ იქცა პოლიტიკა, ორი-სამი პოლიტიკოსი ამინდს ვერ ქმნის, მხოლოდ სხვათა პოლიტიკის შესაბამისი დათქმავალდებულებების აღმასრულებელი ქვეყანა ვართ...

ჰოდა, მივიღეთ და გვაქვს ის, რაც გვაქვს — საქართველოს პრეზიდენტად წოდებულმა ქალმა, რომლის რეალური სახელია „არავინ“, კიდევ ერთხელ და, ალბათ, საბოლოოდ, პარლამენტის ტრიბუნიდან თავზე ლაფი წარმატებით დაისხა.

ამ ქალმავე, გაძალიანების გარეშე, პრემიერ-მინისტრის თანამდებობაზე ირაკლი კობახიძის დანიშვნის შესახებ განკარგულებას ხელი რომ მოაწერა, სიტყვად მიადევნა, „რათა სტიქიასთან საბრძოლველად არ შეიქმნას დაბრკოლება, დროულად გამოიცეს შესაბამისი აქტები და მოხდეს რეაგირებაო“.

სასეიროა, აბა, რა არის, როდესაც პრეზიდენტი განმარტავს, რატომ მოაწერა ხელი განკარგულებას. რა ვიცი, ნიკა გვარამიას შეწყალებას რატომ მოვაწერე ხელი, განმარტებას არ ვიძლევიო და ახლა რა განმარტება აუტყდა, როდესაც ბატონი კობახიძე მისი ხელმწერის გარეშეც გახდებოდა პრემიერი?

ამ ხელმოწერას, ერჩივნა, მანამდე მოეწერა ხელი გადადგომის შესახებ საკუთარ განცხადებაზე, სანამ „იხვის ჭუკი“ გახდებოდა, მაგრამ პოლიტიკაში ტივტივის დაუოკებელმა წყურვილმა სძლია. ისე, ტივტივი რა სახარბიელოა, მაგრამ ამ ქალს ყველაფერი ფეხზე ჰკიდია და ტივტივს რაღა უჭირს...

ხელი მოაწერა, მაგრამ ბოღმა გადმოასხა, თავისი ჩიქორთული მეტყველების იდენტური ჩიქორთულივე აზრებით, ყოფილ პრემიერს, ბატონ ღარიბაშვილს უკბინა. ისე მოიშველია ნიკო ნიკოლაძის თხზულებების რომელიღაც ტომიდან მისი ციტატა, თითქოს დნმ-ის ანალიზის პასუხი ხელში უკავია და დანამდვილებით იცის, რომ ნიკო ნიკოლაძე უდავოდ მისი წინაპარია. ირაკლი ღარიბაშვილმა თავისი სიტყვა თქვა პოლიტიკაში და კიდევ იტყვის, ეს ფუფალა კი დარჩება იმავე ბოლშევიკური სულისკვეთების მეწშევიკად.

ეს ქალი, ღარიბაშვილის ვითომ გასაქილიკებლად ნიკო ნიკოლაძის ნაზრევს რომ გვახსენებს, იმაზე რატომ არ ფიქრდება, თვითონ ვინ არის, რა სიცარიელის გროვაა — მასზე ხომ არც წარსულში, არც აწმყოსა და არც მომავალში ყასიდადაც არ იტყვიან იმ სიტყვებს: საქართველოს ისტორიაში რეზიდენტ პრეზიდენტად და მავანთა მსახურად დარჩება მხოლოდ.

არ ეცალა ფუფალას, საქართველოსთვის საავკაცო ინსტრუქციის გაცნობას დრო უნდა; შემდეგ, იმ ინსტრუქციის ქართულად გადაღეჭვას და აზროვნებაშეზღუდული დაპროგრამებული მავნებელთა რაზმისთვის ნაწილ-ნაწილ გადაცემასაც დრო უნდა, ამიტომ არ მიულოცა საქართველოს სტრატეგიულ პარტნიორს, ილჰამ ალიევს არჩევნებში გამარჯვება. ანდა, ძალიანაც კარგად ეცალა, უბრალოდ, მორიელივით სჭირს, ვერ გაასწორა კუდი, მორიგი მავნებლობა ჩაიდინა, რადგან ასეთი დუმილი, ფაქტობრივად, დემარშს ჰგავს. ილჰამ ალიევი მასავით შტერი არ არის, მიხვდება, რაშიც არის საქმე, რომ საქართველოს პრეზიდენტი კი არ ჰყავს, არამედ ასპიტი უზის უბეში, მაგრამ თვით ფაქტს რა ვუყოთ, ვინ მოწშენდს საქართველოს სალომე ზურაბიშვილის უნამუსობას?

ბოლო-ბოლო ნება დართეს, რომ მიელოცა, მაგრამ ეს ლამპარიც აღარ არის...

ამ ქალის ქცევები ყველა ზღვარს სცილდება...

გაპაპაჯორდა პრეზიდენტის სასახლეში და ლენინი რომ კომკავშირელებს შემოიკრებდა და სიტყვაში გამოდიოდა, ისეა ახლა ამ სალომეს საქმეც, მაგრამ დიდი და მნიშვნელოვანი განსხვავებაა სალომესა და ლენინის კომკავშირლებს შორის. ლენინის კომკავშირლებს საშობლო უყვარდათ, მხოლოდ უკეთესი სამშობლოს იდეით იყვნენ დაბოლილები; სალომეს კომკავშირლები კი ნამდვილად დაბოლილები ისედაც არიან და სამშობლო არ აქვთ. რა იდეა და რომელი სამშობლო, მთავარია, დაფინანსება ჰქონდეთ უხვად და პავლიკ მოროზოვს მამლის ყივილამდე ხუთჯერ გადაასწრებენ.. მოვკლავ დედას, დავახრჩობ მამას, „ნაცმოძრაობა“ თუ მომთხოვს ამას — სულ ესაა მათი იდეაც და სამშობლოც.

ფაქტი ჯერჯერობით ერთია — სალომე ოპოზიციას კი აქუჩებს, მაგრამ მათ ლიდერობას თითქოს არ უნდა აპირებდეს. ბოლო-ბოლო, მართლა შტერი კი არ არის ეს ქალი, იცის, რომ ე. წ. ოპოზიცია არჩევნებს ვერ მოიგებს და რაში სჭირდება მკვდარზე „ვენოკად“ აკიდება?

ახლა მხოლოდ ის არის საკითხავი, პრეზიდენტის რანგში ბოლო გაფართხალება რა ექნება, „ვივამედის პასაჟირის“ შეწყალება? სხვას რას უნდა ნიშნავდეს მისი განცხადება, ოპოზიციური ლიდერების დაწუნების დრო არ არისო? ნიღაბი აღარ აქვს ჩამოსახსნელი და ვის გაუკვირდება, რომც შეიწყალოს მაოხრებელი მავნებელი? ჩვენ კიდევ გვიკვირდა, რაც გვარამიამ რეზიდენტ ქალს უშვერი სიტყვები უძახა და სარეცელი უქექა, როგორ შეიწყალაო. ესენი იმთავითვე ერთნაირი უტიფრები ყოფილან და მათგან რა უნდა გაგვიკვირდეს.

ისე, კაცმა რომ თქვას, რატომ უნდა შეაწყალებინონ საკაშვილი ზურაბიშვილს, რა საჭიროა ორი ნარეზიდენტალ-ნაპრეზიდენტალი, მით უმეტეს, რომ იმავე „ნაცმოძრაობაში“ ნაწილს თვითონვე აღარ უნდა, რომ სახელგატეხილი საკაშვილის ქვეშევრდომად მოიაზრებოდეს. საკაშვილს ვინ ჩივის, „ნაცობა“ სამარცხვინო გაუხდათ და სახელების გადაკეთებაშიღა არიან...

სალომე ზურაბიშვილის დაანონსებული ახალი პარტიის მონახაზში ნათლად იკითხება კოლექტიურ „ნაცმოძრაობასთან“ ჩახუტება, მაგრამ პირველ-მესამე პრეზიდენტებმა მარგველაშვილი რატომ „ჩატეხეს“, ის ნაკლები მავნებელია, თუ ცოტა „წაიშტერებს ლოთი მამის პიროებებში“ და „ნიჩურტა“ აქვს?

ეს დაუმარხავი მკვდარი, „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“, რომელიც იმდენად არის უკვე გადასული ხრწნაში, რომ ნაფლეგად იფლეგა და უფრო და უფრო აუტანლად ყარს, ერთ სხეულად ვეღარასდროს აღდგება, მაგრამ რომც არავინ მარხავს? როგორც ჩანს, მესაფლავეს არ სცალია, ჯერ სხვებს ასაფლავებს და ეს ნაფლეთები ისევ თვითონვე აყრიან ერთმანეთს მიწას — ეს რა დამართათ ამ ერთმა კაცმა...

მამალი დაუშლელი „ნაცების“ გარდა, დანარჩენი ე. წ. ოპოზიცია, ჯერ ისევ ვარაუდშია, რას იზამენ საარჩევნოდ, ვისი ვიოლინო ვის როიალში იქნება, მაგრამ მაინც მჯიღს იცემენ გულზე, 5%-იანი ბარიერის გადალახვა რა პრობლემააო.

მალევე გახდება ცნობილი, ნიკა მელია იქნება ნიკა გვარამიაში თუ პირიქით, მაგრამ რა მნიშვნელობა აქვს, გვარამია მაინც საკაშვილის რეჟიმის სისხლიან იდეოლოგად დარჩება და მელია ჩვეულებრივ ნაცად, მათ გარდა კი, როცა ყველამ კარგად იცის, ვინ ვისაშია, გინდ „ლელო“ დაირქვან და გინდ „ჩელო“, გინდ „გახარიას პარტია“ და გინდა — მომიხარიასი.

„ნიკა მხსნელი“! „ნიკა სტრატეგი“!

ნიკა გვარამიას ხომ გენიოსის ტიტული დაადგეს, დიდი ხანია და თუ ვერ ჩაწვდით მის გენიოსურ სვლას, აგერ, გაგარკვევთ გლობალური პოლიტიკის მეტრი, სექტისგან განდგომილისებრი მეგი გოცირიძე სეფე-სიტყვაში, თუმცა ვის მიმართავს, „ნაცმოძრაობის“ რომელ განაყარს, ვერ მივხვდი: „როგორ შეიძლება, თავს თვლიდე სამართლიან ადამიანად, მიგაჩნდეს, რომ ელემენტარულად მაინც ერკვევი პოლიტიკაში და არ გიხარიოდეს ნიკა გვარამიას პოლიტიკაში იმ ფორმით შემოსვლა, როცა იმ სეგმენტის დარწმუნებას უნდა შეუწყოს ხელი და თავისკენ წაყვანას, ვისაც არც მიშა უნდა და არც ბიძინას ოცნება, რაც საერთო ჯამში 20%-ზე მეტია და რაც სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია „რუსული ოცნების“ დასამარცხებლად ერთი და პირდაპირპროპორციულია მიშას ტყვეობიდან დახსნისა — ორი!

P.S. ვინც ამ პოსტის ქვეშ გვარამიას დამუნათებას გადაწყვეტთ, აქვე შეგახსენებთ, რომ გვარამიას რაც აქვს მიშას ტყვეობის წამიდან მისთვის გაკეთებული და მისი პარტიისთვის მანამდეც, მეათასედიც არ გაგიკეთებიათ თქვენ და მეტიც, სწორედ მიშას გამოც დააპატიმრეს მათ შორის ნიკა!

ჰოდა, მაპატიეთ თუ სექტას ვერ დავემსგავსები თქვენი ხათრით, ვისაც საერთოდ არაფერი გაგეგებათ არც გლობალური პოლიტიკის, არც რეგიონალურისა და არც ქვეყნის... კრიტიკოსებო და „ყველაფერშიკებო“, მოდი გამოიყვანეთ მიშა ციხიდან, ჩართეთ ღია პოლიტკაში და მერე ნახეთ გვარამია სად დადგება და ვისთან ერთად იბრძოლებს საქართველოსთვის“.

აქეთ, „ვივამედიდან“ ნაზიარები გინესის რეკორდსმენობის კანდიდატი, ცოცხალი მკვდარი აძლევს მითითებებს თავის „უძლეველ არმადას“ და მათ შორის, სალომესაც, იპოდრომი აღარ არის იქ და იმ სახით, შენ რომ „ქადყების წასვლა“ იწინასწარმეტყველე, დიდო სიბილავ, მაგრამ რუსთაველის პროსპექტი ადგილზეაო. ვაი, შენ, ჩემო სვედამწვარო ჩანჩურა, სალომეს გამოყვანილი ხალხის იმედზეღა რომ დამდგარხარ, ქალმა ევროკავშირის დროშის ევროპის მოედანზე გასასეირნებლად ორას კაცს ძლივს მოუყარა თავი...

ამათ თავისი იდარდონ, მე ჩემი მაქვს სადარდებელი — როდემდე უნდა გაგრძელდეს და რა ეშველება იმ ქვეყანას, სადაც პრეზიდენტი, ყოფილი პრეზიდენტი, ყოფილი პრემიერი, ყოფილი სახალხო დამცველი და ა.შ. ყოფილი თანამდებობის პირები საკუთარ ქვეყანას მტრობენ და მისი უფსკრულში დანთქვა უნდათ? სად არის ის კანონი და ვინ მოიტანს მას, რაც ამ სავალალო ბედლამს დაალაგებს?

მაია ჭელიძე

ანაკლიის პორტის გავლით ტოკიოდან ლისაბონამდე



გვესაუბრება მოძრაობა „ხალხის ძალის“ წევრი ДАВИТ ქართველიშვილი:

- ქვეყნის ახალმა პრემიერ-მინისტრმა ირაკლი კობახიძემ სამთავრობო პროგრამა საკმაოდ ამბიციური გეგმებით წარმოადგინა. ნული პროცენტი ოკუპაცია და ნული პროცენტი სიღარიბე არის მრავალ პრიორიტეტთა შორის პირველ ადგილზე. თქვენ რას გამოარჩევდით ამ პროგრამიდან?

-ახალი პრემიერ-მინისტრი განაგრძობს თავისი წინამორბედის წარმატებულ საქმიანობას. ერთმა ირაკლიმ წარმატებული „სტარტაპი“ დატოვა სამთავრობო ველზე, მეორე ირაკლიმ კი - თითქმის 60-პროცენტიანი რეიტინგის მქონე პარტია, რომელსაც წლევანდელ არჩევნებზე ძალიან კარგი შანსი აქვს, საკონსტიტუციო უმრავლესობა მოიპოვოს. ამისათვის კი საჭიროა, მოვლენები ისეთივე სტაბილურ კალაპოტში განვითარდეს, რასაც ამ ქვეყანაში ერთიან გუნდად ჩამოყალიბებული „ქართული ოცნების“ ხელისუფლება და, მათ შორის, ჩვენი საზოგადოება „ხალხის ძალა“ვქმნით. უნდა შევინარჩუნოთ, პირველ რიგში, მშვიდობა და საკმაოდ მაღალი ეკონომიკური ზრდის ტემპი. სამთავრობო გეგმით გათვალისწინებული პერსპექტივების ერთ-ერთი მთავარი ნაწილი იქნება, ამ წლის გაზაფხულზე საპროექტო-სატენდერო პროცესების დასრულება ანაკლიის ღრმაწყლოვანი პორტის მშენებლობასთან დაკავშირებით. უკვე საბოლოოდ გამოვლინდება ინვესტორი კომპანია, რომელიც ამ მშენებლობას დაიწყებს და, იმედია, ოპტიმალურ დროშიც დაასრულებს. იმ რეალობის ფონზე, რაც უკრაინაში მიმდინარე რუსეთ-დასავლეთის სამხედრო დაპირისპირებამ შექმნა, მსოფლიო ნელ-ნელა ახალ კონფიგურაციაზე გადავა. უნდა შეიქმნას მრავალვექტორულ ურთიერთობებზე დაფუძნებული ახალი მსოფლიო წყობილება. ზუსტად ამ გლობალური პროექტების შუაში ვართ ჩვენ, არამხოლოდ როგორც დერეფანი, არამედ, როგორც გზაჯვარედინი. ანაკლიის პორტის მშენებლობის დასრულება კი მოგვცემს საშუალებას, ტოკიოდან ლისაბონამდე, ჩვენზე გამავალი გზით, ტვირთბრუნვა წელიწადში 100 მილიონ ტონამდე გავზარდოთ, რაც დამატებით სამუშაო ადგილებს და დამატებით ეკონომიკურ სარგებელს მოუტანს ჩვენს თითოეულ მოქალაქეს.

მეორე აუცილებელი ხაზი არის ის, რაზეც ჯერ კიდევ ირაკლი ღარიბაშვილმა ისაუბრა 30 დეკემბერს - ბიძინა ივანიშვილის პოლიტიკაში დაბრუნების ერთ-ერთი მთავარი ამოცანა იქნება საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის დამაგვირგვინებელი მონაწილეობის მიღება და ქვეყნის მომზადება გამთლიანებისთვის. ირაკლი კობახიძის ხელმძღვანელობით ჩვენი სამთავრობო გუნდი ამ კურსს წარმატებით გააგრძელებს. სამშვიდობო პროცესების გავლით და სტრატეგიული პარტნორების ხელშეწყობით, იმედია, გაისად ჩვენი სანუკვარი ისტორიული ამოცანა მკვდარი წერტილიდან დაიძვრება და აფხაზ და ოს ძმებთან ინტეგრაციის პროცესი დაიწყება.

დანარჩენი წინა წლებში დაწყებული მუშაობის წარმატებული გაგრძელება იქნება. ფაქტობრივად, საერთაშორისო ბრენდად ქცეული ირაკლი ღარიბაშვილის, ორგზის პრემიერის პოპულარობა და პიროვნული რეიტინგი მოსახლეობაში ძალიან მაღალ ნიშნულზეა. მისი უშუალო ჩართულობით და ხელმძღვანელობით, 26 ოქტომბრის საარჩევნო პროცესების გამარჯვებით დაგვირგვინება მოგცემს შესაძლებლობას, მომდევნო მოწვევის პარლამენტში კიდევ უფრო დავასუსტოთ მავნებელი რადიკალური დესტრუქციული ძალების წარმომადგენლობა.

- როგორ გესახებათ, ზოგადად, პარლამენტის წევრების როლი იმ ყველაფრის შესრულებაში, რაც მთავრობის პროგრამაშია გათვალისწინებული?

- პარლამენტმა ხელი უნდა შეუწყოს სამთავრობო გუნდის წარმატებულ მუშაობას იმ საკანონმდებლო ცვლილებებით, რომლებიც საჭიროა საზოგადოების გაჯანსაღების, საზოგადებაში მავნე პროცესების მინიმალიზაციის მიზნით. არ შეიძლება თითოეული დესტრუქციული ქმედება, როგორიცაა, მაგალითად, ჩვენი სიწმინდეების შეურაცხყოფა, დაინტერესებულმა მხარემ ბოროტი მიზნებისათვის გამოიყენოს და შექმნას საზოგადოებრივი მღელვარება. ამიტომ, თუ არ არსებობს ჩვენს კანონმდებლობაში მორწმუნე ადამიანის გრძნობების შეურაცხყოფისგან დაცვის მექანიზმი, ეს მექანიზმი აუცილებლად უნდა შეიქმნას. პარლამენტს შეუძლია, საზოგადოების ხშირი მღელვარების საგანი მოაქციოს ისეთ ჩარჩოში, რომელიც დეზინფორმაციასთან ბრძოლას სისხლის სამართლებრივ პასუხისმგებლობას მიუსადაგებს. ნებისმიერი მხარე, არა აქვს მნიშვნელობა, მმართველი გუნდიდან იქნება ეს თუ ოპოზიციიდან, თუკი საზოგადოებრივი მღელვარების გრადუსის ასამაღლებლად სიცრუეს ან ცილისმწამებლურ ინფორმაციას გამოიყენებს, სასტიკად უნდა დაისაჯოს. ასჯერ უნდა დაფიქრდნენ მანამ, ვიდრე რამეს იტყვიან, ან რამეს მოიმოქმედებენ! რაც შეეხება ეკონომიკური გუნდის გაუმჯობესებას, თუ რაიმე ნაკლოვანება არსებობს ამ კუთხით ჩვენს კანონმდებლობაში, პარლამენტარმა ამაზეც უნდა იზრუნოს. წარმატება მინდა ვუსურვო როგორც ამ მოწვევის, ასევე მომავალი მოწვევის პარლამენტის მუშაობას.

- ოპოზიციის შეცვლილი ტონი, ალბათ, თქვენც შენიშნეთ. ახალ პრემიერ-მინისტრს აქებენ, განათლებასა და ინტელექტს უწონებენ... მათი ეს საქციელი გულწრფელია თუ იძულებით არის გამოწვეული?

- ისინი ამჯერადაც დამკვეთების დავალებას ასრულებენ. აგენტოკრატებმა, რომლებიც, ეგრეთ წოდებული, ოპოზიციის თითოეულ ნაბიჯს მართავენ საქართველოში, ძალიან კარგად გააანალიზეს, რომ პროცესების რადიკალიზაციის მცდელობამ ვერ „გაამართლა“. მათ მიერ მართულმა მარიონეტებმა ვერ გამოიყვანეს ხალხი ქუჩაში, ვერც გადატრიალება და რევოლუცია მოაწყვეს. ამ გზის გაგრძელება უკვე კონტრპროდუქტიული იქნებოდა მათთვის და ამ კონკრეტული მარიონეტებისთვისაც. ამიტომ ტაქტიკა შეიცვალეს და გადაწყვიტეს, „დავარცხნილი“ ოპოზიციის როლი ითამაშონ. რადიკალები, რომლებმაც ცესკო-სა და პარლამენტის შენობების შტურმით და მოლოტოვის კოქტეილების სროლით დაგვამახსოვრეს თავი, დღეს კოხტად შარვალ-კოსტიუმში გამოწყობილები, მორჩილი ოპოზიციის როლს თამაშობენ. ეს იმიტომ, რომ იქნებ პროცესს მთლიანად არ ჩამოშორდნენ და მომავალი მოწვევის პარლამენტი მთლიანად მოქმედი ხელისუფლების წარმომადგენლებს არ დაუტოვონ. ეს არის მათი პატრონების, მათი აგენტოკრატების პროგრამა-მინიმუმი 26 ოქტომბრამდე. არჩვნების შემდეგ კი, თუ ისე არ განვითარდა მოვლენები, როგორც ჩაფიქრებული აქვთ, უნდა ველოდოთ იგივე პროცესების განმეორებას, რაც არაერთხელ გვინახავს - ბოიკოტს და საბოტაჟს!

- კი ვთქვით, რომ მიზეზთა გამო ტონი შეიცვალეს, მაგრამ მათი მეთაური „ვივა-მედის“ პაციენტი თავის გუნდს დღესაც ქუჩის აქციებისა და დესტაბილიზაციისკენ მოუწოდებს. როგორც ჩანს, ბოლომდე აპირებს ბრძოლას...

- არის მცდელობა, რომ ჩვენი ნორმალური მდგომარეობა ფსიქიატრიული აშლილობის კალაპოტში გადაიყვანონ. ჩემთვის ძალიან სამარცხვინოა, რომ ამ ქვეყნის ნორმალური ადამიანები ჯიუტად არ ვიმჩნევთ, რომ მიხეილ სააკაშვილი არის უცხო ქვეყნის მოქალაქე, რომელსაც საქართველოს კონსტიტუციით ეკრძალება რომელიმე ადგილობრივი პარტიის სათავეში მოექცეს და ამ პარტიის სახელით პოლიტიკური პროცესები მართოს. მას კი პერიოდულად ასახელებენ ქვეყნის მომავალი პრემიერ-მინისტრის პოზიციაზე. ჩვენ ამას „არ ვიმჩნევთ“ და თითოეულ მის შიზოფრენიულ-პარანოიდულ გაფრენაზე კომენტარს ვაკეთებთ ისე, თითქოს ის საქართველოს მოქალაქე და პოლიტპატიმარია, რომელიც უკანონოდ იხდის სასჯელს. გამოდის, რომ ჩვენ ამ ფსიქიატრიული ხასიათის თამაშებში არათუ ვმონაწილეობთ, მთავარი გმირებიც ვართ ჩვენი კომენტარებით.

- რამდენიმე დღის წინ სალომე ზურაბიშვილი პარლამენტში ყოველწლიური მოხსენებით წარსდგა, სადაც კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ „სადაც არ უნდა გათხარო, ყველგან შეიძლება გათხარო“... ანუ, მისი რიტორიკა უცვლელია. პარალელურად, შექმნა პლატფორმა „ევროპული მომავლისათვის“...

- ესეც იმ დავალების ნაწილია, რის შესასრულებლადაც სალომე ზურაბიშვილი ქართულ პოლიტიკაში „აღმოცენდა“. რაც დრო გადის, უფრო მყარად ვენდობი ჩემს მიერ გამოთქმულ ვარაუდს, რომ, დიდი ალბათობით, სალომე ზურაბიშვილი შემოგზავნილი იყო ჩვენს განახლებულ პოლიტიკურ სივრცეში ჯერ კიდევ 2004 წელს, როგორც პროექტი „მიშა-2“. უმოკლეს ვადაში გაითამაშეს მისი „სანაცეთიდან“ მოჩვენებითი, დემონსტრაციული გამოყვანა და „ღრმა კონსერვაციის აგენტურის“ კატეგორიაში გადაყვანა. კოჰაბიტაციის პერიოდის შემდგომ დაიწყო მისი მხრიდან ჩვენი საზოგადოების შეცდომაში შეყვანის ეტაპი, როდესაც ზურაბიშვილის ფბ-აქტიურობა ძირითადად დაკავშირებული იყო „ნაცსექტის“ მხილებასა და სააკაშვილის რეჟიმის კრიტიკასთან.

2018 წელს აგენტოკრატებისთვის შეიქმნა იდეალური ვითარება, როდესაც საპრეზიდენტო არჩევნებში ვაშაძე გაიმარჯვებდა თუ ზურაბიშვილი - სიღრმისეულ მნიშვნელობას არ წარმოადგენდა. პირობითი ოპერაცია „მიშა-2“-ის ეს მონაკვეთი აგენტოკრატებმა პირნათლად მოიგეს.

2020 წლისთვის დაიწყო ამ სავარაუდო ოპერაციის კულმინაციის მომზადება „ღრმა კონსერვაციიდან“ აგენტის გამოყვანის სახით. ზურაბიშვილმა ერთი მეორის მიყოლებით დაიწყო პატიმრობიდან „ნაცმოძრაობის“ ავანგარდის გარეთ გამოყვანა: ბატურინი, რურუა, უგულავა, ოქრუაშვილი, გვარამია.

ვინაიდან აგენტოკრატების დავალების შესასრულებლად თავისუფლებაზე მყოფი სააკაშვილი, ესტაფეტაში ჩართული ზურაბიშვილის ფონზე არც არის საჭირო - მის ამნისტირებასაც აზრი არა აქვს, ნაცების „მესამე პრეზიდენტის“ ირგვლივ იმ პოლიტიკური ძალების კონსოლიდირების მიზნით, ვისთვისაც სააკაშვილი მიუღებელ ფიგურას წარმოადგენს.

მეორე ყველაზე ამაზრზენი ის იყო, რომ ზურაბიშვილი დაუფიქრავად აჰყვა, ეგრეთ წოდებული, რუსული კანონის გარშემო ატეხილ დეზინფორმაციულ ბრძოლას საკუთარ მოსახლეობასთან. წარმოიდგინეთ, მარტის აქციების დროს უბედური შემთხვევა რომ მომხდარიყო და ამ სამარცხვინო ქალის მიერ შეცდომაში შეყვანილ რომელიმე ახალგაზრდას რაღაც მოსვლოდა, იქნებოდა თუ არა იმ უბედურების თანამონაწილე და ორგანიზატორი სალომე ზურაბიშვილი? - აუცილებლად იქნებოდა.

ეს არის სამარცხვინო ქალი,

13 გვ.

მსოფლიო ჟანდარმის ზეწოლას ივანიშვილმა ღირსეულად გაუძლო

გვესაუბრება „ქართული დასის“ დამფუძნებელი ჯონდი ბაღათურია:

— ბატონო ჯონდი, ქვეყანას ახალი მთავრობა და პრემიერი ჰყავს. ირაკლი კობახიძეს მდიდარი საპარლამენტო გამოცდილება აქვს. თქვენი აზრით, რა ეტაპზე გადადის მთავრობისა და პარლამენტის ურთიერთობა?

— ვფიქრობ, დიამეტრულ ცვლილებებს არ უნდა ველოდოთ, რადგან მთავრობიდან მხოლოდ ერთი მინისტრი ჯუანშერ ბურჭულაძე შეიცვალა. მას ახალგაზრდობიდან ვიცნობ, მრავალშვილიანი მამა, წესიერი, კვალიფიციური, პატიოსანი ადამიანია. ჩემი აზრით, დიამეტრული ცვლილებები საჭირო არც არის, რადგან ბოლო ორი წელია, ხელისუფლება აბსოლუტურად ადეკვატურად იქცევა. მისი გადაწყვეტილებები აშკარად სახელმწიფოებრივი ინტერესებიდან გამომდინარეობს, რასაც მივესალმები.

პოლიტიკაში პირდაპირ გამოჩნდა ბიძინა ივანიშვილი, როგორც სიმძიმისა და მიზიდულობის ცენტრი. უკვე 12 წელია, მის მიერ განხორციელებულ სვლებს ვაკვირდები და მინდა გითხრათ, რომ იგი ძალიან ჭკვიანია. თუ სახელმწიფოებრივად აზროვნებ, შეუძლებელია, ეს არ გახარებდეს. მე ეს მახარებს, რადგან, როცა ისეთ ჭკვიან კაცთან გაქვს საქმე, როგორიც ივანიშვილია, ერთგვარი სტაბილურობის განცდა გეუფლება. მეორე მხრივ, ივანიშვილი, ყველაფერთან ერთად, ზნეობრივი ადამიანი აღმოჩნდა, რაც ბოლო თორმეტმა წელმა დაგვანახვა — მის მიერ პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღება უდიდესი ზეწოლის ფონზე ხდებოდა. აქ გამოჩნდა არა მარტო მისი სიმხნევე და გამბედაობა, არამედ მთავარი — მან ქვეყანა არ გაყიდა. თუმცა, ამის გაკეთება შეეძლო, ცდუნებაც დიდი იყო. ძალიან ცოტა ვინმე მეგულება, ისეთ ზეწოლას რომ გაუძლოს, რასაც ივანიშვილმა გაუძლო მატერიალური თუ მორალური კუთხით. ყველგან მას ლანძღავენ აბსოლუტურად უსამართლოდ და უსინდისოდ. მისი მისამართით სალანძღავ სიტყვებს არც ოპოზიცია იშურებს. ეს ხომ ოპოზიცია კი არა, ნახირია. ზეწოლაში ამ ნახირს არ ვგულისხმობ. ივანიშვილს კოლექტიური დასავლეთი აშანტაჟებდა. მათთან ხუმრობა არ შეიძლება. ის შურისმაძიებელი, რევანშისტული, მსოფლიოში ნომერ პირველი ძალაუფლებაა, თუმცა ბოლო დროს ძალიან დასუსტდა. კოლექტიური დასავლეთი მსოფლიო ჟანდარმია. მსოფლიო ჟანდარმერიის ზეწოლას ივანიშვილმა ღირსეულად გაუძლო და კიდევ უნდა გაუძლოს. მას და სახელმწიფოსაც სხვა არჩევანი არც ჰქონდათ. თუ შენი ქვეყნის ღირსეული შვილი ხარ, სხვა არჩევანი ვერც გექნება. ივანიშვილმა მეორე არჩევანს — ქვეყნის გაყიდვას, დაღუპვას ხელი არ მოაწერა. ეს ძალიან დასაფასებელია, რაც ხმამაღლა უნდა ითქვას. ეს ქვეყნის ისტორიაში ოქროს ასოებით ჩაიწერება. რაც მთავარია, ღმერთი ყველაფერს ხედავს. პრინციპულად წინააღმდეგი ვარ უმადურობის. მშვიდობიანი დილა რომ გვითენდება და თავზე ბომბები არ გვაცვივა, მადლიერი არ უნდა ვიყოთ?! ვფიქრობ, ყველა ნამუსიანი კაცის ადგილი სწორედ ივანიშვილის გვერდითაა. გავიხსენოთ, 2008 წელს სააკაშვილმა როგორ გაყიდა ქვეყანა და როგორ იქცევა ივანიშვილი ზეწოლის მიუხედავად. მათ შორის კოლოსალური სხვაობაა.

— გუნდის ერთიანობაში რა როლი აქვს ივანიშვილს?

— ივანიშვილმა შენიშნა, რომ პარტიის შიგნით ერთიანობა მყარი არ იყო, რაც კარგად გამოჩნდა, როცა პარლამენტი გრანტების შესახებ კანონპროექტს იხილავდა. ეს იყო სიგნალი, რომ, შესაძლოა, სიტუაცია შიგნიდან აყირავებულიყო, რაც ივანიშვილმა იგრძნო. მაშინ პრობლემა თვალნათლივ გამოიკვეთა. სერგეენკო ივანიშვილთან დაახლოებული პირი, სანდო ადამიანი გახლდათ. გახსოვთ, რა თქვა მან კანონპროექტის განხილვისას, ხმას ვერ მივცემ, რადგან ვერ გავერკვიეო. ეს დამაჯერებლად არ ჟღერს. იგი საკმაოდ კვალიფიციური პიროვნებაა და ამ კანონში გარკვევა მისთვის რთული არ უნდა ყოფილიყო. სერგეენკო შინაგანად წესიერი კაცია და მეტი ვერ თქვა. როგორც ჩანს, იგი ან მისი ოჯახის წევრი რაღაცნაირად გრანტებზე იყვნენ დამოკიდებულნი. მმართველი გუნდიდანაც ბევრი ლიდერის ოჯახი იყო ამ გრანტებით პირადად დაინტერესებული, ზოგის ოჯახის წევრი აქციაზეც კი იდგა. ორასი-სამასი ადამიანი კვერცხებს და ქვებს რომ ისროდნენ, როგორ გგონიათ, ქვასროლიებმა შეაჩერეს ეს სახელმწიფოებრივად მნიშვნელოვანი კანონი?! — „ქართული ოცნება“ შიგნიდან ბზარის გაჩენას მოერიდა. ამ კანონპროექტს მხარს ვუჭერდი.

პრობლემა შიგნით „ქართულ ოცნებაში“ აღმოჩნდა. სწორედ ამ პრობლემამ დამარწმუნა, რომ ქვეყანა ამ კანონის გარეშე ცხოვრებას ვერ გააგრძელებს. ხომ ხედავთ, ქვეყნის კონსოლიდირებულ ხელისუფლებაზეც როგორი ზეგავლენა იქონია გრანტების კანონმა. ჩემთვის გასაკვირი იყო ამ საკითხზე რისმაგ გორდეზიანის პოზიცია. ქვეყნის ღალატი, ბოლოს და ბოლოს, შიმშილის გამოც არ ღირს. იგი ბარიკადის იმ მხარეს აღმოჩნდა, სადაც ქვეყნის მტრები დგანან.

— ბატონო ჯონდი, რა გამოწვევების წინაშე დგას ახალი პრემიერი?

— კობახიძის გამოსვლას მოვუსმინე და მინდა გითხრათ, რომ ძალიან კმაყოფილი დავრჩი. მან მთავარი აქცენტი მშვიდობაზე გააკეთა. ბევრი საინტერესო რამ ილაპარაკა. კობახიძემ აღნიშნა, რომ აფხაზებთან და ოსებთან ურთიერთობები მშვიდობიანი გზით უნდა დავალაგოთ. აფხაზები ჩვენი ხალხია. აფხაზეთი ჩვენ თვითონ ვართ. ისინი ქართველები არიან. ეს იყო ომი საკუთარი თავის წინააღმდეგ. რაც შეეხება ოსებს, ასეთი ათასწლოვანი მოკავშირე ერი საქართველოს არ ჰყოლია. ქართველი უფლისწული ოსეთის მეფის კარზე იზრდებოდა. ოსებთან ომი დებილიზაციის მაჩვენებელია. ამის გაკეთება არაფრით არ შეიძლებოდა. მხოლოდ ქართულ მხარეს როდი ვამტყუნებ, ოსებსაც ბევრი შეეშალათ და ჩვენც. ორ ძმას შორის მიწის გაყოფის კონფლიქტში ორივე მტყუანია. დიახ, ორთავე მტყუანები ვართ ომის შემთხვევაში და ორთავე მართლები ვიქნებით ძმობის აღდგენის შემთხვევაში. აფხაზებსაც და ოსებსაც ქართველებთან მშვიდობა სჭირდებათ და პირიქით.

— მთავრობის დამტკიცებამდე ორი დღით ადრე პარლამენტში პრეზიდენტს უსმენდნენ. რა იყო მისი გამოსვლა — კრიტიკა თუ ქვეყნის მტრობა?

— ეს სულელური, უპასუხისმგებლო, ბრიყვული გამოსვლა იყო. ზნეობრივად, მორალურად სჯობს ,არც შევაფასო. იგი აბსოლუტურად მოწყვეტილია რეალობას, გაკაპასებული, განაწყენებულია და საკუთარ სნობიზმს და ამპარტავნებას ველარ მალავს. როცა პრეზიდენტი გქვია, რაღაცას ხომ უნდა გაუფრთხილდე და მით უმეტეს, საკუთარ ქვეყანას. მაგრამ ეს ხომ მისი ქვეყანა არ არის.

— მთავრობის დამტკიცებისას ოპოზიცია უჩვეულოდ კონსტრუქციული იყო — არც ილანძღებოდა, არც ყვიროდა, არც ბრალდებებს უყენებდა ხელისუფლებას. რა სტრატეგია აირჩიეს, ასეთი გარდაქმნა საარჩევნო პიარსტრატეგიის ნაწილი ხომ არ არის?

— მე ასეთი კარგი წარმოდგენა არ მაქვს საპარლამენტო ოპოზიციაზე, რომ მეგონოს, ისეთი ინტელექტუალური რესურსი აქვთ, რაღაც სტრატეგიას იმუშავებენ. უბრალოდ, შეიძლება სედატიური პრეპარატები ჰქონდათ მიღებული. ამაზე სარკაზმით თუ ილაპარაკებ. ან შეიძლება „ქართულმა ოცნებამ“ მათ ყავაში რამე გაურია, რათა მშვიდად ყოფილიყვნენ.

ხომ გაგიგონიათ, კუზიანს სამარე გაასწორებსო. მათი კონსტრუქციულობის და გამოსწორების ვის სჯერა?! მათ ხომ პირადად ვიცნობ, უწიგნურები არიან. შეიძლება ადამიანს ბევრი წიგნი არ ჰქონდეს წაკითხული, მაგრამ დაბადებით ნიჭიერი იყოს. ნაცებს არც ერთი აქვთ და არც მეორე. მათი მთავარი ნიჭი მლიქვნელობა, ვაზელინობა, თავხედობა, უნამუსობაა. შუბლის ძარღვიც კი არ აქვთ, რომ გაუწყდეთ. დარწმუნებით გეუბნებით, ისინი ვერსდროს გადაკეთდებიან.

— ბატონო ჯონდი, რამდენიმე დღის წინ სუს-მა სავარაუდო ტერაქტები აღკვეთა...

— ოპოზიციას არავითარი დესტაბილიზაციის რესურსი აღარ აქვს, რადგან სრულიად გაკოტრებულია. დიახ, დაკავებულია ოდესის საკრებულოს წევრი, რომელიც ხელწამოსაკრავი პირი არ გახლავთ. იგი რუსეთში ტერორისტული აქტის განხორციელებას და საქართველოს დროშის სახელით ბავშვების, ქალების, მოხუცების დახოცვას გეგმავდა. ისე უნდა წარმოჩენილიყო, თითქოს ეს საქართველომ გააკეთა, რითაც აქ რუსული აგრესიის გამოწვევა სურდათ. ხვდებით, რას გადავრჩით?! აი, ეს აღკვეთა სუს-მა. სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურმა შესანიშნავად იმუშავა. ამაზე მნიშვნელოვანი რა უნდა იყოს. ეს დეგენერატი ოპოზიცია დღე და ღამე სუს-ს აგინებს. რა დეგენერატიზმის ხარისხია, ხვდებით, ხომ — სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურს პოლიტიკოსი რატომ უნდა ებრძოდეს, თუ ის მართლა ამ სახელმწიფოს ნაწილია?! ვფიქრობ, სუს-ის ოპერატიული ჯგუფის მიმართ მადლიერება უნდა გამოვხატოთ. მათ ჯილდოც ეკუთვნით. სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურს ვულოცავ ამ სახელმწიფოებრივი, მსოფლიო მნიშვნელობის წარმატებულ ოპერაციას, რაც, გარკვეულწილად, პრევენციაც არის.

— ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ ცხადად თქვა, რომ სააკაშვილს არსად სამკურნალოდ გადაყვანა არ ესაჭიროება. თუმცა, ოპოზიცია კვლავ მის მრავალრიცხოვან დაავადებებზე და წამებაზე საუბრობს.

— დიახ, სააკაშვილი ჯერ კვდება, მერე, პრემიერად მოსვლისთვის ემზადება. იგი ჩამოუყალიბებელი, ცანცარა კაცია, რომელმაც ბრძოლის უღირსი, დამამცირებელი გზა აირჩია. ხან იძახის, დემენცია მაქვსო, ხან არჩევნებში თავისი როლის გამოსაკვეთად ემზადება. დემენციის ქართული თარგმანი ჭკუასუსტობა, ანუ დებილიზაციაა. ამას თვითონ ამბობდა და ექიმებიც ადასტურებდნენ, დებილიაო. მერე თქვეს, არა, დებილი არ არისო და პრემიერ-მინისტრობა მოინდომა. ახლა ისევ დებილად ყოფნა მოუნდა?! კამერების ზედამხედველობის ქვეშ არის და დათრგუნულიაო, — აცხადებს მისი გარემოცვა. იცით, რით არის დათრგუნული? — რესტორნებში რომ ვერ დაყიალობს. სხვა მხრივ, ოროთახიან აპარტამენტშია გამოჭიმული, ბიჭები ემსახურებიან, მოკლეკაბებიანი გოგოები აკითხავენ და რამ დათრგუნა?! სააკაშვილი ქვეყნის მოღალატეა. ეს მუხლი ჯერ არ აქვს მიყენებული, მაგრამ ეს დროც მალე მოვა – მან დავით გარეჯი გაყიდა, რისი ფაქტებიც დევს. ასე რომ, მიშა როგორც მოღალატე, აუცილებლად გასამართლდება. რაც მან ჩაიდინა, იმის მერე ხმას როგორ იღებს?! ბოდიში მაინც მოიხადოს. ჩვენ თუ სახელმწიფო გვქვია, მაშინ ციხეში გადააგზავნონ. დარწმუნებული ვარ, არჩევნების მერე ასეც მოხდება — ციხეში გადააგზავნიან.

— ღალატის მუხლი ახსენეთ, რომელიც 2007 წელს თავად სააკაშვილმა გააუქმა. რატომ ვერ აღდგა დღემდე ეს მუხლი?

— სხვათა შორის, ამ მუხლის აღდგენაზე პარლამენტში საკანონმდებლო ინიციატივა შევიტანე, მაგრამ პარლამენტის თავმჯდომარისგან აბსტრაქტული პასუხი მივიღე. მას მერე ორი წელი გავიდა. დიახ, სააკაშვილი ღალატის მუხლით უნდა გასამართლდეს, მაგრამ არსებობს სხვა მუხლიც, რომელიც სახელმწიფო ინტერესების წინააღმდეგ მოქმედებისთვის სასჯელს ითვალისწინებს. ასე რომ, სააკაშვილს მალე ყველაფრისთვის მოუწევს პასუხისგება.

თამარ შველიძე

აფხაზებთან და ოსებთან საერთო ინტერესების პოვნით დაიწყება ჩვენი დაახლოების პროცესი

ნომრის სტუმარია გენერალური შტაბის ყოფილი უფროსი, ანალიტიკოსი ლევან ნიკოლეიშვილი:

- ბატონო ლევან, ქვეყანას ახალი პრემიერ-მინისტრი ჰყავს, რომელმაც უკვე წარმოადგინა მთავრობის პროგრამა მრავალი პრიორიტეტული მიმართულებით. თქვენ რა მთავარ გზავნილებს გამოარჩევდით ამ პროგრამიდან?

- ირაკლი კობახიძემ საკმაოდ მნიშვნელოვანი და მრავალფეროვანი სამთავრობო პროგრამა წარმოადგინა, რის განსახორციელებლადაც საჭიროა სათანადო პირობები გარკვეული გარემოებების გათვალისწინებით. პირველ რიგში, მნიშვნელოვანია, ქვეყანაში იყოს მშვიდობა და სტაბილური მდგომარეობა. გარდა ამისა, უნდა გვქონდეს პრაგმატული საგარეო პოლიტიკა, რაშიც იგულისმება, რომ დიპოლმატიის ხარჯზე შევინარჩუნოთ ის მდგომარეობა, რაც ახლა გვაქვს. ევროინტეგრაციისთვის შესასრულებელი გვაქვს გარკვეული ვალდებულებები და ამისათვის შრომაა საჭირო, თუმცა, არაკეთილგანწყობილი დესტუქციული ძალები, როგორც უცხოელი, ასევე ადგილობრივი რადიკალები, ამაში ხელს გვიშლიან და მათი მოგერიება აუცილებელია!

რომ გეკითხათ, კვდებოდა სააკაშვილი და ახლა რუსთაველის „გადავსებას“ და საპროტესტო ტალღის აგორებას ლამობს, ვერ ისვენებს... მის ხელისშემწყობად გვევლინებიან „ნაციონალური მოძრაობა“ და მათი ანასხლეტები, „ლელოსა“ და გახარიას ნიღაბს ამოფარებული ქვეყნის მტრები. ესეც გასათვალისწინებელია, ვინაიდან ერთია, რომ იცი, ვინ არის მოწინააღმდეგე, მეორეა - უნდა იცოდე, ის რის გაკეთებას აპირებს და რა კონტრზომები შეგიძლია დაუპირისპირო კანონის ფარგლებში.

მიუხედავად იმისა, რომ საკმაოდ კარგი მაჩვენებლები გვაქვს ეკონომიკური თვალსაზრისით, რასაც კვლევები და სხვადასხვა გამოქვეყნებული მასალაც მოწმობს, ეს არ ნიშნავს, რომ ჩვენი ქვეყანა აყვავებულია. უამრავი გამოწვევის წინაშე ვდგავართ, რის დაძლევასაც სწორი დაგეგმარება სჭირდება, იმ შესაძლებლობების ფარგლებში, რაც გაგვაჩნია, რაც ეკონომიკურად გაგვაძლიერებს და არც ქვეყნის ეროვნულ ინტერესებს დააზარალებს. ძალიან ბევრი რესურსი გვაქვს, როგორც ბუნებრივი, ასევე ადამიანური თვალსაზრისით და ამის სწორად გამოყენება უნდა შევძლოთ. ეკონომიკური წარმატებისათვის აუცილებელია, ასევე, ჩვენი სატრანზიტო შესაძლებლობების გამოყენება. ბუნებამ ბევრი სიკეთით დაგვაჯილდოვა, მათ შორის იმით, რომ სტრატეგიული გეოგრაფიული მდგომარეობა გაგვაჩნია. ცხადია, ამას რაციონალურად გამოყენება და შესაბამისი ინფრასტრუქტურის შექმნა სჭირდება. ჩვენ ვნახეთ ანაკლიის პორტის ეგრეთ წოდებული მშენებლობა როგორი კრახით დასრულდა არასწორი მიმართულებების და აქცენტების გამო. დღეს პოლიტიკას შეფარებულმა ადამიანებმა, რომლებიც მაშინ თაღლითურ სქემებს გეგმავდნენ, უამრავი დრო დაგვაკარგვინეს. ეს ყველაფერი რომ კარგად გაეკეთებინა, ვისაც ხელეწიფებოდა, ანაკლიის პორტი აშენებული იქნებოდა, მაგრამ თაღლითები აღმოჩნდნენ, რაც, სამწუხაროდ, გვიან გამოაშკარავდა. ეს თაღლითები კი ახლა პოლიტიკაში მოიწევენ.

რაც შეეხება დეოკუპაციას, ეს არ არის მარტივი გადასაწყვეტი. პირველ რიგში, უნდა გადავხედოთ ისტორიას, რის გამოც ეს პრობლემები შეგვექმნა, რის გამოც დროებით გვაქვს დაკარგული ჩვენი ძირძველი მიწები და ეს არის აუცილებლად გასაანალიზებელი. ისტორიის გარეშე სწორ გზაზე ვერ დავდგებით. შემდეგ უნდა ვიფიქროთ, როგორ შეიძლება ამ ყველაფრის გამოსწორება ისე, რომ ქართველი, აფხაზი და ოსი ხალხი ერთმანეთს ისევ დაუახლოვდეს. უნდა გავითვალისწინოთ გარეშე ფაქტორებიც, რაც ამას კატეგორიულად ეწინააღმდეგება.... სიამოვნებით გავიღვიძებდი ისეთ რეალობაში, სადაც რუსეთი არ იქნებოდა ჩვენი მეზობელი ქვეყანა, მაგრამ რა ვქნათ, ჩვენ ვერ შევცვლით ამ მოცემულობას! ამიტომ, უნდა დავიწყოთ ფიქრი იმაზე, თუ როგორ ვიმუშავოთ რუსეთთან, მარტომ - თუ ჩვენს დასავლელ პარტნიორებთან ერთად, რა უნდა გავითვალისწინოთ და რა არ უნდა გავითვალისწინოთ?! მე ვისურვებდი, რომ ჩვენს სტრატეგიულ პარტნიორებს დასავლეთის ქვეყნებში, თავიანთი ძალისხმევა და ფინანსები ამ მიმართულებით დაეხარჯათ და არა ათასი ჯურის არასამთავრობო ორგანიზაციების დაფინანსებაში. თუმცა, ვინც მათ შორის სასარგებლო საქმეს აკეთებს, მათ არ ვგულისხმობ. რუსეთი რასაც წარმოადგენს, ყველამ ვიცით, მაგრამ პარტნიორებთან ერთად შეიძლება ამ მოლაპარაკებების დაწყება. პარალელურ რეჟიმში უნდა აღვადგინოთ ურთიერთობები აფხაზ და ოს თანამემამულეებთან. უნდა ვიცოდეთ, როგორ ცხოვრობენ, რით არიან კმაყოფილი ან უკმაყოფილო ეს ადამიანები, რა სჭირდებათ! ბევრი რამ კეთდება ქვეყანაში მათ დასახმარებლად, თუნდაც იგივე სამედიცინო თუ საგანმანათლებლო სექტორში, მაგრამ არის კი ეს საკმარისი ამ ადამიანების ქართულ საზოგადოებასთან ინტეგრირებისთვის? ხშირად გვესმის, რომ ჩვენ უნდა დავიბრუნოთ აფხაზეთი და სამაჩაბლო, მაგრამ ეს არ არის სწორი მიდგომა. ჩვენმა ხალხმა, ორივე მხრიდან, ერთმანეთს შვილები, მამები, ძმები დავუხოცეთ. ეს არ არის უბრალო ტკივილი, რომელიც შეიძლება უცებ დაივიწყოთ, მაგრამ შესაძლებელია ახალი ფურცლიდან ყველაფრის დაწყება. მთავარი ფორმულა უნდა იყოს ერთი, რომ ერთმანეთს კი არ მოვთხოვოთ ბოდიშის მოხდა, ჩვენ, ორივე მხარე უნდა დავუბრუნდეთ ერთმანეთს! ისინი კარგა ხანია, ხედავენ, რომ რეალურად უღლის ქვეშ არიან, ოკუპაციის ქვეშ არიან და მათი „დამოუკიდებლობა“ ბლეფია. ამიტომ გეგმაზომიერად უნდა მოხდეს იმის გათვლა, რას საჭიროებს ეს ხალხი, რისკენ ისწრაფვის, რა უნდათ მათ, - ამაზე უნდა ვიფიქროთ. არის საკითხები, რაზეც შეიძლება შეთანხმება, ურთიერთდათმობა, არის საკითხები, სადაც საერთო ინტერესები გვაქვს და როგორც კი ამ საერთო ინტერესებს ვიპოვით, ჩვენი დაახლოების პროცესიც დაიწყება.

- პრეზიდენტის ინიციატივით შეიქმნა ახალი პლატფორმა „ევროპული მომავლისათვის“, სადაც, მისივე თქმით, იდეების თავმოყრა და გაცვლა იქნება შესაძლებელი...

- კარგა ხანია, რადიკალურ ძალებს კიდევ ერთი არაავტორიტეტული ფიგურა, სალომე ზურაბიშვილი შეემატა. რაც შეეხება მის ახალ „პლატფორმას“, ამ „გამოგონებით“, როგორც ჩანს, პრეზიდენტს უნდა, რომ ოპოზიციას ახალი სული შთაბეროს. ვისაც უნდა, იმას შეხვდეს, მაგრამ რას ემსახურება ეს ყოველივე, რას და რისთვის აკეთებს, ეს არის მთავარი - თვითონ ფიქრობს მათთან გაერთიანებას, თუ თავისი „მმართველების“, უცხოელი დესტრუქციული ძალების დავალებას ასრულებს?!

საარჩევნო წელიწადია, ამ წელს არეულობის არაერთი მცდელობა იქნება. ყველაფერი დამოკიდებულია იმაზე, ხელისუფლება როგორ იყოჩაღებს და ქვეყნის მტრებს როგორ გამოააშკარავებს.

სამწუხაროდ, ოპოზიციაში გვყავს ადამიანები, რომლებიც არაფერს აკეთებენ, გარდა იმისა, რომ ქვეყნის ინტერესების საზიანოდ მოქმედებენ. ერთი პროექტი არ აქვთ წარმოდგენილი პარლამენტში, მაგრამ ხელფასს იღებენ და ვადის ამოწურვის შემდეგ პენსიაც დაენიშნებათ.

დამისახელეთ სამსახური, სადაც არ ივლის ადამიანი, არ იმუშავებს და მას ხელფასს გადაუხდიან?! ან დამისახელეთ უფროსი, რომელიც მათ ამას აპატიებს! „უფროსი“, ამ შემთხვევაში, ვართ ჩვენ, ხალხი. პასუხი უნდა მოსთხოვოს ხალხმა და ეს ინიციატივა ყურადსაღები უნდა იყოს! თუ ადამიანი დაკისრებულ მოვალეობას არ ასრულებს, არ მუშაობს, მეტიც, მავნებლობს და ამაში იღებს ხელფასს ბიუჯეტიდან, რომელიც ჩვენ გვექვითება, ეს არავის არ უნდა ვაპატიოთ!

- ბატონო ლევან, დრო გადის და უკრაინაში ომი არ სრულდება. ახლახანს, ამერიკელ ჟურნალისტთან ინტერვიუში პუტინმა მთელი პასუხისმგებლობა კიევს და მის დასავლელ პარტნიორებს დააკისრა. მისი თქმით, თუკი აშშ უკრაინისთვის იარაღის მიწოდებას შეწყვეტს, ომი რამდენიმე კვირაში დასრულდება...

- ცეცხლის შეწყვეტის და დროებითი მშვიდობის დამყარების საშუალება რამდენიმეჯერ ჰქონდა როგორც რუსეთს, ასევე დასავლეთს, რომელიც უკრაინას ეხმარება, მაგრამ არც ერთ მხარეს, ჯერჯერობით, ომის დამთავრება არ უნდა! არც ერთმა ამისკენ ნაბიჯი არ გადადგა, რადგან რუსეთიც, უკრაინაც და უცხოელებიც ელოდებიან, რომ ამ ომის ხარჯზე, იქნებ, უკეთესი პოზიცია დაიკავონ და უფრო წინ წაიწიონ ტერიტორიულად, რაც მათ მოგებას მისცემს! ყველა ამას ცდილობს პოლიტიკურ თამაშში, სადაც ინსტრუმენტად ადამიანების დახოცვა გამოიყენეს. დაახლოებით ნახევარი მილიონი მხოლოდ სამხედრო მოსამსახურეა შეწირული ორივე მხრიდან. მათ ზურგს უკან დგას სამხედრო სამრეწველო კომპლექსები, რომელიც არის კიდევ ერთი უდიდესი მოთამაშე ამ ომში. ისინი ამ ომის ხარჯზე მდიდრდებიან, რასაც ემატება იმ ქვეყნების ინტერესები, რომლებიც დახმარებას უწევენ უკრაინას შეიარაღებით. რადგან ეს არ არის უბრალო, მეგობრული დახმარება, ეს არის სერიოზული ვალი, რაც შემდგომში უკრაინამ უნდა გადაიხადოს.

ახლა პუტინი ამბობს, რომ მზადაა მოლაპარაკებისათვის, მაგრამ ამერიკამ თუ შეწყვიტა იარაღის მიწოდება, პუტინი რას აპირებს? დაბრუნდება უკან თავის ტერიტორიაზე? სიმართლე ის არის, რომ არც ამერიკელები ცდილობენ რუსეთთან დალაპარაკებას ცეცხლის შეწყვეტის თაობაზე და არც თავად პუტინი. მათ აქვთ უამრავი საშუალება იმისა, რომ შეხვდნენ, დიალოგი გამართონ, რაღაცაზე შეთანხმდნენ. პირველი შეთანხმება უნდა მოხდეს ცეცხლის შეწყვეტის თაობაზე, მაგრამ, როგორც ჩანს, არ ენაღვლებათ მათ ადამიანების სიცოცხლე, არც პუტინს, არც - ზელენსკის...

- ზელენსკიმ ახლახან უკრაინის შეიარაღებული ძალების მეთაური ვალერი ზალუჟნი გაათავისუფლა. ეს, ალბათ, პრეზიდენტსა და მთავარსარდალს შორის დაძაბული ურთიერთობის შედეგი იყო.

- ზელენსკი თავისი ბუნებით ავანტიურისტია. აქედან გამომდინარე, დამოუკიდებელ გადაწყვეტილებას ის ვერ იღებს. მისთვის მთავარია, იტივტივოს ზედაპირზე, ვიდრე გაძლებს. მან ზალუჟნის სახით რეალურად საქმის გამკეთებელი ადამიანი მოიშორა, რადგან, თუ ვინმე ამ ომში საქმეს აკეთებდა, ეს იყო ზალუჟნი და მისი სამხერდო პოტენციალი... როგორც კი სამხედროების საქმეში პოლიტიკური ელიტა ერევა, იქ უკვე ყველაფერი განწირულია. ზალუჟნი იყო მათი კორუფციული გარიგებების ერთ-ერთი ხელისშემშლელი. ამას არა აქვს დიდი მნიშვნელობა, თუ ვინ დანიშნა ზელენსკიმ მის შემცვლელად - დანიშნა ის, ვინც მას აწყობს, ვინც ხელს არ შეუშლის და არ გააკრიტიკებს. ზალუჟნი მინიმუმ იმას მაინც ახერხებდა, რომ რუსეთმა მთელი უკრაინა ვერ დაიპყრო.

როცა ადამიანი დიდი პოლიტიკაში „საზარბაზნე ხორცის“ ფუნქციას იღებს, იქ ომის დასრულებაზე საუბარი ნაადრევია, თუმცა შეიძლება, გარემოება ძალიან სწრაფად შეიცვალოს. ეს დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ დასრულდება არჩევნები აშშ-ში და რა პოლიტიკას წარმართავს ახალი პრეზიდენტი, რომელიც, სავარაუდოდ, „რესპუბლიკური“ პარტიის წარმომადგენელი იქნება.

ნონა ქარქაშაძე

ელექტრონული წესით ჩატარებული არჩევნები დესტრუქციულ სცენარს გამორიცხავს

გვესაუბრება „სამოქალაქო საზოგადოებისა და დემოკრატიის განვითარების ცენტრის“ ხელმძღვანელი, თბილისის საკრებულოს წევრი ლადო ბოჟაძე:

— ბატონო ლადო, 2024 საარჩევნო წელია. როგორ ემზადებით არჩევნებისთვის?

— პირველ რიგში, ირაკლი კობახიძეს ვულოცავ ახალ თანამდებობას და მინისტრთა კაბინეტთან ერთად წარმატებებს ვუსურვებ. ირაკლი ღარიბაშვილს კი დიდი მადლობა, რომ სამი წელი სახელმწიფოს, ხალხს ღირსეულად ემსახურა. მან ქვეყანას მშვიდობა, სტაბილურობა შეუნარჩუნა და ახალ ასპარეზზე მასაც წარმატებებს ვუსურვებ. მინისტრთა კაბინეტში მხოლოდ ერთი ცვლილება განხორციელდა — თანამდებობა თავდაცვის მინისტრმა დატოვა, რომელიც მალე ნატო-ში საქართველოს ელჩად გადავა. ახალ მინისტრს, ირაკლი ჩიქოვანს ვულოცავ და ვუსურვებ, ეს გზა წარმატებულად განვლოს.

როგორც თქვენ აღნიშნეთ, 2024 საარჩევნო წელია. საპარლამენტო არჩევნებისთვის ვემზადებით, რომელიც სრულად პროპროციული სისტემით და 5%-იანი ბარიერით ჩატარდება, რაც ქვეყნის დემოკრატიის განვითარების კუთხით მნიშვნელოვანი გამოწვევაა. წელს არჩევნები ელექტრონული წესით ტარდება. ეს არ გახლავთ კლასიკური გაგებით ელექტრონული არჩევნები, როცა ხმის მიცემა ინტერნეტის საშუალებით ხდება. ელექტრონული წესით არჩევნების ჩატარება, პირველ რიგში, საარჩევნო უბნების რაოდენობის შემცირებას გამოიწვევს. სპეციალური ელექტრონული აპარატით, როგორც ID ბარათით, ისე საზღვარგარეთის პასპორტით ან ძველი პირადობის მოწმობით, ამომრჩევლის იდენტიფიცირება მოხდება. ადრე ამ ფუნქციას რეგისტრატორი ასრულებდა. ბიულეტენსაც თავად ის წერდა და ა. შ. ამით იმის თქმა მინდა, რომ ეს პროცედურა პიროვნებაზე აღარ არის დამოკიდებული, სამაგიდო სიასა და პირადობის მოწმობაში არსებული ფოტოების დადარებაც საჭირო აღარ იქნება, რაც საარჩევნო პროცედურების ხანგრძლივობას შეამცირებს. ასევე, საარჩევნო უბნებს შეეძლებათ უფრო მეტი ამომრჩეველი გაატარონ, ვიდრე აქამდე არსებული სისტემით იყო შესაძლებელი. ხმის მიცემა იგივე წესით მოხდება, ოღონდ ამომრჩეველი სპეციალური კალმით გააფერადებს ბიულეტენზე მითითებულ მონიშნულ ადგილს, რაც სკანერს ამომრჩევლის მიერ გაკეთებული არჩევანის წაკითხვაში დაეხმარება. ბიულეტენები სპეციალურ ჩარჩო-ფორმაში ჩაიდება და სკანერ-აპარატს მიეწოდება. საარჩევნო ყუთიც აღარ იქნება ისეთი ნიმუშის, როგორიც აქამდე იყო. ორივე ელექტრონული ხელსაწყო უზრუნველყოფს ამომრჩევლის უსაფრთხოებასაც და დროის შემცირებასაც, რაც საშუალებას მოგვცემს უბნები გავაერთიანოთ და საარჩევნო კომისიების რაოდენობაც შემცირდეს. რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, სპეციალური ელექტროაპარატის მეშვეობით, კენჭისყრის პროცედურების დასრულებიდან 15-20 წუთში წინასწარი შედეგები გვეცოდინება, რაც რადიკალური ოპოზიციის მხრიდან გაყალბების თაობაზე ყოველგვარ მანიპულაციებს გამორიცხავს. რამდენიმე საათში კი, ხელით გადათვლის შედეგად, საბოლოო შედეგებიც ცნობილი გახდება. ანუ, გარკვეული პროცედურების შემდეგ სპეციალური აპარატის მეშვეობით შეგვიძლია დავადგინოთ: რამდენმა ადამიანმა მიიღო არჩევნებში მონაწილეობა, რამდენი ბიულეტენი გაბათილდა, ვინ რამდენი ხმა მიიღო და ა. შ. შესაბამისად კონვერტი საჭირო აღარ იქნება.

ელექტრონული წესით არჩევნების ჩატარებას კარგი შედეგი აქვს შემდეგი კუთხითაც — იგი გამორიცხავს ე. წ. კარუსელებს, რაზეც ოპოზიცია ხშირად აპელირებდა წინა არჩევნებში. გარდა ამისა, ამ მეთოდით არჩევნების ჩატარების შემდეგ, ოპოზიცია წინასწარი საზოგადოებრივი კვლევების შედეგების გამოფენით ვეღარ დაიწყებს იმის მტკიცებას, თითქოს არჩევნები გაყალბდა. ასევე, ოპოზიციური მედიასაშუალებები ეგრეთ წოდებული ეგზიტპოლების შედეგებით ვეღარ იმანიპულირებენ და ამა თუ იმ კანდიდატზე ვეღარ იტყვიან, მას მეტი ხმა ჰქონდა და ცესკო-ს მონაცემებით ნაკლები რატომ მიიღო. აქვე გაგახსენებთ ხმების პარალელური დათვლის შედეგებს, რაც 2020 წელს „სამართლიანმა არჩევნებმა“ გააყალბა, ოპოზიცია კი პარლამენტში აღარ შედიოდა. ეს პროცესი ლამის წელიწადი გაგრძელდა. ბოიკოტის საფუძველი სწორედ პარალელური დათვლა იყო, რასაც ოპოზიცია ეყრდნობოდა. ამ ტიპის პრობლემებს ელექტრონული წესით ჩატარებული არჩევნები გამორიცხავს. უბანზე მისული ამომრჩეველი საკუთარ დროს დაზოგავს, რიგში დგომა საჭირო აღარ იქნება. რაც მთავარია, ორივე ელექტრონული აპარატი უსაფრთხოა, გამორიცხავს ყოველგვარ ჩარევებს და მანიპულაციებს. ორივე სისტემა დაცულია და, ვფიქრობ, შედეგად არჩევნებისადმი ნდობა 2024 წელს კიდევ უფრო ამაღლდება.

ზოგადად, ქვეყნისთვის მთავარ გამოწვევად ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა და სიღარიბე რჩება, რაზეც ირაკლი კობახიძემ თავის გამოსვლაში ვრცლად ისაუბრა. ძირითადი ფორმულაა — 0% ოკუპაცია და 0% სიღარიბე. ეს ამბიციური ამოცანაა. 2024 წლისთვის ახალი საარჩევნო პროგრამა მომზადდება.

წინ ცხელი წინასაარჩევნო პერიოდი გველოდება. სამწუხაროდ, ოპოზიცია, კლასიკურად, საარჩევნო პროგრამების, ხედვების წარდგენისთვის კი არ ემზადება, არამედ ისევ საზოგადოების პოლარიზებაზეა ორიენტირებული და, როგორც წინა არჩევნების დროს, ახლაც აქციებით, დესტაბილიზაციით იმუქრება.

— დიახ, ნაცების ინტერესებში სამართლიანი არჩევნები არასდროს ყოფილა. 2020 წელს ისინი სახელმწიფო სტრუქტურების პიკეტირებით, დაუმორჩილებლობით იმუქრებოდნენ. თქვენი აზრით, ამჯერად როგორი იქნება სცენარი?

— 2012 წლიდან მოყოლებული, ნაცებმა ყველა არჩევნები წააგეს. მძიმე წარსულიდან გამომდინარე, კარგად იციან, რომ არჩევნების გზით ხელისუფლებაში ვერასდროს მოვლენ. ამიტომ სხვა გზებს ეძებენ: ქაოსს, სამოქალაქო დაპირისპირებას, სისხლიანი რევოლუციის მოწყობას, რაზეც თავად ღიად საუბრობენ და ა. შ. მუდმივად ცდილობენ, არჩევნები დესტაბილიზაციის მიზეზად გამოიყენონ. 2020 წლის არჩევნებიდან მალევე, ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები ჩატარდა, სადაც „ქართულმა ოცნებამ“ შედეგების გამეორება შეძლო.

2024 წლის არჩევნები, რომელიც ელექტრონული წესით ჩატარდება, როგორც მოგახსენეთ, რაიმე მანიპულაციებს გამორიცხავს და ოპოზიციას 2020 წელს განხორციელებული სცენარის გამეორების შანს აღარ უტოვებს.

ნაცების ბელადი სააკაშვილი ისევ თავის ამპლუაშია და ოპოზიციას მოუწოდებს, ქუჩაში გამოვიდნენ, რუსთაველის გამზირი ხალხით გაავსონ, რაც წინასაარჩევნოდ ტემპერატურის აწევას, პოლარიზაციის გაღვივებას უკავშირდება, რათა არც ამ საარჩევნო პერიოდმა ჩაიაროს მშვიდად, როგორც ეს ნამდვილ დემოკრატიულ სახელმწიფოს შეეფერება. ცდილობენ, ასე ქვეყანას, დემოკრატიას ჩრდილი მიაყენონ.

2024 წელს ახალი პარლამენტი გვეყოლება, სადაც ბევრი

პოლიტიკოსი, პარტია მოხვედრას ვეღარ შეძლებს. მიზეზი შემდეგია: ის პოლიტიკური პარტიები, რომლებმაც 1%-იანი ბარიერი გადალახეს და პარლამენტში მოხვდნენ, ხალხის ნაცვლად საკუთარ მერკანტილურ ინტერესებს იცავდნენ. ამიტომ, ბევრ მათგანს 5%-იანი ბარიერის გადალახვა გაუჭირდება, მათ შორის, „ლელოს“, „გირჩს“, „ევროპულ საქართველოს“ და ა. შ. „ქართული ოცნების“ გარდა, მხოლოდ „ნაცმოძრაობას“ აქვს შანსი, 5%-იანი ბარიერი გადალახოს. თუმცა, მისი შედეგიც გაცილებით დაბალი იქნება, ვიდრე 2020 წელს იყო.

— რა ფორმით შეიძლება მიიღოს ოპოზიციამ არჩევნებში მონაწილეობა და როგორი იქნება მათი საპარლამენტო სია?

— კანონმდებლობით საარჩევნო ბლოკების შექმნა იკრძალება. ბლოკის შექმნის შემთხვევაში, პოლიტიკოსებს შეეძლოთ თავიანთი პარტიის წევრად დარჩენილიყვნენ, მიეღოთ დაფინანსება, უფასო სარეკლამო დრო. ახლა მსგავსი რამ კანონმდებლობით აკრძალულია. ამიტომ მოსალოდნელია, რომ ოპოზიციონერების დიდი ნაწილი უარს იტყვის საკუთარ პარტიაზე და რომელიმე სხვა პარტიის სიაში ჩაეწერება. დიახ, საკუთარ პარტიაზე, იდეოლოგიაზე, იდენტობაზე უარის თქმა მოუწევთ, რასაც შემდეგნაირად გაამართლებენ, ჩვენ „ქართული ოცნების“ წინააღმდეგ ვერთიანდებით, რათა ქვეყანა გადავარჩინოთო. პრობლემები შეექმნება გახარიას პარტიასაც, რომელიც მმართველი გუნდის ღალატის მერე კვლავ პოლიტიკაში დაბრუნდა და კიდევ უფრო მძიმე ღალატი ჩაიდინა — მთავარ ამოცანად რადიკალებთან ერთად „ქართული ოცნების“ მაქსიმალურად დაზიანება გაიხადა. ასე რომ, მსგავსი გაერთიანებები, რაც შეიძლება ზურაბიშვილის ირგვლივაც შეიქმნას, შედეგიანი ვერ იქნება.

გახარიას „ქართული ოცნების“ დამსახურებით, საზოგადოებაში მაღალი ცნობადობა აქვს — იგი ხელისუფლებაში წამყვან პოსტებს იკავებდა. მისი პარტია პარლამეტში „ქართული ოცნების“ სიით მოხვდა. ახლა საკრებულოებში რამდენიმე მუნიციპალიტეტში ნაცებთან კოალიცია აქვთ, რაც ქართული სახელმწიფოს მიმართ მათ დამოკიდებულებაზე მეტყველებს. რაც შეეხება „ლელოს“, მან ამომრჩევლისგან ერთ წელიწადში 13 ათასი ხმა დაკარგა, რადგან „ნაცმოძრაობის“ ერთ-ერთი რადიკალური ფლანგი აღმოჩნდა და არა ცალკე დამოუკიდებელი პოლიტორგანიზაცია. ხაზარაძეს „მუსტანგი“, რომლის იმედზეც იყო, საკუთარი ოფისის წინ დაეწვა. იგივე ელის მის საარჩევნო კამპანიასაც — „ლელო“ ფინიშამდე ვერ მივა. რაც შეეხება თაკო ჩარკვიანს, იგი, ალბათ, საბოლოოდ „ნაცმოძრაობის“ სიაში აღმოჩნდება. რა თქმა უნდა, მის პარტიას წარმატების შანსი არ აქვს. 26 ოქტომბერს ხალხი — ხელისუფლების წყარო გადაწყვეტს, ვის გადასცეს ძალაუფლება.

— სიებს რაც შეეხება, კეზერაშვილმა მიშას შემოუთვალა: სოფო ჯაფარიძეს ჩავსვამ სიაში და მეტის მოლოდინი არ გქონდეს. ეს ხომ კონფლიქტს გამოიწვევს?

13 გვ.

ისეთი განათლება, რომელიც კეთილდღეობაში არ გადაიზრდება, საჭირო არ არის!

„საერთო გაზეთის“ სტუმარია ჟურნალისტი ნუგზარ რუხაძე:

— ბატონო ნუგზარ, სასკოლო განათლება ქვეყნის უმნიშვნელოვანესი პრიორიტეტია. სკოლა უნდა ქმნიდეს საფუძველს, რომ ადამიანებმა ის უნარები შეიძინონ, რაც მათ საკუთარი თავის სრულფასოვან რეალიზებაში დაეხმარებათ. განათლების ხარისხის მხრივ რა ვითარებაა სკოლებში?

— გეთანხმებით, სასკოლო განათლება ბავშვის მომავლისთვის მართლაც მნიშვნელოვანია. თუმცა, ჩვენი ცხოვრების გეზს, მიმართულებას, ხარისხს მხოლოდ სკოლაში მიღებული ცოდნა როდი განსაზღვრავს. საკუთარ გამოცდილებას გაგიზიარებთ: მე ერთ-ერთ სპეციალურ ლინგვისტურ სკოლაში ვასწავლი და ბავშვებთან უშუალო შეხება მაქვს. ძნელად მოიძებნებიან ისეთი მოსწავლეები, რომელთაც შესაბამისი ცოდნა აქვთ მიღებული და განათლების მიმართ სწორი მიდგომა უყალიბდებათ. ბავშვების გარკვეული ნაწილი, რა თქმა უნდა, ადვილად, სხარტად უღებს ალღოს, თუ რა უნდა ისწავლოს. თუმცა, უმრავლესობას მითითება სჭირდება, როგორ გამოიყენოს სწორად განათლება. ჩემი აზრით, ამ დროში, როცა ინფორმაციის ბუმია და ბავშვებს სკოლის გარდა, მსოფლიო ელექტრონული ბიბლიოთეკა — ინტერნეტი აქვთ — ინტენსიური, პარალელური თვითგანათლება ხდება. ამ შემთხვევაში, ჩვენი ვალია, ბავშვებს არჩევანში დავეხმაროთ, რა და როგორ ისწავლონ. თუ მოსწავლეს სწორად მიუთითებ, როგორ გამოიყენოს არსებული ზღვა ინფორმაცია, ის ამას თავის განათლების ნაწილად გადააქცევს. თანამედროვე პედაგოგიკის ერთ-ერთი მთავარი მიზანი სწორედ ეს არის.

რაც შეეხება სკოლებში შექმნილ ვითარებას, უპირველესად, ბავშვებს, მათ მშობლებს მინდა ვუთხრა: ღირებული და კარგი ის განათლებაა, რომლის სამომავლოდ კეთილდღეობაში ტრანსლირებაა შესაძლებელი. ჩვენ სწორედ ასეთ განათლებაზე უნდა ვიყოთ ორიენტირებული. მოსწავლეებისგან და მათი მშობლებისგანაც ხშირად ვისმენ, რომ სკოლაში არსებული სწავლებით კმაყოფილნი არ არიან. მეორე მხრივ, მასწავლებლებით კმაყოფილ, ბედნიერ ბავშვებსაც ვხვდები, რომლებიც კარგად ორიენტირებულნი არიან, თუ რა საგნებს და რა დოზით უნდა დაეუფლონ ცოდნის გასაღრმავებლად. სიმართლე გითხრათ, თუ შევადარებთ ახლანდელ და იმ სახელმძღვანელოებს, რითაც ჩემი თაობა ვიზრდებოდით, განსხვავება ძალიან დიდია. დღეს ახალგაზრდებს ყველანაირ ინფორმაციაზე, წიგნზე მიუწვდებათ ხელი, რაც ჩვენს დროში უდიდესი პლუსია.

— წიგნზე კი მიუწვდებათ ხელი, მაგრამ მკითხველი წიგნს მაინც დაშორდა. ეს რამ განაპირობა?

— ეს ზოგადსაკაცობრიო პრობლემაა, მაგრამ, სიმართლე გითხრათ, წიგნის „მოკვლა“ ვერც ინტერნეტმა შეძლო. ნებისმიერ ქვეყანაში წიგნის მაღაზიები ყვავის. ადამიანები წიგნებს ნამდვილად კითხულობენ. თუნდაც ავიღოთ აეროპორტები, სადაც ყველგან არის წიგნის მაღაზიები. ხალხი წიგნებს მასიურად ყიდულობს. მაშ, პრობლემა რაშია? — წიგნები ძალიან მომრავლდა, ბევრი იწერება. მთელ მსოფლიოში ძალიან დიდი ოდენობის სხვადასხვა დარგის ლიტერატურა არსებობს. ამიტომ, ჩვენს ახალგაზრდობას ორიენტაციაში უნდა დავეხმაროთ — რისი წაკითხვა სჯობს, რა არის მისთვის აუცილებელი. ყველაფერი რომ წავიკითხოთ, ამისთვის ჩვენი ცხოვრების დრო არ გვეყოფა. მთავარია, მიხვდე — რა უნდა წაიკითხო. ამას კი ოსტატობა სჭირდება, რაც ბავშვებს ჩვენ, პედაგოგებმა უნდა შთავუნერგოთ. ზოგი ბავშვი თავადაც მშვენივრად არის ორიენტირებული, მაგრამ წარმოიდგინეთ, ბავშვი, რომელსაც მხოლოდ ერთი მიმართულების, დარგის ლიტერატურა იტაცებს?! ასე ხომ შეიძლება, იგი საჭირო, სხვა დარგსა და მიმართულებას ჩამორჩეს? ამიტომ, ექსპერტის რეკომენდაციის გარეშე მკითხველი დაიბნევა, რას მიანიჭოს კითხვისას უპირატესობა.

დღეს წიგნის კითხვის მიმართ დამოკიდებულება შეცვლილია. 24 საათიდან მესამედი გვძინავს, დანარჩენი დრო ეთმობა ყოფით ცხოვრებას და ინფორმაციის გაცნობას, რისი საშუალებებიც ძალიან მომარავლდა. ადამიანს ვერ დაუშლი, იმას გაეცნოს, რაც აინტერესებს. მაშ, თავისუფლება სხვა რა არის? ჩვენ თავისუფალ სამყაროში მცხოვრები თავისუფალი ადამიანები ვართ და იმას ვეწაფებით, რაც გვაინტერესებს და, ცხადია, რასაც გვთავაზობენ. სირთულე იცი, რაშია? — სწორად მივხვდეთ, რას მივუძღვნათ ეს დრო და ენერგია, რათა ცხოვრება ფუჭად არ გავატაროთ. ანუ, ამ უზღვავი ინფორმაციის, განათლების მიღების მეშვეობით ცხოვრებისთვის ისე მოვემზადოთ, რომ მომავალში არ გაგვიჭირდეს. ეს რთული მისიაა. არ მგონია, მართებული იყოს, ბავშვებს ყველაფრის წაკითხვა დავაძალოთ. ამდენს ვერ მოასწრებს, ვერ გასწვდება, თანაც, მან მხოლოდ ლიტერატურა ხომ არ უნდა ისწავლოს? ამის გარდა, არსებობს სხვა, არანაკლებ მნიშვნელოვანი საგნებიც: ფიზიკა, ქიმია, ბიოლოგია, გენეტიკა, მათემატიკა და ა. შ. იმ ბავშვების მშობლებს, რომლებიც 10-12 წლისანი არიან და ცხოვრება ჯერ წინ აქვთ, ვურჩევ: სწორად განსაზღვრონ, შვილებს რა ასწავლონ. მთავარი ესაა. ადამიანისთვის მთავარი წიგნის კითხვა კი არა, ბედნიერად ცხოვრებაა. თუ წიგნის კითხვას ბედნიერება მოაქვს, დაე, იკითხონ.

მსოფლიოში წიგნების ბუმია. დღეს ისეთი წიგნებიც იწერება, რომლებიც კლასიკას სჯობს. ყველაფერი მაინც სტიქიურად მიედინება და ამ ქაოსის წესრიგად

თუ ჰაგიოგრაფიული ნაწარმოებები სწავლებიდან ამოვიღეთ, ასე მგონია, სამშობლოს მოყვარული ქართველების გაზრდა გაგვიჭირდება

**— ბატონო ნუგზარ, ბოლო დროს ბევრ ადამიანს ეშინია, ბავშვებს ინტერნეტი, ტელევიზორი, ტელეფონი ან ტაბლეტი ავნებს. ეს ფობია ალბათ, ბავშვებზე ზრუნვის ნაყოფია. ეს ფობია

და ჩვენი განათლების ხარისხის დახვეწაზე, გაუმჯობესებაზე აღარ ვიფიქროთ.

ეროვნული სასწავლო გეგმის განახლებას რაც შეეხება, რა ვიცი, ალბათ, საჭირო რამაა, მაგრამ ეს არ არის პანაცეა. მარტივად რომ გითხრათ, განათლება თავისი საქმის მცოდნე პედაგოგი, ბეჯითი მოსწავლე და კარგი სახელმძღვანელოა. სხვა არაფერია საჭირო. ეს სამი წინაპირობა თუ არ გვაქვს ხელთ, არც ხარისხიანი განათლება გვექნება. ახლა 82 წლის ვარ, სკოლაში 1949 წელს შევედი, ცხრა წლისამ ინგლისურის სწავლა დავიწყე, საკმაოდ ვწვალობდი — ინგლისური გაზეთებიდან ამონარიდებს ვჭრიდი და ვკერავდი. მერვე-მეცხრე კლასში ინგლისურად იმდენად გამართულად ვსაუბრობდი, ყველას უკვირდა, მათ შორის მათაც, ვისთვისაც ინგლისური მშობლიური იყო: ასე კარგად, ენა სად ისწავლეთო. ანუ, ძალიან კარგი მასწავლებელი მყავდა, ეს საგანიც მიყვარდა, ბეჯითიც ვიყავი და სახელმძღვანელოსაც ოსტატურად ვიყენებდი. ახლა ცხოვრება ისე შეიცვალა, წიგნი ინტერნეტმა ჩაანაცვლა. ათი წელია, ჩემს ჯგუფთან ერთად ენის სწავლების საინტერნეტო პროგრამა NBR-ი მაქვს. ეს ენის სწავლების 100%-იან გარანტიას იძლევა.

— ამ სამი პოსტულატის არარსებობაა იმის მიზეზი, წაკითხულის გააზრებაში 67-ე ადგილზე რომ ვართ?

— სისტემა რომც შეიცვალოს, ძველი კომპონენტები თუ ისევ დარჩა, ხარისხიან განათლებაზე ოცნება უნდა დავივიწყოთ. შეიძლება, გადასარევი საგანმანათლებლო სისტემა შექმნა, მაგრამ უცოდინარი მასწავლებლები და ზარმაცი ბავშვები თუ გვეყოლება, ხარისხიან განათლებას უნდა დაემშვიდობო. ანუ სისტემა, რეფორმა ბევრს ნიშნავს, მაგრამ არა მთავარს. ბავშვი შეიძლება სკოლაში საერთოდ არ წავიდეს, მაგრამ მშვენიერი განათლება მიიღოს. თუმცა, ისე არ გაიგოთ, თითქოს მე სისტემის წინააღმდეგი ვარ. პირიქით, მე წესრიგის მომხრე ვარ. სისტემა არის წესრიგი. მაგრამ თუ ამ წესრიგში ისეთი მასწავლებლები, მოსწავლეები და წიგნებია „ჩანერგილი“, რომლებიც არ ვარგა, ვერავითარი სისტემა საქმეს ვერ უშველის.

— ბატონო ნუგზარ, ბოლო დროს არ წყდება დისკუსია თემაზე: უნდა ისწავლებოდეს თუ არა სკოლაში ჰაგიოგრაფიული ნაწარმოებები. სულ სამი ჰაგიოგრაფიული ტექსტი ისწავლება, რასაც, ჩემი აზრით, დიდი მნიშვნელობა აქვს როგორც ემოციური ინტელექტის, ისე საკუთრი იდენტობის ჩამოყალიბებისთვის. რა კრიტერიუმებით უნდა გადაწყდეს, ამ სამი ძეგლიდან, სწავლებიდან რომელი უნდა ამოვიღოთ, ან გავამარტივოთ?

— მე, როგორც ადამიანი, რომელსაც საქართველო უყვარს, ვფიქრობ, რომ ჩვენს ქვეყანას პატრიოტები სჭირდება. სამშობლოს მოყვარული ადამიანი ჟანგბადივით არის — იგი ქვეყანას ჰაერივით სჭირდება, რომელიც მის განვითარებას ხელს შეუწყობს. სამშობლოს სიყვარული ჩვენს ისტორიასთან, წარსულთან, ლიტერატურასთან, მორალთან, ტრადიციებთან არის დაკავშირებული. პატრიოტს, სამშობლოს მოყვარულს ჰაგიოგრაფიის სწავლების გარეშე ვერ გაზრდი. კი ბატონო, ჩვენ უნდა ვიცოდეთ, როგორ, რა დოზით მივაწოდოთ ბავშვს ნაწარმოები ისე, რომ სხვა საგნები არ დარჩეს უყურადღებოდ. ტექნიკა და მეცნიერება უმნიშვნელოვანესია, მაგრამ სულიერების გარეშე ყველაფერი კნინდება და ფასს კარგავს. ვფიქრობ, ჰაგიოგრაფიული ნაწარმოებების შეცნობის გარეშე კარგ ქართველებს ვერ გავზრდით. ოღონდ, ამის სწავლება ახირებული, არარაციონალური არ უნდა იყოს. უფრო მეტიც, **თუ გალაკტიონის ლექსი შენთვის უცხოა, ვაჟას პოეზია არ გიგრძვნია, „ვეფხისტყაოსანში“ გაბნეულ მარგალიტებს არ შეხებიხარ და არ დაგიმახსოვრებია, არ იცნობ ჩვენს ეროვნულ საწყისებსა და კულტურის ისტორიას, საქართველო როგორ გეყვარება, სამშობლოს დახმარება რატომ მოგინდება და მის სასარგებლოდ რატომ იმოქმედებ, ანუ პატრიოტი როგორ იქნები?!** სხვა საკითხია: გვჭირდება თუ არა ეს ქართველობა? ჩემი ურყევი პასუხია - გვჭირდება! მაგალითად, მე საკუთარ თავს, პიროვნებას, ჩემი ქართველობის, ქართული ენის, წესისა და ადათის, მეგობრების გარეშე ვერ შევიგრძნობ. **ჰოდა, ქართული ენა და ლიტერატურა, მათ შორის ისტორიულ-ბიოგრაფიული, სწორედ ამ ეროვნულობას გვინერგავს.** დღემდე მახსოვს ბავშვობაში ნასწავლი ციტატები „შუშანიკის წამებიდან“, „ვეფხისტყაოსნდან“. მეორე მხრივ, რამდენად სწორია, ბავშვებს ციტატები ვაზეპირებინოთ, ძნელი სათქმელია, მაგრამ ის, რომ ჰაგიოგრაფიულ ლიტერატურას ისევე, როგორც საქართველოს ისტორიას, ზოგადად, ქართულ ლიტერატურას უნდა იცნობდნენ, ეს, ალბათ, სადავო არ არის. აბა, სხვაგვარად სამშობლოს მოყვარული კაცი როგორ უნდა გაზარდო? ერთი სიტყვით, **ქართული ლიტერატურისა და მისი ისტორიის სწავლების გარეშე ქართველი ქართველად ვერ გაიზრდება.** მე ასე მგონია და რა ვიცი, ხომ არ ვაჭარბებ! მაგალითად, ამერიკაში ბავშვმაც კი ზეპირად იცის ამერიკის დროშისა და რესპუბლიკის მიმართ ერთგულების ფიცი. მან, ასევე ზუსტად იცის, რა არის 1776 წლის 4 ივლისი — აშშ-ის დამოუკიდებლობის დეკლარაციის მიღების თარიღი, ანუ ამერიკის „დაბადების“ დღე. ამერიკაში პატრიოტიზმს უდიდესი ყურადღება ექცევა. ამერიკელისთვის პატრიოტიზმი, დროშა და კონსტიტუცია ბევრს ნიშნავს.

— ჰაგიოგრაფიული ტექსტების შემცირებაზე საუბარი რამდენად შეიცავს რისკს, რომ მალე შეიძლება ვიღაცამ თქვას, „ვეფხისტყაოსანიც“ ვრცელი ტექსტია და მისი სწავლება საჭირო არ არისო?

— გეთანხმებით, ეს რისკი არსებობს. ბავშვებიც დროში შეზღუდულნი არიან, დადიან სპორტზე, მუსიკაზე. მათ გართობა, ბავშვობაც ხომ უნდათ. რამდენი რამ უნდა ისწავლონ?! ამიტომ ყველაფერი უნდა გავაკეთოთ, რათა განათლების რაციონალიზაცია შევძლოთ. ანუ უმცირეს დროში ჩავტიოთ მაქსიმალური ინფორმაცია და საჭირო განათლება. და თუ რა არის საჭირო, ეს სპეციალისტებმა უნდა გვითხრან. აბსურდის, სისულელის კეთების დრო აღარ გვრჩება, მხოლოდ ის უნდა ვაკეთოთ, რაც საჭირო და აუცილებელია. ამ საჭიროებაში კი უნდა მოვაქციოთ განსაკუთრებულად აუცილებელი, რათა რუკიდან არ წავიშალოთ. რატომღაც მგონია, ყოველგვარი ქართულის სწავლას თავს თუ დავანებებთ, საერთოდ გავქრებით. და თუ მნიშვნელობა არ აქვს, ქართველებად დავრჩებით თუ გავქრებით, მაშინ რაღას ვწვალობთ! ვინმემ რომ გითხრათ, 50 წლის მერე ქართველი აღარ იარსებებსო, ხომ ჩათვლით, რომ ყველაფრის სწავლა აბსურდია?! არადა, მართლა გვემუქრებიან პროგნოზებით, მალე ქართველი ერი აღარ იარსებებსო.

— გასული წლის ბოლოს საქართველომ კანდიდატის სტატუსი მიიღო. თქვენ განათლების სისტემაში არსებულ არაერთ პრობლემაზე ისაუბრეთ. ჩვენი განათლების სისტემა ევროპულ ოჯახში შესვლისთვის შემაფერხებელ გარემოებად ხომ არ იქცევა?

— ევროპული განათლების სისტემის დონისგან შორს ვართ. ამ კუთხით დიდი ნაბიჯებია გადასადგმელი. ქართველს, ინგლისელთან და ამერიკელთან შედარებით, ერთი გასაჭირი აქვს — სხვისი ენა აქვს სასწავლი, რათა თანამედროვე განვითარებულ სამყაროს არ ჩამორჩეს, რასაც მნიშვნელოვანი ეროვნული ძალისხმევა — დრო, ენერგია, ფული სჭირდება! ალბათ, აქსიომაა, რომ ჩვენი ევროპასთან ბუნებრივი ინტეგრაცია ვერ მოხდება, თუ ქართველთა უმრავლესობას ინგლისური ენა არ ეცოდინება ისე, რომ ეს მისთვის დანარჩენ სამყაროსთან ურთიერთობის დასამყარებლად ბუნებრივი საშუალება იყოს. დასავლეთთან ინტეგრაცია და მასთან რეალური კავშირების დამყარება პირდაპირ არის მიბმული ინგლისური ენის ცოდნაზე, ანუ კავშირები ჩვეულებრივი ადამიანების დონეზე უნდა განხორციელდეს. სხვაგვარად ურთიერთობათა ორგანულობას ვერ მივაღწევთ. ინგლისური ენა კი, ამ შემთხვევაში, არის წებო. ამიტომ საქართველოში ინგლისური ენა მასობრივად უნდა გავრცელდეს. ვფიქრობ, ჩემმა ჯგუფმა, NBR-პროგრამის შექმნით უდიდესი პატრიოტული საქმე გააკეთა. კი, ეს ნამდვილად ეროვნული საქმეა. მთელმა ერმა ინგლისურის სწავლა ამ პროგრამით რომ დაიწყოს, საქართველოში ენის პრობლემა ერთბაშად გადაწყდება. ინგლისურის ცოდნის კუთხით საქმე არც ისე კარგად გვაქვს — მასამ ენა არ იცის. რუსულის სწავლებას 200-300 წელი მოვანდომეთ. არ გამოვრიცხავ, რომ ასი წლის მერე, ჩინური ენის სწავლა დაგვჭირდეს, მაგრამ დღეიდან კიდევ 50-60 წელი მაინც, ინგლისურის ცოდნა აუცილებლად დაგვჭირდება. ამიტომ ქართველმა ერმა უნდა იჩქაროს, რათა ინგლისური ენა ისწავლოს, რადგან პროგრესი არ გვექნება, თუ არ გავეცნობით იმას, რასაც ევროპა ქმნის — მეცნიერება და ტექნიკა, ლიტერატურა და კულტურა და ა. შ. სხვა რა არის ევროპასთან კავშირი — უნდა ვიცოდეთ, რას აკეთებენ, რით ცხოვრობენ, ხომ? და როგორ გაიგებ, რას აკეთებენ? ყველაფერს ხომ არ თარგმნი? ყველაფერი რომ ვთარგმნოთ, მთელი ქართველი ერი თარჯიმნად უნდა იქცეს. ამიტომ ენა თავად უნდა ვიცოდეთ, რათა თარჯიმანი არ დაგვჭირდეს. რატომ ინგლისური? — იმიტომ, რომ დღეს ასეა, ყველაზე გავრცელებული ენა ინგლისურია. სამყაროს რატომღაც გადაწყვიტა, რომ ინგლისური ყველაზე რაციონალური ენაა. მშობლებს უნდა ავუხსნათ, რომ ბავშვისთვის რამდენიმე ენის შესწავლა საჭირო არ არის. რამდენი ენაც იცი, იმდენი კაცი ხარო — ეს არაა მაინცდამაინც ბრძნული და პრაგმატული ნათქვამი. მხოლოდ ის უნდა იცოდე, რაც საჭიროა. ენების სწავლას თუ გადაყვები, მეცნიერება გვერდზე დაგრჩება. ჩვენ, უპირველეს ყოვლისა, მეცნიერებას უნდა ვეუფლებოდეთ. ენა მეორეხარისხოვანია, მხოლოდ დამხმარე საშუალებაა, რათა დაეუფლო იმას, რაც ძირითადია. ასე რომ, ევროპელობა საქმედ რომ ვაქციოთ, ამისთვის მძლავრი, თავდაჯერებული და პრაგმატული ნაბიჯებია გადასადგმელი, თან, დაუყოვნებლად. ზოზინისა და თავის ფხანის დრო ნამდვილად აღარაა. თუ არ ვიჩქარებთ, რა იცი, რა მოხდება — იგი წავა და სხვა მოვა ტურფასა საბაღნაროსა!

— თქვენ აღნიშნეთ, რომ დასავლეთთან დასაახლოებლად ინგლისური ენა უნდა ვიცოდეთ. რაც შეეხება მშობლიურ ენას, სახელმწიფო ენის კანონის მიღებიდან რვა წელი გავიდა. რამდენად ზრუნავს დღეს სახელმწიფო, რომ საქართველოს ყველა მოქალაქემ სახელმწიფო ენა იცოდეს?

— ესეც დიდი ზრუნვის საგანია. მიუღებელი და გულდასაწყვეტია, რომ სხვა ეთნიკური ჯგუფები თავს არ იკლავენ ქართულის სწავლით, რაც მათ სიზარმაცესა და უნიჭობაზე კი არა, არამედ მათი მხრიდან საქართველოს, როგორც სახელწიფოს უპატივცემულობაზე მეტყველებს. წარმოგიდგენიათ, რატომღაც არხეინად შეუძლია მავანს ამ ქვეყანაში ცხოვრება, მიუხედავად იმისა, იცის თუ არა ჩვენი სახელწიფო ენა. დაცინვასავითაა, თითქოს. **ჩვენ უნდა ვეცადოთ, ისეთი მკაცრი და, ამავე დროს, ისეთი სიმპათიური, გონივრული და ჯუმანური სახელწიფო გარემო შევქმნათ, რომელშიც ქართული ენის გარეშე ცხოვრება საჩოთირო და უხერხული იქნება.** ასეთი გარდაუვალობა ჩვენს მშობლიურ ქართულ ენასაც გაამაგრებს და განავითარებს. გადაუჭარბებლად ვიტყვი, რომ ქართული ენა და ანბანი ყველაზე ძვირფასი ეროვნული განძია, რაც გვაქვს, გვატკბობს და გვაცოცხლებს. კარგად თუ დავფიქრდებით, ჩვენს ეროვნულ დამოუკიდებლობას ისე არაფერი შვენის, როგორც ჩვენი ლინგვისტური დამოუკიდებლობა.



თამარ შველიძე

საქართველო „ვეფხისტყაოსანმა“ შექმნა

დღეს უკვე მწერლობაში ე. წ. **„ნონფიქშენის“** სახელით ფეხმოკიდებული ესეისტურ-მემუარული სტილი საზოგადოებრივ ყურადღებას იძენს. მას ყოველთვის მიმართავდა ქართული მწერლობა, **რაფიელ დანიბეგაშვილიდან** და **გრიგოლ ორბელიანიდან** მოყოლებული. „ნონფიქშენის“ ძირები იძებნება **პლატონის** დიალოგებსა და ჯუმბერ თითმერიას ლიტერატურულ საუბრებში. ამ სტილისტიკას **მისდევს გური ოტობაიას** მონუმენტური ხუთწიგნეული **„შეუთავსებელთა შეთავსებაც“**. ახალი რუბრიკის პირველი ავტორების, მწერალ — დავით შემოქმედელისა და პროფესორ გიორგი გოგოლაშვილის ერთობლივი წიგნი „ეპოქა და მწერალი“ არ გახლავთ რიგითი იწილო-ბიწილო საუბარი, არამედ იგი ორი დაუნჯებული პიროვნების სიღრმისეული სჯა-ბაასია ჩვენი ყოფიერების საჭირბოროტო საკითხებზე. ფეხბედნიერი ყოფილიყოს ჩვენს პერიოდიკაში ამ ორი მაღალბუნებოვანი ესთეტის ტანდემური მარათონული სტუმრიანობა.

თამარ ბერძენიშვილი

გიორგი გოგოლაშვილი — **დღეს შეიძლება უხერხულობას იწვევდეს ის ამბავი, რომ საქართველოში არა გვაქვს ქართული კულტურის ცენტრი პირობითი სახელდებით „რუსთაველის სასახლე“ ან „საქართველო — რუსთაველის სახლი“.**

დავით შემოქმედელი — კი, ბატონო, გეთანხმებით, ეგ მართლაც წარმოუდგენელია. სრულიად საქართველოს რუსთაველის საზოგადოების წესდებაში ჩაწერილია, რომ ამ საზოგადოების მიზანია „რუსთაველის მუზეუმის“ დაარსება, რომელიც მხოლოდ რუსთაველთან იქნება დაკავშირებული. ხოლო ის, რომ დაარსებულიყო „რუსთაველის სასახლე“, ზოგადად ქართული კულტურისა და ცივილიზაციის ცენტრი, როგორიც არის, მაგალითად, „გოეთეს სახლი“ გერმანიაში, „პომპიდუს ცენტრი“ საფრანგეთში, „იაპონიის სახლი“ ოსაკაში, „ჰელსნიკის სახლი“ ფინეთში და სხვა, ეს იდეა ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად დაგვებადა ცნობილ არქიტექტორს, შემდგომში რუსთაველის საზოგადოების მრჩეველს, აკადემიკოს გიგა ბათიაშვილსა და თქვენს მონა-მორჩილს. აღმოჩნდა, რომ ბატონ გიგასა და მე ამ საკითხის ერთნაირი ხედვა გვქონია. აქ ამისი უთქმელობაც არ ეგების: რუსთაველის მოედანზე „მაკდონალდსის“ აგება რომ დაიწყეს, გურამ შარაძემ პროტესტი განაცხადა: ამ მოედანზე რუსთაველის ძეგლის გვერდით „რუსთაველის მუზეუმი“ უნდა შეიქმნესო...

გ. გ. — დავით, ცნობილია, რომ თქვენ და არქიტექტორმა გიგა ბათიაშვილმა საქართველოს მთავრობის წინაშე დააყენეთ ქართული კულტურისათვის უმნიშვნელოვანესი საკითხი, საქართველოში, კერძოდ თბილისში, ქართული კულტურისა და ცივილიზაციის ცენტრის — „რუსთაველის სასახლის“ — დაარსების შესახებ. ამ იდეას სათავეში პირადად თქვენ ჩაუდექით. მკითხველისათვის საინტერესო იქნება, იქნებ მოგვითხროთ ამ საქმის ამბავი და ისიც, რა ეტაპზეა ის დღეს.

დ.შ. — თქვენს კითხვაზე რომ გიპასუხოთ, ეს საკმაოდ ვრცელი ოდისეა გამოვა. თუმცა ძალზე სერიოზული თემაა, მაგრამ ხუმრობაგარევით ასე დავარქმედი: „აქა ამბავი რუსთაველის სასახლისა“. 2015 წელს ბატონი გიგა ბათიაშვილი და მე ორჯერ გახლდით საქართველოს ყოფილ პრემიერ-მინისტრ ბიძინა ივანიშვილთან. პირველ შეხვედრას ესწრებოდა საქართველოს პარლამენტის მომავალი თავმჯდომარე ირაკლი კობახიძე. მივაწოდეთ სამი წინადადება, რომელთა გადაწყვეტა, ჩვენი აზრით, აუცილებელი იყო. 1. ქართული კულტურისა და ცივილიზაციის ცენტრის „რუსთაველის სასახლის“ დაარსება. 2. რუსთაველის 850 წლის იუბილეს მსოფლიოს კულტული მოვლენის რანგში აყვანა და 2016 წელს იმ მასშტაბით ჩატარება, როგორც 1966 წელს ჩატარდა. 3. „რუსთაველის დღის“ დაარსება. სამივე წინადადება მოიწონა და აღგვითქვა სრული მხარდაჭერა. დავიწყოთ პირველით, სწორედ იმით, რასაც თქვენი კითხვა გულისხმობდა.

გ.გ. — კონცეფციის დაწერა, როგორც ვიცი, ბატონ გიგასა და თქვენ შემოგთავაზეს.

დ.შ. — დიახ, ასე იყო. კულტურის ცენტრთან დაკავშირებით გვითხრა, რომ კონცეფცია დაგვეწერა და მისთვის გაგვეცნო. ნივთიერი კულტურის: ტაძრები, ფრესკული ხელოვნება, გამოყენებითი ხელოვნება, ფლორა, ფაუნა, ენდემური ჯიშები, საფორტიფიკაციო ნაგებობები და მრავალ სხვათა შესახებ დაწერა გიგა ბათიაშვილმა. ხოლო კულტურის, ისტორიის, რელიგიის, მეცნიერების, მწერლობის, სპორტის და სხვათა შესახებ — თქვენმა მონა-მორჩილმა. ათი დღის შემდეგ ისევ შევხვდით და გავაცანით „რუსთაველის სასახლის“ მოწყობასთან დაკავშირებით ჩვენი კონცეფცია, რაც მოიწონა. ერთობლივად მივედით იმ აზრამდე, რომ ამისათვის გამოყენებული უნდა ყოფილიყო საქართველოს „პრეზიდენტის სასახლის“ სივრცე. ხოლო თავად პრეზიდენტი თავისი ადმინისტრაციით განთავსდებოდა იმჟამად უკვე საპრეზიდენტო სასახლედ მოაზრებულ რეკონსტრუირებულ ორბელიანის სასახლეში.

გ.გ — დავით, აქ ურიგო არ იქნება, მკითხველს შევახსენოთ: ავლაბარში იდგა ძველი შენობა, რომელშიც ავტოინსპექცია იყო განთავსებული. ეს ნაგებობა ძველ თბილისს გადმოჰყურებდა. გასული საუკუნის 90-იან წლებში არქიტექტორმა გიგა ბათიაშვილმა გააკეთა ამ შენობის რეკონსტრუირების შესანიშნავი პროექტი პირობითი სახელწოდებით „რუსთაველი — საქართველოს სახლი“...

დ.შ. — მართალს ბრძანებთ. ეს შენობა გათვალისწინებული იყო სწორედ ქართული კულტურის ცენტრისათვის. საქართველოს ყოფილმა პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა გაიგო რა ამ პროექტის შესახებ, ბატონი გიგა ბათიაშვილი ჩამოაშორა აღნიშნული პროექტის დაგეგმარებას და პროექტი გააგრძელებინა იტალიიდან სპეციალურად ჩამოყვანილ არქიტექტორ მიკე ლე ლუკის, რომელმაც შენობას საბოლოოდ განსხვავებული სახე მისცა. გადააკეთა იგი პრეზიდენტის სასახლედ, სადაც გადავიდა კიდეც საპრეზიდენტო რეზიდენცია.

გ.გ. — დავით, რა იყო თქვენი კონცეფციის მთავარი პრინციპი.

დ.შ. — მსოფლიო ცივილიზაცია და საქართველო, ანუ რა შევმატეთ ჩვენ მსოფლიოს, რა გაგვაჩნია საკაცობრიო მნიშვნელობისა, რითაც გავამდიდრეთ დანარჩენი სამყარო. ჩამოვთვლით მცირე ნაწილს. ეს იქნებოდა ქართული ცივილიზაციის სათავეებიდან დაწყებული ზეზვა და მზია, მედეას მითი, ოქროს საწმისი, ქართული ანბანი, ქართული დამწერლობა — უძველესი ხელნაწერები, გამოყოფილად ხაზგასმულად — შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი“ (რუსთაველის ეპოქა), ჰიმნოგრაფია, საერო მწერლობის მწვერვალები მისი არსებობიდან დღემდე, პოლიფონიური მუსიკა, მხატვრობა, ცეკვა, თეატრი, კინო და მრავალი სხვა... ყველას ვერ ჩამოვთვლით. გამორჩეულად ამ სფეროთაგან ყველაფერი ის, რასაც მსოფლიო მნიშვნელობა აქვს. კონცეფციაში გათვალისწინებული იყო: საქართველოს პრეზიდენტი „რუსთაველის სასახლეში“ მიიღებდა უცხო ქვეყნების პრეზიდენტებსა და მაღალი რანგის ოფიციალურ სტუმრებს, რათა გასცნობოდნენ ქართული კულტურის ცენტრს, როგორც საქართველოს მთავარ სავიზიტო ბარათს.

გ.გ. — შემდეგ რა მოხდა?

დ.შ. — ბიძინა ივანიშვილმა გვითხრა, რომ საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის უფროსის მაია ცქიტიშვილისა და მთავრობის ადმინისტრაციის თანამშრომლებისათვის გაგვეცნო აღნიშნული კონცეფცია. კომპოზიტორი მარიკა კვალიაშვილი და მე შევხვდით ქალბატონ მაია ცქიტიშვილსა და აპარატის თანამშრომლებს. მათ მოიწონეს ბატონ გიგასა და ჩემ მიერ დაწერილი კულტურის ცენტრის მოწყობის კონცეფცია. შემდეგ დაიწყო ბატონი გიგასა და ჩემი მრავალწლიანი მომქანცველი ოდისეა. მოკლედ ვიტყვი, მკითხველი რომ არ გადავღალო: არ დარჩენილა მთავრობის მაღალ ეშელონებში თითქმის არავინ უმაღლეს ხელისუფალთაგან, რომელთაც ჩვენ არ შევხვედროდით და მათგან მხარდაჭერა არ მოგვესმინა, მაგრამ შედეგი არ ჩანდა. გამოვიყენე პირადი კონტაქტები და საქართველოს პარლამენტის იმჟამინდელ თავმჯდომარის მოადგილე არჩილ თალაკვაძეს შევაქმნევინე საპარლამენტო ჯგუფი (და არა კომისია) „რუსთაველის სასახლის“ საკითხზე სამუშაოდ, რომლის შემადგენლობაში იყვნენ: მარიამ ჯაში (ჯგუფის ხელმძღვანელი, პარლამენტის კულტურისა და მეცნიერების კომიტეტის თავმჯდომარე), არჩილ თალაკვაძე (პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილე), დავით ზალკალიანი (საგარეო საქმეთა მინისტრი), მიხეილ ბატიაშვილი (განათლებისა და მეცნიერების მინისტრი), მამუკა მდინარაძე, საპარლამენტო უმრავლესობის თავმჯდომარე, მიხეილ გიორგაძე (კულტურის მინისტრის მოადგილე), მიხეილ ჩხენკელი (პრემიერ მინისტრის მრჩეველი კულტურისა და მეცნიერების დარგში), აკადემიკოსი გიგა ბათიაშვილი, პრეზიდენტის ადმინისტრაციის წარმომადგენელი გიორგი ბეგაძე, პარლამენტარები: რატი იონათამაშვილი, დავით მათიკაშვილი, ენძელა მაჭავარიანი, ბექა ოდიშარია, ირაკლი ტრიპოლსკი, ნინო წილოსანი და მე.

გ.გ. — როგორც მახსოვს, ამ იდეას ერთი-ორი მოწინააღმდეგეც ჰყავდა. კრიტიკული მოსაზრებაც გამოითქვა...

დ.შ. — ზუსტად გახსოვთ, ამ მოვლენებმა ხომ თქვენ თვალწინ ჩაიარა. კი, გაჩნდა განსხვავებული მოსაზრებები, რაც უფრო მეტად პოლიტიკური ხასიათისა იყო. კერძოდ ის, რომ ამით მოხდებოდა პრეზიდენტის ინსტიტუტის დამცრობა, ქვეყნის სახელმწიფო სიმბოლოს შეურაცხყოფა. ეს მოსაზრება საფუძველშივე მცდარია, რადგან სახელმწიფო სიმბოლოები არის: დროშა, ჰიმნი და გერბი. შენობა არ შეძლება იყოს ქვეყნის სიმბოლო. წლების წინ ბერლინში გახლდით, მსოფლიოს ერთ-ერთი სუპერსახელმწიფოს — გერმანიის — კანცლერის რეზიდენცია მოცულობით ორბელიანის სასახლეზე მცირეა.

გ. გ. — რა გადაწყვეტილება მიიღო აღნიშნულმა საპარლამენტო კომისიამ?

დ.შ. — ამ შემთხვევაში საპარლამენტო ჯგუფმა (და არა კომისიამ) რამდენიმე სხდომა გამართა.

მოისმინეს ბატონი გიგა ბათიაშვილისა და ჩემი მოხსენებები კულტურის ცენტრის მოწყობის შესახებ. საბოლოოდ საპარლამენტო ჯგუფმასაქართველოს მთავრობას მისცა რეკომენდაცია ასეთი სათაურით — „საქართველოს კულტურის ციფრული მუზეუმი“ — პრეზიდენტის ავლაბრის ადმინისტრაციულ კორპუსში დაარსებულიყო ქართული კულტურისა და ცივილიზაციის ცენტრი. იგი სამ ეტაპს ითვალისწინებდა.

1-ლი ეტაპი 2019 წლის აპრილიდან 26 მაისის ჩათვლით.

14 აპრილი — პირველი ღონისძიება და დროებითი თემატური გამოფენა ქართული ენის დღეს. 26 მაისი — პირველი მუდმივი ექსპოზიციები, რუსთაველის, ქართული ეკლესიისა და საქართველოს რელიგიური და ეთნიკური ტოლერანტობის წარმოსაჩენად.

მე-2 ეტაპი — 2019 წელი

საკონფერენციო კორპუსის გახსნა საქართველოს შემსწავლელ მეცნიერებებში საგანმანათლებლო და საპრეზენტაციო შეხვედრებისათვის. კულტურის ციფრული მუზეუმის პროექტის დასრულება, რეკონსტრუქცია. აღჭურვა და პროგრამული უზრუნველყოფა.

მე-3 ეტაპი — 2020 წელი.

საქართველოს კულტურის ციფრული მუზეუმის გახსნა.

ყოველწლიურად სულ მცირე 500 000 მნახველის პროგნოზი — საქართველოს მოქალაქეები და ტურისტები.

გ.გ. — საქმე კულტურის ცენტრის დაარსებამდე მისულა. მაშინ რა გახდა შემაფერხებელი მიზეზი იმისა, რომ „რუსთაველის სასახლე“ დღემდე არ გვაქვს.

დ.შ. — როდესაც საქართველოს პრეზიდენტად სალომე ზურაბიშვილი აირჩეს, გიგა ბათიაშვილმა და მე საჭიროდ მივიჩნიეთ, ჩვენი ეს გადაწყვეტილება ქალბატონ სალომესათვის გვეცნობებინა. ხომ არ ჰქონდა მას ამ საკითხზე რაიმე განსხვავებული მოსაზრება. ქალბატონმა სალომემ პრეზიდენტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ლაშა ჟვანიას პირით შემოგვითვალა, რომ ეს შენობა მთავრობის ბალანსზე ირიცხებოდა, მას ჰქონდა სხვა რეზიდენცია და მის ინტერესს ავლაბრის ყოფილი საპრეზიდენტო სასახლე აღარ წარმოადგენდა. ერთ დღეს ტელევიზიით მოვისმინე, რომ პრეზიდენტის ყოფილ სასახლეში ქალბატონმა სალომე ზურაბიშვილმა მიიღო უცხო ქვეყნის პრეზიდენტი და განაცხადა, რომ ეს შენობა დღეიდან მაღალი რანგის საპატიო სტუმრების მიღებების რეზიდენცია, ანუ ცერემონიალების სასახლე, იქნებაო. მარიამ ჯაშმა, საპარლამენტო ჯგუფის ხელმძღვანელმა, ჩემს სატელეფონო კითხვაზე, რა ხდება-მეთქი? მიპასუხა, არ ვიცი, ეს ყველაფერი ჩემთვისაც მოულოდნელიაო. ამ დღის შემდეგ ამ მიმართულებით კონკრეტული ნაბიჯი წინ არ წადგმულა. დავსძენ, ამჟამად, მარტო 2022 წელს დამატებით კონკრეტულად მხოლოდ „რუსთაველის სასახლის“ საკითხზე შვხვდი თბილისის მერს, კახი კალაძეს, კულტურისა მინისტრს თეა წულუკიანსა და პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილე არჩილ თალაკვაძეს, მაგრამ მათგან რაიმე დამაიმედებელი პასუხი არ ჩანს. რაც შეეხება მიზეზს, თუ რატომ არ მივიდა ეს საქმე ბოლომდე, ჩემთვის უცნობია. ხაზგასმით ვიმეორებ: ის, რომ ამჟამად არსებული შენობა ცერემონიალების სასახლეა, სრულიად არ უშლის ხელს, რომ იქ ქართული კულტურის ცენტრი განთავსდეს. პირიქით, როგორც ჩვენი ქვეყნის სავიზიტო ბარათი, ეს უფრო მეტ შინაარსს შესძენდა ამ შენობას. აქ პრაქტიკული თვალსაზრისიც იჩენს თავს: სხვა ქვეყნებში მსგავსი ცენტრები საკმაოდ შემოსავლიანია. Kულტურის ცენტრის დათვალიერება ფასიანი იქნებოდა. შეიძლება იგიქცეულიყო მძლავრ ტურისტულ ცენტრად, რომელიც უცხოელ თუ ქართველ დამთვალიერებელს შესთავაზებდა საქართველოს სხვადასხვა კულტურული ღირშესანიშნაობის მოსანახულებლად მომსახურებას, ამოღებული თანხები კი „რუსთაველის სასახლის“ შენახვას მოხმარდებოდა.



გ.გ. — დავით, ვიცი, რომ სხვადასხვა მოსაზრება არსებობს, ახლა ამბობენ, დავარქვათ „ქართული კულტურის ციფრული მუზეუმი“, ბოლო-ბოლო რა უნდა დაერქვას აღნიშნულ ცენტრს?

დ.შ. — ეს ყველაზე ნაკლებად მნიშვნელოვანია. მახსოვს: ამ რამდენიმე წლის წინათ როდესაც ეს ამბავი სოციალურ ქსელში განვასაჯაროე, დიდი პოლემიკა მოჰყვა იმას, თუ რა სახელი უნდა დარქმეოდა. ვფიქრობ ეგ კომიკურია, ჯერ გადავიდეს ცენტრი იქ, სადაც ჩვენ ვითხოვთ, და მერე... ახლა ეს იმას ნიშნავს, ბავშვი ჯერ არ დაბადებულა და სახელს არქმევენო.

გ.გ. — რადგან უცხოეთში არსებობს მსგავსი ცენტრები და მათ აქვთ გამოცდილება ეროვნული კულტურის ცენტრის ექსპოზიციონერობაში, ალბათ საქმეში უცხოელ სპეციალისტებსაც ჩართავდით.

დ.შ. — სავსებით სწორად ამბობთ. ეს საკითხი მარტივად გადაწყდებოდა. არსებობენ მაღალი ხარისხის მსოფლიო დონის დიზაინერები და სამუზეუმო ექსპოზიციონერები, რომელთაც გამოცდილებაც აქვთ და ეს საქმე ხელეწიფებათ. მათი მოწვევა მიღებული პრაქტიკაა. ჩვენ მათ მივაწოდებდით კულტურის სასახლის კონცეფციას, კულტურის ცალკეულ სფეროებს ბლოკების სახით, ვთქვათ, მწერლობა, სახვითი ხელოვნება, ქართული უნიკალური ხუროთმოძღვრული ძეგლები, უძველესი ქართული ხელნაწერები და ა. შ. და ამაზე დაყრდნობით გააკეთებდნენ სასახლის ექსპოზიციონირებას.

გ.გ. — თქვენი კონცეფციის მიხედვით, რამდენად შეეხებოდა ეს რუსთაველის საზოგადოებას. მგონი რუსთაველის საზოგადოების განთავსებაც იქ ივარაუდებოდა. როგორც გამიგია, გარდა ხელისუფლების ინერტულობისა, „რუსთაველის სასახლეში“ რომ კულტურის ცენტრის ფუნქციონირება ემართა, ეს გარკვეული გავლენიანი პერსონების გაღიზიანებას გამოიწვევდა. ხომ გახსოვთ სულხან-საბა ორბელიანი: „შური არს ბოროტებაი სხვისა კეთილსა ზედა“. იქნებ ესეც იყო იმის ხელისშემშლელი მიზეზი, რომ აღნიშნულ პროექტს მოწინააღმდეგენიც გაუჩნდნენ შემდეგი, პრინციპით: „უჩემოდ ვით იმღერეთა!“ იყო ასეთი შემთხვევა; როცა აკადემია იშლებოდა, თითქმის გადაწყვეტილი იყო, ენათმეცნიერების ინსტიტუტი პარლამენტის დაქვემდებარებაში გადასულიყო. იჩივლა „მეგობარმა“ ინსტიტუტმა, ჩვენ კი რატომ არ გადაგვყავხართო და... არც ერთი აღარ გადაუყვანიათ...

დ.შ. — ის აზრი, რომ რუსთაველის საზოგადოებას ემართა „რუსთაველის სასახლის“ კულტურული პოლიტიკა, უფრო სწორედ მორიტორინგი ჩაეტარებინა საქართველოს ყოფილ პრემიერ მინისტრ ბიძინა ივანიშვილს ეკუთვნის. მან ასე მიიჩნია საჭიროდ. ვიგრძენით, რომ ეს გარკვეულ წრეებს გააღიზიანებდა, ხელისშემშლელი ფაქტორი გახდებოდა, პროცესს დააზიანებდა. საპარლამენტო ჯგუფთან მუშაობის დროს ჩვენ ეს საკითხი პროექტში არ გაგვითვალისწინებია. საპარლამენტო ჯგუფის საბოლოო დასკვნაში ამ კუთხით არაფერია ნათქვამი. ასე რომ, კითხვის ნიშნები ამ მხრივ უნდა გამოვრიცხოთ.

გ.გ. — როგორ ფიქრობთ, ამ საკითხზე საბოლოო უარია თუ კიდევ გაქვთ რაიმეს იმედი?

დ.შ. — ხომ გაგიგონიათ ცნობილი გამოთქმა, ყველაზე ბოლოს იმედი კვდება. აქაც იგივე მდგომარეობაა. პრინციპით, რომ ბრძოლას ყოველთვის აქვს აზრი, ამ საქმის ბოლომდე მიყვანისათვის ნაკლები იმედით, მაგრამ დღესაც ვაგრძელებ საქმიანობას. ისე კი, როცა ჩავუვლი პრეზიდენტის ფუნქცია და სიცოცხლედაკარგულ რეზიდენციას – ავლაბრის ყოფილ სასახლეს — ყურში რეფრენივით ჩამესმის თბილისელი აშუღი პოეტის სიტყვები: „რომელ მსაჯულს ვკითხო სამართალია, ვის შევჩივლო, რუსთაველი მკვდარია“.

გ.გ. — რას გვეტყვით რუსთაველის 850 წლის იუბილესთან დაკავშირებით. ეგ საკითხიც თქვენ დააყენეთ ყოფილი პრემიერ მინისტრის ბიძინა ივანიშვილის წინაშე და რომელიც 2016 წელს უნდა ჩატარებულიყო.

დ.შ. — მარტო მე არა, ეს საკითხიც ბატონ გიგა ბათიაშვილთან ერთად დავსვი უმაღლესი ხელისუფლების წინაშე.მოკლედ ვიტყვი, აქაც ანალოგიური მდგომარეობა იყო, რაც „რუსთაველის სასახლესთან“ დაკავშირებით. რუსთაველის იუბილეს უმაღლეს დონეზე ჩატარებისათვის შეიქმნა სამთავრობო კომისია: საქართველოს პრემიერ-მინისტრი (კომისიის თავმჯდომარე), საგარეო საქმეთა მინისტრი, ქალაქ თბილისის მერი, ეკონომიკის მინისტრი, კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრი, განათლებისა და მეცნიერების მინისტრი. ეს იყო საქართველოს ისტორიაში უპრეცედენტო უმაღლესი დონის სამთავრობო კომისია, ხოლო კოორდინატორად კი ნავარაუდევი იყო, ვყოფილიყავი მე, ანუ ერთგვარი მაკოორდინებელი მთავრობასა და ღონისძიებაში მონაწილე ქართველ და უცხოელ კულტურის გამოჩენილ მოღვაწეებს შორის. მიუხედავად იმისა, რომ ცდა და ენერგია არ დაგვიკლია, აღნიშნულ საკითხზე სამთავრობო კომისიის ერთი სხდომაც კი არ ჩატარებულა. ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებს იმჟამინდელი პრემიერ მინისტრის გიორგი კვირიკაშვილის განცხადება იუბილეს ჩაშლის გამო: საარჩევნო წელი იყო და ვერ მოვიცალეთო. საქართველოში არავინ, მხოლოდ ჩვენ, რუსთაველის საზოგადოებამ, შევძელით რუსთაველის 850 წლისთავისადმი მიძღვნილი საღამო რუსთაველის სახელმწიფო აკადემიურ თეატრში ჩაგვეტარებინა. ასევე ჩავატარეთ რუსთაველის 850 წლისთავისადმი მიძღვნილი საღამოები ისრაელსა და ბერლინში. სწორედ რომ საღამო და არა იუბილე. იუბილე, როგორც მსოფლიო კულტურული მოვლენა, სახელმწიფოს უნდა ჩაეტარებინა იმ მასშტაბითა და რეზონანსით, როგორც ეს 1966 წელს მოხდა. ჩვენ, უბრალოდ, სირცხვილი მოვწინდეთ საქართველოს.

გ.გ. — დავით, შოთა რუსთაველის 800 წლის იუბილე (1966 წელი) კარგად მახსოვს – იმ წელს სკოლა დავამთავრე და სტუდენტი გავხდი. მთელი ქვეყანა რუსთაველით ცხოვრობდა – სკოლა, უნივერსიტეტი, ქალაქი თუ სოფელი... უზომოდ დიდი მასშტაბები ჰქონდა იმ იუბილეს... ნახევარი საუკუნის შემდეგ დამოუკიდებელ საქართველოში 2016 წელი გამოცხადდა რუსთაველის საიუბილეო წლად, მაგრამ... წლის ბოლოს, როგორც აღნიშნეთ, პრემიერ-მინისტრმა (გ. კვირიკაშვილმა) საჯაროდ ბოდიში მოიხადა, იუბილეს ვერ მივზედეთ, არჩევნებმა შეგვიშალა ხელიო... მაშინაც აღვნიშნე, ამის თქმას დუმილი სჯობდა, მაგრამ, რაც მოხდა, მოხდა... გამოვიდა, რომ ეს იუბილე მხოლოდ რუსთაველის საზოგადოებამ აღნიშნა... ვუთხრათ მკითხველს ორიოდე სიტყვა, რა გააკეთა საზოგადოებამ საიუბილეოდ.

დ.შ. – კი, ბატონო, ჩვენს მკითხველს რამდენიმე ინფორმაცია მივაწოდოთ. საიუბილეოდ გამოვეცით გამოჩენილი ქართველი და უცხოელი რუსთველოლოგების შრომების წიგნი რუსთაველსა და „ვეფხისტყაოსანზე“ უცხოეთში, კერძოდ ნიუ იორკში; წიგნის იდეის ავტორი, პროექტის ხელმძღვანელი, შემდგენელი და შესავალი სიტყვის ავტორი მე ვიყავი; რედაქტორები იყვნენ აკადემიკოსი ელგუჯა ხინთიბიძე და პროფესორი მაკა ელბაქიძე. ინგლისურად თარგმნა მანანა დუმბაძემ. წიგნი გამოსცა გამომცემლობა „Nოვა Pუბლიჰერს “, რომელიც მხოლოდ ახალ, დაუბეჭდავ ტექსტებს გამოსცემს. ჩემი თხოვნით სპეციალურად ამ წიგნისათვის წერილები დაწერეს მსოფლიო დონის უცხოელმა მეცნიერებმა, ლუიჯი მაგაროტომ, სალი ნეველმა, ბერტ ბეინენმა, პროფესორებმა: გრივერ ფარულავამ, ნოდარ ნათაძემ, ლევან გიგინეიშვილმა, როინ მეტრეველმა, მარიამ კარბელაშვილმა, ირმა რატიანმა, ნესტან სულავამ — სულ ჩვიდმეტმა მეცნიერმა. წიგნი სასაჩუქრედ დაურიგდათ საქართველოს მეგობარი ქვეყნების პრეზიდენტებს, ნობელის პრემიების ლაურეატებს. წიგნი შეიძინა მსოფლიოს თითქმის ყველა დიდმა ბიბლიოთეკამ. B„Aმაზონ ცომ.-ზე დევს. ჩვენი წიგნის — „ვეფხისტყაოსანი“ მსოფლიო ლიტერატურის შედევრი“ — ამჟამინდელი ღირებულება არის 230 დოლარი. მოვაწყვეთ „ვეფხისტყაოსნის“ საჯარო კითხვა მწერალთა სასახლეში. მწერალთა სასახლეში მოვაწყვეთ შეხვედრა „ვეფხისტყაოსნის“ ზეპირ მცოდნეებთან. ჩავატარეთ საღამოები მოსწავლე ახალგაზრდობის სასახლესა და მწერალთა სახლში. ვუჩვენეთ, საქართველოში მცხოვრები არაქართველები თავიანთ ენებზე როგორ კითხულობენ „ვეფხისტყაოსანს“. ამ ღონისძიების ამსახველი მასალები გადავუგზავნეთ იუნესკოს... საქართველოს კულტურის სამინისტროსა და ახალციხის უნივერსიტეტთან ერთად ახალციხეში ჩავატარეთ „ვეფხისტყაოსნის“ ზეპირმცოდნეთა კონკურსი. როგორც ზემოთ ვთქვი, რუსთაველის 850 წლისთავისადმი მიძღვნილი საღამოები ჩავატარეთ გერმანიაში, ბერლინსა და ისრაელში. პირველად საქართველოს ისტორიაში გამოიცა პირველი სრული „ვეფხისტყაოსანი“. რუსთაველის საზოგადოების წევრის, პროფესორ მურმან თავდიშვილის რედაქცია.

გაგრძელება
შემდეგ ნომერში

ვინ და რატომ აფინანსებს არასამთავრობო სექტორს

მას შემდეგ, რაც ქვეყნის პირველმა კანონმდებელმა ბატონმა შალვა პაპუაშვილმა კიდევ ერთხელ ახსენა ზოგიერთი არასამთავრობო ორგანიზაცია და სრულიად დელიკატურად ჩამოთვალა მათი მავნებლური ქმედებები, ამასთანავე, მათ გაუმჭვირვალობას შეეხო, კვლავ აჟრიამულდნენ „ბრალდებულები“, რომ არასამთავრობო ორგანიზაციებისადმი ამგვარი მიდგომა დემოკრატიის პრინციპებს ეწინააღმდეგება.

საინტერესოა, რა არის დემოკრატიული პრინციპების საწინააღმდეგო, ის, რომ „აღმოსავლეთ პარტნიორობის ინდექსის“ ბოლო ანგარიში, რომელიც ამ არასამთავრობო ორგანიზაციებმა ახლახან დაწერეს,

უსამართლოდ მიკერძოებული იყო და საქართველოს წინააღმდეგ იყო მიმართული, თუ ის, რომ ამ ორგანიზაციებმა, „ეროვნული პლატფორმა“ დატოვეს და ნათელი გახდა, რომ „ეროვნულ პლატფორმაში“ ყოფნის ერთადერთი მიზანი „ინდექსის“ მომზადების პროცესში სიმართლის დამახინჯება იყო?

რა ჰქვია იმას, როდესაც იგივე ორგანიზაციები ახლა „ევროკავშირისკენ 9 ნაბიჯის“ პროცესით მანიპულირებას ცდილობენ, თითქოსდა მიმდინარე დისკუსიასთან შეერთება ქვეყნის სასიკეთოდ სურთ? ესენი ხომ იგივენი არიან, რომლებიც, როდესაც უკმაყოფილო დარჩებიან რაიმე პროცესისი შედეგით, მაშინვე უპირისპირდებიან ამ პროცესს, მის ჩაშლას ცდილობენ და თუ ამას ვერ აღწევენ, ტოვებენ?

ესენი ხომ ის არასამთავრობოები არიან, რომლებიც ხალხის რჩეულებს არ წარმოადგენენ, ისინი მთლიანად უცხოეთიდან ფინანსდებიან და არავინ იცის, რა მიზანს ემსახურება მათი დაფინანსება. ელემენტარულია, რატომ უნდა აფინანსებდეს საიდუმლო მიზნებისთვის უცხო ქვეყანა (ქვეყნები) რაღაც ორგანიზაციებს, თუ ეს ორგანიზაციები მათთვის სასურველ და ქვეყნისთვის მავნებლურ საქმიანობას არ ეწევიან?

ესენი ხომ ის არასამთავრობო ორგანიზაციები არიან, რომლებიც გამუდმებით ცდილობენ, გავლენა მოახდინონ პოლიტიკურ გადაწყვეტილებებზე და არაფერს ერიდებიან;

სიმართლე თქვა ბატონმა პაპუაშვილმა, ზოგი მათგანი ძალიან მდიდარაა და უფრო მდიდრები იქნებოდნენ, პოლიტიკურ პარტიად რომ დარეგისტრირებულიყვნენ, ვიდრე პოლიტიკური პარტიების უმეტესობაა — საუბარია ხუთ უმდიდრეს არასამთავრობო ორგანიზაციაზე.

„დონორები ვეღარ აირიდებენ პასუხისმგებლობას უბრალოდ დათქმის მოშველიებით, რომ არასამთავრობოების საქმიანობის შინაარსზე პასუხს არ აგებენ. უფრო სერიოზული მიდგომაა საჭირო, ვინაიდან სამოქალაქო საზოგადოება გავლენიან პოლიტიკურ ძალად ჩამოყალიბდა,“ — განაცხადა ბატონმა პაპუაშვილმა და ცამდე მართალია;

ისიც სიმართლეა, რომ ცხადად ვხედავთ ზოგიერთ არასამთავრობო ორგანიზაციისა და საკაშვილის მთავრობის ყოფილ თანამდებობის პირებს (მინისტრები, მინისტრის მოადგილეები, პარლამენტის წევრები და მისთანები) შორის კავშირს.

დაფინანსების გარდა, ზოგი ე. წ. ელიტარული არასამთავრობო ორგანიზაცია ეხმარება იმ რადიკალურ (ქვეყნის მავნებელ) პოლიტიკურ პარტიებს, რომლებიც თავს ესხმიან დემოკრატიულად არჩეულ საქართველოს მთავრობას. ფაქტობრივად, საქმეში ჩართულები არიან გავლენის აგენტები, თუმცა პოლიტიკური პასუხისმგებლობა არიდებული აქვთ.

„რადიკალებს რომ მიზნისთვის მიეღწიათ და 2020-2022 წლებში მთავრობა დაემხოთ, ვინ აიღებდა პასუხისმგებლობას ქაოსზე და დიდი ალბათობით, ძალაუფლებაში მოსული დიქტატორული ჯგუფის ქმედებებზე? ეჭვი მეპარება, არასამთავრობო ორგანიზაციებს, ან მათ დონორებს აეღოთ პასუხისმგებლობა. რადიკალიზაცია საქართველოს არაფერში სჭირდება და მაინც, ზოგიერთი არასამთავრობო სწორედ რადიკალებს უწყობს ხელს იმაში, რომ საქართველო ევროკავშირისკენ სავალ გზას ააცდინონ.

და ბოლოს, ორმაგი გამოწვევის საპასუხოდ გარკვეული ნაბიჯების გადადგმა შეგვიძლია,“ — დაწერა შალვა პაპუაშვილმა სოციალურ ქსელში.

შეგიძლიათ და გადადგით!

რამდენი წელია, ეს უცხო ქვეყნ(ებ)ის დესანტი გვიზის საქართველოში და საშველი არ დაადგა მათ გამარგვლა-ამოძირკვას!

წლების წინათაც ასე იყო.

„მე არ მსურს, გავაკრიტიკო სამოქალაქო სექტორი, მაგრამ ერთ მაგალითს გეტყვით — რამდენიმე კვირის წინ ევროკავშირიდან ჩამოსული იყო ერთ-ერთი მაღალი თანამდებობის პირი. მან პირად საუბარში მითხრა, რომ შეხვედრა ჰქონდა წამყვანი არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებთან და გაოცებული დარჩა, რადგან უთხრეს, რომ ისინი ემხრობიან მთავარ ოპოზიციურ ძალას, რადგან ის დღითიდღე სუსტდება. მთავარი არგუმენტაცია იყო, რომ სუსტის დაცვა სურთ. ეს აბსოლუტურად დამახინჯებული მიდგომაა. მან უთხრა ორგანიზაციის წარმომადგენლებს, რომ არც ერთ მხარეს არ უნდა გადაიხაროს არასამთავრობო სექტორი — არც მთავრობისკენ, არც ოპოზიციისკენ, რომ ეს არის ძალიან დიდი შეცდომა — ტენდენციურობა არ უნდა იყოს. ობიექტური კრიტიკისთვის მე პირადად, მზად ვარ, მაგრამ თუ ვიღაც სუბიექტურად მაკრიტიკებს იმის გამო, რომ სხვა პოლიტიკური ძალის ინტერესები გამოხატოს, ესაა უსამართლობა და ამ კრიტიკას არ მივიღებ!.. არასამთავრობოებს, ხშირად, ვერ გაურჩევიათ, სად გადის ობიექტურობის ზღვარი,“ — თქვა მაშინ პრემიერმა ირაკლი ღარიბაშვილმა და მაშინაც აიჯაგრა არასამთავრობო ორგანიზაციების „დასტა“.

საერთოდ, „მდიდარი არასამთავრობო ორგანიზაციები“ რას ჰქვია, რატომ ანებივრებს ბატონი პაპუაშვილი ამგვარად მოხსენიებით ადამიანთა ცალკეულ ჯგუფებს, როცა მათ მარტივად „კასტას“ უწოდებენ, სექტას, ბანდას და კიდევ იმდენად არაეთიკურ სახელს, რომ უხერხულია გამეორება?

ასეა თუ ისე, ფაქტი არ იცვლება, ადამიანთა ამ ჯგუფს „უხილავი გამრიგეს“ მიერ უპირობოდ აქვს მინდობილი აბსოლუტური და ჭეშმარიტი გურუ(ები)ს ნიშა — რასაც ისინი იტყვიან, ეს არის აბსოლუტური სიმართლე და კატეგორიულად მისაღები.

ვინც მეტ-ნაკლებად თვალს ადევნებდა ქართულ პოლიტმდინარებას ბოლო 15-20 წლის განმავლობაში, აუცილებლად ემახსოვრება ახალგაზრდა გოგო-ბიჭები, რომლებსაც დღეს სახელისუფლებო პოლიტიკურ სპექტრში მნიშვნელოვანი ადგილი უკავიათ. განა ეს ცუდია, პირიქით, მისასალმებელია, რომ გოგო-ბიჭები ასე გაზრდილან ყოველმხრივ, თუმცა საზოგადოებას უკვე იმდენად გადაამეტეს თავი, მათი ხსენება და დანახვა აღარ უნდათ...

ისე, ფრიად უცნაურები არიან ქართული არასამთავრობო ორგანიზაციები — შევარდნაძის სულამომდენარი ხელისუფლების დროს დილიდან დაღამებამდე საჩივარ საჩივარზე აცხობდნენ, არიქა, არჩევნების დროს ისეთი დარღვევები მოხდა, თუ სასწრაფოდ არ გამოსწორდა, ვილუპებით, სამყაროს ცენტრი დაიძრაო; შევარდნაძის ხელისუფლების გადატრიალება მოხდა და ჩაწყნარდნენ, თან ისე თბილად და ტკბილად ჩათბუნდნენ, რომ მომდევნო ხელისუფალის 9-წლიანი ბატონობის (დიახ, ასე ჰქვია!) განმავლობაში, სამყაროს ცენტრის დაძვრაზე კი არა, იმაზე არ ამოუღერღიათ ერთი სიტყვა, ქუჩა-ქუჩა ბეღურებივით რომ ხოცავდნენ უდანაშაულო ახალგაზრდებს, პირიქით, 26 მაისის სისხლიანი დარბევა გაამართლეს კიდეც, არასანქცირებული მიტინგი იყო და, აქედან გამომდინარე, იმის ჩადენის უფლება ჰქონდა ხელისუფლებას, რაც ჩაიდინაო...

კი, ფრიად უცნაურები არიან, არასამთავრობო ორგანიზაციაში მოიაზრებიან და ვითომ ადამიანის უფლებებს იცავენ, მაგრამ საკუთარი შეხედულებისამებრ აგონდებათ და ავიწყდებათ ადამიანები... თუმცა რა, რაგინდ შეუძახო, გასაგებია, რომ მგლის თავზე სახარების კითხვა იქნება (თან როგორ „უყვართ“ სახარების ხსენება)!

რიგით მოქალაქეებს აინტერესებთ: 1. რა დანიშნულება აქვს არასამთავრობო ორგანიზაციებს; 2. ვინ აფინანსებს ამდენ არასამთავრობო ორგანიზაციას და რატომ?

პირველ შეკითხვაზე როგორღაც გასცემს პასუხს კაცი თუნდაც საკუთარ თავს, დაზეპირებულ ფრაზას იტყვის, რომ საქართველოში დემოკრატიულ ინსტიტუტებს აძლიერებენ, მაგრამ მეორე შეკითხვაზე პასუხის გამცემი, ალბათ, ბუნებაში არ მოიძებნება. განა იმიტომ, რომ ფიზიკურად არ არსებობს, პირიქით, რომ არსებობს და იმალება, იმიტომ.

ბუნებრივია, კვლავ ებადებათ დაინტერესებულ მოქალაქეებს შეკითხვა: კი, მაგრამ, თუ არაფერი დაუშავებია, რატომ იმალება (იმალებიან)?

აი, ამ შემთხვევაში დგება ის მომენტი, როცა ან უმწეოდ უნდა გაშალოს ხელები, ან თვალი გადაავლოს ამა თუ იმ არასამთავრობო ორგანიზაციის საქმიანობას, დასკვნა თვითონვე გამოიტანოს და სავარაუდო დამფინანსებელიც თვითონ იპოვოს; ეს კიდევ არაფერი, ამის ძიება იქამდეც მიიყვანს, რა დანიშნულებაც აქვთ არასამთავრობოებს სინამდვილეში...

ეს ყველაფერი კარგი, მაგრამ ვინ აუხსნის საზოგადოებას, რატომ არის გასაიდუმლოებული არასამთავრობო ორგანიზაციების ფინანსური წყაროები და გახარჯული თანხების მიმართულება?

ამერიკის იურისტთა ასოციაციის ტრენერი, იურისტი ალექსანდრე ბარამიძე ამბობდა: საია-ს ყურს უგდებენ არა მარტო საქართველოში, არამედ მის ფარგლებს გარეთაც. ყურს უგდებენ თუნდაც დონორები, ერთ-ერთი მათგანი აშშ-ის განვითარების სააგენტოა (USAID), რომელიც აფინანსებს საია-ს. ეს სააგენტო იმიტომ არ აფინანსებს საია-ს, რომ მერე უგულებელყოს ასოციაციის დასკვნები. იგივე ეხება სხვა უფლებადაცვით ორგანიზაციებსაც. ისინი იმიტომ ფინანსდებიან საერთაშორისო დონორების მიერ, რომ შეასრულონ ის მისია რომელსაც მათ დონორები უყენებენ. და თუ დონორი არ წყვეტს დაფინანსებას და საია 15 წლის განმავლობაში საერთაშორისო დონორების მიერ ფინანსდება, ეს იმას ნიშნავს, რომ დონორები კმაყოფილნი არიან.“

საჯარო გახადეთ საპროექტო დოკუმენტაცია, მიღებული საგრანტო განცხადებები, ბიუჯეტები, ანგარიშები შემდეგ კი შექმენით ფორუმი, სადაც ხალხს შესაბამის საკითხზე საკუთარი აზრის გამოხატვის საშუალება მიეცემა. ეს გაცილებით უფრო იაფი და მაღალი ხარისხის იქნება, ვიდრე წელიწადში მილიონი დოლარის ხარჯვა. და თუ ამის გაკეთების შიში არსებობს, ბუნებრივია, დაისმის კითხვა: რატომ?!“

მართლაცდა, რატომ?

მაგალითად, კარგად მახსოვს მეგრული ენისთვის რეგიონული სტატუსისა და ავტონომიის მინიჭების მომხრე საზოგადოების აქტივისტების შეხვედრა სწორედ აშშ-ის განვითარების სააგენტოს **USAID**-ის ხელშეწყობით რომ მოხდა, „ვიღაცამ“ (ვიღაცებმა) კიდევ ერთხელ მოუსინჯეს კბილი ე. წ. მეგრულ სეპარატიზმს და ის „ვიღაც“ რუსეთად მოინათლა, არადა, აშშ-მა წაახალისა. მავანი იტყვის, რაღა დროსია ჩავლილი ამბავი, გაეცა იმ შეხვედრის ხელმძღვანელს პასუხიო.

ამ ერთი კაცისა (იური ღვინჯილია) და მცირერიცხოვანი თანამოაზრეების სურვილები თუ პრეტენზიები მხოლოდ ოდიოზურ განცხადებებად მოინათლა და არავინ ჩაეძია, ვინ აყვირებდა ამ ადამიანებს იმ აფხაზეთის საზღვრისპირა რეგიონში, საქართველოს ერთიან სხეულს მოგლეჯილი ნაწილის ბუნებრივ გაგრძელებაში, რომელ აფხაზეთშიც ვიზითაც ვერ შევდივართ. ენგურზე უკვე გაგვიდეს საზღვარი, მერე თურმე მდინარე ცხენისწყალზეა გამიზნული სავიზო-გამშვები პუნქტის შექმნა... ჩვენ შეგვიძლია, ერთად მოვაგვაროთ პრობ-

ლემები და თუ ვერ მოვაგვარებთ, სხვა მოაგვარებს, არ აქვს მნიშვნელობა, ვინ იქნება. ვნახავთო, იქადნებოდა ღვინჯილია... დროდადრო გამოაძვრენენ ხოლმე მსგავს ღვინჯილიას, კბილს უსინჯავენ, დადგა თუ არა „სამეგრელოს საქმის“ დრო. დავიჯერო, მხოლოდ მე ვფიქრობ ასე?

„დღეს თუ არა ხვალ ქართველები დაიწყებენ ბრძოლას კომუნიზმის წინააღმდეგ. მათთან ბრძოლა აფხაზეთიდან, სამეგრელოდან და სვანეთიდან უნდა დავიწყოთ. საჭიროა ავტონომიების წარდგინება, სათანადოდ უნდა გავაღვივოთ ნაციონალური და ტერიტორიული შუღლი. უნდა დავარწმუნოთ ყველა, რომ ქართველები ჩასახლდნენ აფხაზეთში. დასავლეთ საქართველო უნდა დავუპირისპიროთ აღმოსავლეთს, რის შემდეგაც ჩვენ შუამავლის როლი უნდა შევასრულოთ.

1961 წელი. მიხეილ ანდრეის ძე სუსლოვი,“ — დღეს ნაკლები „სუსლოვები“ არიან თვით საქართველოს წიაღში?

მოკლედ რომ ვთქვათ, საითაც გაიხედავ, **USAID**-ია, უფრო სწორად, მის მიერ დაფინანსებული მსხვილი არასამთავრობო ორგანიზაციები და მათი შემდგომი განშტოებები პატარ-პატარა „ენჯეო“-ების სახით, რომლებიც, ყველა ერთად, აგერ, ბატონმა შალვამაც „მდიდარ არასამთავრობო ორგანიზაციებად“ მოიხსენია, რაც თავისთავად „წამყვანსაც“ ნიშნავს — არ მისცე სადავე და არ იქნება წამყვანი!..

ძალზე რეზონანსული ფაქტი იყო, რომ საერთაშორისო თანამშრომლობის ამერიკულ სააგენტოს (**USAID**) რუსეთის ფედერაციის ტერიტორიაზე საქმიანობა აეკრძალა. თუმცა ამაზე კატეგორიულ დუმილს ამჯობინებდა ქართული მასმედია.

როგორც ითქვა, რუსეთში ამ გადაწყვეტილების მიღების მიზეზი ის ყოფილა, რომ საკმაოდ ხშირად აღნიშნული ორგანიზაციის საქმიანობა აცდენილი იყო ოფიციალურად გაცხადებულ მიზნებს — საუბარია გრანტების განკარგვით პოლიტიკურ პროცესებზე გავლენის მოხდენის მცდელობებზე.

რუსეთის ამგვარი გადაწყვეტილება ვაშინგტონისთვის ლოყაში სილის გარტყმად შეაფასეს თვით ამერიკულ პრესაში.

ეს საშინელი პრეცედენტია, რუსეთის მაგალითს შეიძლებმა სხვებმაც მიბაძონო, – თქვა სიუზან კორკიმ.

რუსეთის მიმბაძველი, ჯერჯერობით, არ ჩანს, აშშ-ის მიბაძვა ვცადეთ და „რუსული კანონიაო“, მაგრამ ტყუილად ხომ არ აყვირდებიან, დასამალი რომ არ ჰქონდეთ ბევრი და მნიშვნელოვანი რამ?

საინტერესოა და გთავაზობთ მაკედონელი ანარქისტების მიერ მომზადებული კრიტიკული ტექსტიდან ამონარიდებს არასამთავრობო ორგანიზაციების საქმიანობასა და როლზე თანამედროვე მსოფლიოში.

კითხვა, ვინ აფინანსებს არასამთავრობო ორგანიზაციებს ძალზე მნიშვნელოვანია, რამდენადაც მასზე პასუხს მივყავართ სხვა კითხვაზე პასუხთანაც, როგორიცაა: ვის ინტერესებს ემსახურებიან ისინი? რა არის მათი რეალური მიზანი და როლი საზოგადოებაში? **კითხვა, ვინ აფინანსებს ნჯო-ებს, ფარდას ხდის მათი დამოუკიდებლობისა და არასამთავრობო ხასიათის ილუზიას!**

მაია ჭელიძე

ანაკლიის პორტის გავლით ტოკიოდან ლისაბონამდე

4 გვ.

რომელიც ორი წლის განმავლობაში ყველა ტრიბუნიდან ამბობდა, რომ საქართველოს ხელისუფლება არ არის ღირსი ევროკომისიის დადებითი გადაწყვეტილებისა. იგი ბოლო მომენტამდე მოგვიწოდებდა, რომ რაღაც პარამეტრებში ჩამოვრჩებით თურმე, მოლდოვასა და უკრაინას და მათ უნდა დავეწიოთ. რაც იყო მართლა გაუგონარი მოწოდება, რადგან მე არ მინდა, შედარება მოვიყვანო, მთელ რიგ პარამეტრებში საქართველოსა და ამ ორ დასახელებულ ქვეყანას შორის. ეს არის ადამიანი, რომელმაც ბოლოს, მაღალი ტრიბუნიდან საკუთარსა და ჩვენს წარმომავლობას შორის თითქოს რაღაც ხელოვნური ზღვარი გადო, გვამუნათებდა ჩვენი საბჭოური წარსულის გამო და ეს ტერმინი ჩვენთან მიმართებაში ორგზის ახსენა. ჩვენი 300 ათასი ქართველი წინაპარი, ფაშისტურ გერმანიასთან ომს შეეწირა, იმისთვის, რომ სალომე ზურაბიშვილს და მის სანათესაოს, ემიგრაციაში წასულებს, მშვიდობიანი ცა ჰქონოდათ, განვითარება, სწავლა და მუშაობა შეძლებოდათ... ამ ყველაფრის გამო კი გვაკნინებს და გვსაყვედურობს.

სალომე ზურაბიშვილის ლანძღვა-გინება, მისი დღევანდელი მოკავშირეების მხრიდან, როგორც ჩანს, ასევე ერთიანი გეგმის ნაწილი იყო. ამიტომაც ჩამოიწმინდა ასე იოლად „მადამ პღეზიდანმა“ მისი მისამართით გაშვებული ყველა „ფურთხი“. დღეს ნაცების „პირველი“ და „მესამე“ პრეზიდენტები ერთიანი ძალებით გამოდიან საქართველოს წინააღმდეგ, კულუარული ბრძოლის რეჟიმიდან ღია ფრონტის „ვა-ბანკ“ ფორმატში. სწორედ ამ ღიად გამოსვლის ნაწილია მისი ეგრეთ წოდებული ახალი ერთობა.

- მმართველი გუნდი ბოლო დროს საკმაოდ კრიტიკულია არასამთავრობო ორგანიზაციების მიმართ და მათი საქმიანობის გამჭვირვალეობას ითხოვს. ეს ხომ არ ნიშნავს იმას, რომ შესაძლოა, „ხალხის ძალის“ მიერ ინიცირებული კანონი პარლამენტში განსახილველად დაბრუნდეს?

- „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“ კანონი ამ მოწვევის პარლამენტში ნადვილად არ დაბრუნდება, თუმცა, სავარაუდოდ, ის დაბრუნდება ახალი მოწვევის პარლამენტში. შესაძლოა, მანამდე ეროკავშირმაც მიიღოს მსგავსი კანონი თავისი საკანონმდებლო მოქმედების სივრცეში. ჩვენ კი, ევროკავშირში მოქმედ კანონმდებლობასთან თანხვედრისთვის, შესაძლოა, განვიხილოთ ის ოთხფურცლიანი ქართული ეროვნული კანონი და თუ ძირფესვიანი განსხვავება არ იქნება ევროპულ კანონთან, ზუსტად იგივე ვარიანტი დავაბრუნოთ განხილვის სტადიაზე, რაც აუცილებლად სჭირდება საქართველოს.

რაც შეეხება „ენჯეოს“ სექტორის გააქტიურებას ბოლო პერიოდში, არაერთხელ მითქვამს ვარაუდად და არ არის გამორიცხული, რომ ახლა მიმდინარეობს გრანტების სახით მათთვის განკუთვნილი მსხვილი ფინანსური შემოდინებების „ჭამის“ პროცესი, რაც შეიძლება უკანასკნელიც იყოს. მათ უნდა მოასწრონ, აითვისონ ეს თანხები, რადგან, თუ დონალდ ტრამპი და კონსერვატიული „რესპუბლიკელების“ გუნდი დაბრუნდა თეთრ სახლში, გამოვრიცხავ, რომ მათ ამ დონის ფინანსური შემოდინება გაუგრძელდეთ. შესაძლოა, საერთოდ შეუწყდეთ დაფინანსების წყაროები, ვინაიდან არაერთგზის აქვს ნათქვამი დონალდ ტრამპს, რომ მისთვის გაუგებარია, სად მიდის და რაში იხარჯება ამერიკელი გადასახადების გადამხდელების თანხები. ამიტომ ვაცადოთ, დაველოდით ჩვენს არჩევნებს 26 ოქტომბერს და აშშ-ის არჩევნებს 4 ნოემბერს. ძალიან მალე, „ენჯეოს“ სექტორშიც შეიცვლება მდგომარეობა, მათი გამჭვირვალობის კუთხით მაინც, რადგან საზოგადოებამ უნდა იცოდეს, ვინ რა თანხებს და რა მიზნით ხარჯავს საქართველოში!

ნონა ქარქაშაძე

ელექტრონული არჩევნები დესტრუქციულ სცენარს გამორიცხავს

7 გვ.

— რა თქმა უნდა, მთელი ეს პროცესები, რაც „ნაცმოძრაობაში“ მოხდა, საარჩევნო სიის გამო დაიწყო. ვგულისხმობ მელიას პარტიიდან გაგდებას და თავმჯდომარედ ხაბეიშვილის დანიშვნას. ეს უკანასკნელი ნაცების რეიტინგს სერიოზულ პრობლემას უქმნის. პარტიული სიის წარდგენას ხელი მან უნდა მოაწეროს. 5 ნომრის სააკაშვილთან გაიგივება გარკვეულ დივიდენდებს მოიტანს. ამიტომ, თუ ვინმეს პერსპექტივა აქვს, პარლამენტში წარმომადგენლობა ჰყავდეს, ეს „ნაცმოძრაობაა“. „ნაცმოძრაობის“ ფრაქცია პარლამენტში ბევრჯერ დაიშალა. იგივე პროცესები მიდის ახლა საკრებულოში, მათ ფრაქციაში. ყველა ელოდება, ვინ იქნება სიაში. ამას ემატება ვაშაძე, რომელმაც საკუთარ პარტიაზე, იდეოლოგიაზე უარი თქვა. ბუნებრივია, მასაც ექნება პრეტენზია, სიაში წამყვან პოზიციაზე მოხვდეს. როცა საკუთარი პარტიის ლიდერები უნდა გადაანაცვლო, სიაში უკან გადასწიო და მათ ადგილზე სხვა შემოერთებული პარტიის ლიდერები ჩასვა, ეს, რა თქმა უნდა, კონფლიქტს გამოიწვევს.

— ოპოზიცია აცხადებს, სანამ მიშა ციხეშია, არჩევნები ლეგიტიმურად არ ჩაითვლებაო. სხვათა შორის, მიშამ დაგვაიმედა, არჩევნების დროს ბრძოლის წინა ხაზზე ვიქნები და ნაცების „ბორდს“ სათავეში ჩავუდგებიო.

— სააკაშვილის ადგილი ციხეშია და ჯანმრთელობის მდგომარეობის გამოსწორებისთანავე სწორედ იქ დაბრუნდება. მინდა მადლობა გადავუხადო „ვივამედის“ პერსონალს, რომ იგი „გამოაჯანმრთელეს“ და წონაშიც კი მოიმატა. სააკაშვილმა დემენცია, რომლის დამარცხების წინაშე მსოფლიო უძლურია, „ვივამედში“ სრულიად მარტომ დაამარცხა ექიმების უმეთვალყურეობისა და უყურადღებობის ფონზე. ასე აცხადებს თავად.

უკრაინის მოქალაქე სააკაშვილს შევახსენებ საქართველოს კონსტიტუციას, რომლის თანახმად, თუ ის საარჩევნო კამპანიაში ჩაერთვება, დაჯარიმდება. ამიტომ მიშას იმედზე ყოფნა ნაცებს არ გამოადგებათ. იგ უკვე თავად ნაცებისთვისაც წარსულია. თუმცა მისი რეიტინგი, გარკვეულწილად, შეიძლება მნიშვნელოვანი იყოს, მაგრამ მის პარტიაში გადაწყვეტილებებს ახლა კეზერაშვილი იღებს.

რაც შეეხება ოპოზიციის მიერ არჩევნების გაყალბებაზე წინასწარ საუბარს, ეს განპირობებულია იმით, რომ მათ იციან, არჩევნების გზით ხელისუფლებაში ვერ დაბრუნდებიან. ამიტომ ცდილობენ, საზოგადოებაში ჩამოაყალიბონ აღქმები, თითქოს არჩევნების შედეგები ქართველი ხალხის სურვილს არ ასახავს. რაც შეეხება ნაცების მოსაზრებას, ელექტრონული წესით ჩატარებული არჩევნები გაყალბდებაო, მცდარია.

— ბატონო ლადო, რამდენად უკავშირდება არჩევნებს ივანიშვილის პოლიტიკაში შემოსვლა და მის მიერ განხორციელებული საკადრო ცვლილებები?

— ბიძინა ივანიშვილი იმ გამარჯვების შემოქმედია, რასაც 2012 წელს ქართველმა ხალხმა ნაცების წინააღმდეგ მიაღწია. მისი პარტიის საპატიო თავმჯდომარედ არჩევა მნიშვნელოვანია. მან პოლიტიკაში დაბრუნების მიზეზი თავად განმარტა, ოპოზიცია ძალიან დასუსტებულია არა იმიტომ, რომ არჩევნებში შედეგებს ვერ დებს, არამედ ის ოპონირებას ვერ უწევს ხელისუფლებასო. როცა ოპოზიცია სუსტია, ბევრი მიმართულებით გარკვეული საფრთხეები არსებობს, რისი მოგვარებაც ივანიშვილმა პოლიტიკაში დაბრუნებით საკუთარ თავზე კიდევ ერთხელ აიღო. ერთი მხრივ, მას სურს, გუნდს გამარჯვებაში დაეხმაროს, მეორე მხრივ კი, ყველას ახსოვდეს, რომ იგი აქ არის და ძალაუფლების ბოროტად გამოყენების საშუალებას არავის მისცემს.

— ბოლოს ემიგრანტების არჩევნებში ჩართულობაზეც გვითხარით...

— „ნაცმოძრაობის“ მხრიდან ემიგრანტების თემით მანიპულირება სამარცხვინოა, რადგან ემიგრაციის 30-წლიან პერიოდში, ქვეყნიდან მოსახლეობის ყველაზე დიდი რაოდენობა სწორედ ნაცების დროს წავიდა. დიახ, ხალხი მათ ავტორიტარულ რეჟიმს გაექცა. ახლა ამ ადამიანების საკუთარ მხარდამჭერებად გამოცხადება სირცხვილი და რეალობასთან შეუსაბამობაა. უცხოეთში ტერიტორიებზე, სადაც ჩვენი საელჩოები, საკონსულოებია განთავსებული, საარჩევნო უბნები ყველგან გახსნილია. საქართველოს მოქალაქეებს შეუძლიათ რეგისტრაცია გაიარონ და ხმა შეუფერხებლად მისცენ. კანონმდებლობა ჩვენს მოქალაქეებზეა ორიენტირებული.

თამარ შველიძე

ორხელისუფლებიანობა აშშ-ში – გამოსვლები ევროპაში

გაურკვევლობა, ქაოსი, უნდობლობა სუფევს დღევანდელ მსოფლიო პოლიტიკაში. მიმდინარე ომების შეჩერებაზე კი არა, პოლიტოლოგები სულ უფრო ხშირად ახალი კერების აღმოცენების საშიშროებაზე საუბრობენ. განსაკუთრებით მძიმე სიტუაცია ახლო აღმოსავლეთშია, სადაც ერთბაშად რამდენიმე ცხელი წერტილია. მართალია, დიდი ომების კოცონი ზოგ ქვეყანაში ჯერ არ აგიზგიზებულა, მაგრამ არც არაფერი უკლიაო, დაბეჯითებით აცხადებენ ექსპერტები.

უკვე ოთხი თვე გავიდა, რაც „ჰამასის“ დაჯგუფებამ საშინელებები დაატრიალა ისრაელის ქალაქებში, დახოცა, მძევლად აიყვანა მშვიდობიანი მოსახლეობა. ისრაელის ხელისუფლებამ არანაკლებ სასტიკი პასუხი გასცა, რაც დღემდე გრძელდება. ღაზას სექტორში მსხვერპლი მშვიდობიან მოსახლეობას შორის ყოველდღიურად იზრდება. მსოფლიოს ქვეყნებში სულ უფრო იმატებს ანტიისრაელური განწყობა, იმართება აქციები პალესტინელი ხალხის მხარდასაჭერად. ახლახან სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკამ ისრაელის სახელმწიფოს ჰააგის საერთაშორისო სასამართლოში უჩივლა პალესტინელი ხალხის მიმართ განხორციელებული გენოციდის გამო.

„ჰამასის“ წინააღმდეგ ოპერაციის მსვლელობისას ისრაელის სამხედრო მაღალჩინოსნები ღაზას მოსახლეობას მოუწოდებდნენ, სამხრეთში წასულიყვნენ, სადაც უსაფრთხოდ იქნებოდნენ. ეგვიპტის საზღვართან მდებარე ქალაქ რაფახში მილიონზე მეტმა დევნილმა მოიყარა თავი. გასულ კვირას ისრაელის პრემიერ-მინისტრმა ბენიამინ ნეთანიაჰუმ განაცხადა, რომ რამადანის დადგომამდე (მუსლიმთა დღესასწაული, რომელიც 11 მარტს იწყება) აპირებს „ჰამასის“ წინააღმდეგ ბრძოლების დასრულებას. გავრცელებულმა ინფორმაციამ შეაშფოთა, როგორც ღაზას დევნილი მოსახლეობა, ისე უცხოელი პოლიტიკოსები. რაფახში სამხედრო ოპერაციის დაწყებას დევნილი მოსახლეობის დიდი რაოდენობა შეეწირება. ერთადერთი უსაფრთხო თავშესაფარი მათთვის ეგვიპტე იქნება, ისიც იმ შემთხვევაში, თუ ქვეყნის ხელისუფლება საზღვარს გაუხსნის დევნილებს. ისრაელის არმიამ ორშაბათს გამთენიისას უკვე დაიწყო რაფახში სამხედრო ოპერაცია. დაიბომბა ორი მეჩეთიც, სადაც დევნილები აფარებდნენ თავს. გავრცელებული ინფორმაციით, მოსახლეობაში, როგორც მოსალოდნელი იყო, დიდი მსხვერპლია.

გასულ კვირას მორიგი ტურნე განახორციელა ახლო აღმოსავლეთში ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანმა ენტონი ბლინკენმა. ვიზიტის მიზანი რეგიონში არსებული მძიმე სიტუაციის განმუხტვა იყო. ბლინკენი ხუთი ქვეყნის მეთაურებს, ვიზიტის ბოლო დღეს კი ნეთანიაჰუს შეხვდა. სამშობლოში გამგზავრებისას დიპლომატს სახეზე აშკარად ეტყობოდა უკმაყოფილება. პოლიტოლოგების შეფასებით, ახლო აღმოსავლეთში მისი ვოიაჟი ამჯერადაც უშედეგოდ დასრულდა. სწორედ ბლინკენის გამგზავრების შემდეგ დააანონსა ნეთანიაჰუმ რაფახში სამხედრო ოპერაციის დაწყება, რომლის განხორციელებაც უკვე დაიწყო. პოლიტოლოგების შეფასებით, ისრაელის პრემიერი აღარავის აზრს აღარ ითვალისწინებს, მათ შორის, უახლოესი მოკავშირისასაც.

რეგიონის სხვა ქვეყნებშიც რთული ვითარებაა. იემენზე აშშ-ისა და ბრიტანეთის საავიაციო შეტევები თითქმის ჩვეულებრივ მოვლენად იქცა. გასულ კვირას კვლავ შეუტია აშშ-მა ერაყისა და სირიის სამხედრო ობიექტებს. აშშ-ის ოფიციალური პირების განცხადებით, შეტევები პროირანული დაჯგუფებების წინააღმდეგ ხორციელდება. მომხდარი გაერთიანებული ერების უშიშროების საბჭოზე განიხილეს, სადაც ერაყის წარმომადგენელმა მკვეთრი განცხადება გააკეთა, რომელსაც მხარი სხვა ქვეყნების წარმომადგენლებმაც დაუჭირეს და სუვერენულ ქვეყნებზე შეტევა დაგმეს. ერაყის მოსახლეობასთან ერთად უკვე ხელისუფლებაც კატეგორიულად მოითხოვს ქვეყნიდან აშშ-ის სამხედრო ბაზების გატანას და ჯარების გაყვანას.

სამხედრო ექსპერტები შიშობენ, რომ ახლო აღმოსავლეთში, შესაძლოა, ცხელი წერტილების რაოდენობა გაიზარდოს. გავრცელებული ინფორმაციით, იემენში იმუქრებიან, რომ წითელ ზღვაში განაგრძობენ ამერიკულ და ბრიტანულ გემებზე შეტევებს. მართალია, უშიშროების საბჭოში ბრიტანეთის წარმომადგენელმა განაცხადა, ჩვენ ირანთან ომი არ გვინდაო, მაგრამ აშშ-ის კანონმდებლები ღიად მოუწოდებენ პრეზიდენტ ჯო ბაიდენს, ირანის წინააღმდეგ ფართომასშტაბიანი ომი დაიწყოს. ირანის ხელისუფლება აცხადებს, რომ ქვეყანაზე განხორციელებულ აგრესიას არავისგან მოითმენს და ყველას სათანადო პასუხს გასცემს. ყოვლისმცოდნე ექსპერტ-ანალიტიკოსები თავს იკავებენ პროგნოზებისგან.

ორხელისუფლებიანობა გრძელდება აშშ-ში. ტეხასის შტატის გუბერნატორი გრეგ ებოტი არ აპირებს დათმობაზე წასვლას და მექსიკასთან საზღვარი მიგრანტებისთვის ჩაკეტილი აქვს. ჯო ბაიდენი კონგრესს ადანაშაულებს, საზღვრის დაცვაში მხარს არ მიჭერსო, მაგრამ ქვეყნის მეთაურს საზღვარზე კონტროლის დასამყარებლად საკმარისი უფლებამოსილება გააჩნია. მიგრანტების მიღებით, ძირითადად, დემოკრატები არიან დაინტერესებული. მათ იმედი აქვთ, რომ, თუ ქვეყანაში არალეგალურად შესულებს დაჩქარებული წესით მისცემენ მოქალაქეობას, არჩევნებში მათგან მხარდაჭერა გარანტირებული ექნებათ. ამიტომაც, მიგრანტები იმ შტატებში მიჰყავთ, რომლებიც დემოკრატებს უჭერენ მხარს. ნიუ-იორკის მერია მზად არის, მიგრანტებს უფასოდ გადასცეს საბანკო ბარათები.

საპრეზიდენტო არჩევნებამდე ათი თვეა, მაგრამ თანამდებობისთვის ბრძოლა დღითიდღე მძაფრდება. დემოკრატები ყოველნაირად ცდილობენ, დონალდ ტრამპი არჩევნებს ჩამოაცილონ. საპრეზიდენტო არჩევნებში ტრამპის კანდიდატობის საკითხს აშშ-ის უმაღლესი სასამართლო გადაწყვეტს. დემოკრატების ფავორიტისა და მოქმედი პრეზიდენტის ჯანმრთელობა შემაშფოთებელია. ლას-ვეგასში ამომრჩევლებთან შეხვედრაზე ჯო ბაიდენმა განაცხადა: „...როგორც კი პრეზიდენტად ამირჩიეს, დიდ ბრიტანეთში G-7-ის სამიტზე გავემგზავრე (მხედველობაში ჰქონდა 2021 წლის შეხვედრა. — გ. ბ.) იქ შევხვდი საფრანგეთის პრეზიდენტს ფრანსუა მიტერანს (რომელიც 1996 წელს გარდაიცვალა. — გ. ბ.) და ვუთხარი: აშშ დაბრუნდა“. დარბაზში თავშეკავებული სიცილი გაისმა. სპეცპროკურორმა რობერტ ჰურიმ, რომელიც ჯო ბაიდენის სახლში საიდუმლო საბუთების აღმოჩენის საქმეს იკვლევს, განაცხადა, რომ ბაიდენის პასუხისგებაში მიცემა არ შეიძლება, რადგან მას ასაკის გამო მახსოვრობა დაუქვეითდა. სავარაუდოდ, ამიტომაც განაცხადა დონალდ ტრამპმა: „...გამორიცხული არ არის, აშშ-მ საპრეზიდენტო არჩევნებამდე ვერც მიაღწიოს, რადგან, შესაძლოა, ამ პერიოდში პრეზიდენტმა მსოფლიო ომი დაიწყოს“.

მოულოდნელობა აღმოჩნდა აშშ-ის ერთ-ერთი წამყვანი ჟურნალისტის ტაკერ კარლსონის მოსკოვში ყოფნა. რამდენიმე დღე არ აფიშირდებოდა ეს ფაქტი, მაგრამ ჟურნალისტებმა იგი დიდ თეატრში, კაფეში და მაღაზიებში დააფიქსირეს. მოგვიანებით კარლსონმა სოცქსელებში თავად გაავრცელა განცხადება, რომ მოსკოვში იმყოფებოდა რუსეთის პრეზიდენტთან, ვლადიმირ პუტინთან ინტერვიუს ჩასაწერად. „აქ იმიტომ კი არ ვარ, რომ პუტინი მიყვარს, აქ იმიტომ ვარ, რომ ამერიკა მიყვარს“, — თქვა მიმართვაში კარლსონმა. ინტერვიუ შედგა. ის პირდაპირ ეთერში გადაიცემოდა სოცქსელებში. პუტინთან საუბარი ორ საათს გაგრძელდა, რომელსაც არაერთგვაროვანი შეფასება მისცეს მსოფლიოს პოლიტიკოსებმა. დასამახსოვრებელი იყო პუტინის გამონათქვამი: „...რუსეთის დამარცხება ბრძოლის ველზე შეუძლებელია“. მისივე თქმით, რუსეთი მოძმე უკრაინელ ხალხთან საერთო ენას გამონახავს და მშვიდობიან თანაცხოვრებასაც დაიწყებენ. თუმცა, როდის შეწყდება სისხლისღვრა და დამყარდება მშვიდობა, არ დაუკონკრეტებია, არც ჟურნალისტი ჩაძიებია...

მეზობელ აზერბაიჯანში ვადამდელი საპრეზიდენტო არჩევნები შუა კვირაში გაიმართა. მოქმედმა პრეზიდენტმა ილჰამ ალიევმა ნოკაუტით დაამარცხა კონკურენტები, მან ხმათა 92% მიიღო. აღსანიშნავია, რომ ვადამდელი არჩევნებით ალიევმა პოზიციები გაიმყარა. არჩევნებს ყარაბაღის შეერთების შემდეგ განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა — იქაურმა მოსახლეობამ ალიევს მხარდაჭერა გამოუცხადა. ალიევმა ოჯახთან ერთად სწორედ ყარაბაღში მიიღო არჩევნებში მონაწილეობა.

ევროპის ქვეყნებში საპროტესტო გამოსვლები მასშტაბურ ხასიათს იძენს. ფერმერებს სხვა დარგების წარმომადგენლებმაც მიბაძეს. ბრიტანეთში გაიფიცნენ სამედიცინო სფეროს მუშაკებიც. საგულისხმო განცხადება გააკეთა უნგრეთის პრემიერ-მინისტრმა ვიქტორ ორბანმა: „ევროკავშირის ჩინოვნიკები ხალხის ხმას ყურადღებას აღარ აქცევენ და მათ არაფრად აგდებენ, რაც დემოკრატიის დეფიციტია“.

შეისმენენ თუ არა ხალხის ხმას ევროჩინოვნიკები და გაითვალისწინებენ თუ არა მათ მოთხოვნებს, მომავალში გამოჩნდება, მანამდე კი ევროპის ქვეყნებში ცხოვრების დონის დაცემის გამო უკმაყოფილება იმატებს.

გია ბურდული

რუსეთი – სახელად „სანქცია“

„დასავლური მედია კორუმპირებულია და მთელ მსოფლიოს ატყუებს...“

გაგონილი მაქვს ლეგენდა: საქართველოში კიდევ ერთხელ შემოვარდნილმა თემურ ლენგმა დაინახა, რომ კახელი გლერხი მიწას ხნავს და გულიანად ღიღინებს. მოაყვანინა გლეხი და ჰკითხა, ვინ ვარ, იცი? გლეხმა ახედ-დახედა და — გიცანი, თემურ ლენგი ხარო. მერე, რა გამღერებს? ხომ ხედავ, მერვედ მოვედი თქვენს შესამუსრად?! — უყვირა. მერვედ იმიტომ დაგვესხი თავს, რომ შვიდჯერ ვერაფერი მოგვჭამეო, — წყნარად მიუგო გლეხმა.

ეს თქმულება რამ გამახსენა?

რამ გამახსენა და რუსეთისთვის დაწესებულმა მორიგმა სანქციამ, როდესაც სანქციებში ბრილიანტის (ალმასის) მომპოვებელი კონცერნი „ალროსი“ მოხვდა და კვლავ ახალი სანქციების პაკეტს ამზადებენ.

რა უცნაურ სანქციებს უწესებენ რუსეთს?

ბრიტანული გამოცემა „Financial Times“-ი წერს, რომ 2023 წელს რუსულმა ბანკებმა რეკორდული მოგება მიიღეს. დასავლეთი თვითონვე ავრცელებს ინფორმაციებს, რომ რუსული ნედლეული არასანქცირებულ ქვეყნებში გადაყიდვის შედეგად ძველებურად ტრიალებს დამსანქცირებელ ქვეყნებში ბევრად გაზრდილი ფასით.

ეს რანაირი დასანქცირებაა, რა თამაშია რუსეთის გამდიდრებისკენ სწრაფვა? უტვინო თავები სანქციებზე ხელმოწერების დართვით ენას ატანენ ძალას?

ახლა სხვა მხრიდან შევხედოთ — ეს, ერთი მხრივ, მთავრობის სუბსიდირებით წახალისებული ხალხის მიერ დიდი რაოდენობით იპოთეკური სესხების გამოტანამ განაპირობა, მეორე მხრივ, ამ ყოველივეს დაერთო დასავლური კომპანიების მიერ (რომლებმაც სხვა ბრენდის ქვეშ, ანუ შენიღბულად არ განაგრძეს საქმიანობა) რუსეთის დატოვება, რამაც რუსეთში მათ მიერ დატოვებული აქტივების შესყიდვაზე მოთხოვნის ბუმი გამოიწვია.

რუსეთისთვის დაწესებულმა საერთაშორისო სანქციებმა, რომელთა მიზანი უკრაინაში შეჭრის გამო რუსეთის ფინანსური სისტემის სრული იზოლირება იყო, უკულმა იმუშავა და, შესაბამისად, 2023 წელს რუსულმა ბანკებმა 37 მილიარდი დოლარი გამოიმუშავეს, რაც წინა წლის მაჩვენებელს 16-ჯერ აღემატება.

ბანკების შემოსავლების ზრდის ერთ-ერთი განმაპირობებელი რუსეთში აღებული იპოთეკური სესხების რაოდენობის 34,5%-ით ზრდა გახდა, რაც მთავრობის მიერ გაცემულმა სუბსიდიებმა გამოიწვია. ამ პროგრამების მიზანი ქვეყანაში იპითეკური სესხების მოთხოვნის გაზრდა იყო და შედეგიც დაიდო, 2023 წელს რუსეთში იპოთეკური სესხების რაოდენობის ნახევარზე მეტი მთავრობის სუბსიდიით იყო აღებული. შედარებისთვის, ზოგადად, იპოთეკურ სესხებზე საპროცენტო განაკვეთი 14%-ს შეადგენს, ხოლო მთავრობის სუბსიდირებით ეს მაჩვენებელი 8%-მდე იწევს, ახალგაზრდა ოჯახებისთვის კი სულაც 6%-მდე ჩამოდის.

რუსეთის ცენტრალური ბანკის საპროცენტო განაკვეთი ახლა 16%-ია, მას შემდეგ, რაც 2023 წლის ივლისიდან მოყოლებული, ცენტრალურმა ბანკმა ის 7,5%-იდან ხუთ ეტაპად გაზარდა, ასეთი საპროცენტო განაკვეთი კი უკრაინაზე თავდასხმის შემდეგ მიხებულ 20%-იან მაჩვენებელს უახლოვდება.

რუსეთისთვის დაწესებული სანქციების გამო უცხოური კომპანიების მიერ ქვეყნის დატოვებამ და მათი აქტივების შეძენამ რუსეთის შიდა ბაზარზე სესხების ბუმი გამოიწვია, ზოგ შემთხვევაში კი მათი ქონების ექსპროპრიაცია დაიწყო. ამ ყველაფრის შედეგად, ქვეყანაში ამ აქტივების შესყიდვის მსურველთა დიდი რაოდენობა გაჩნდა, რომელთაც, თავის მხრივ, რუსეთში სესხზე მოთხოვნა გაზარდეს.

რუსული ბანკების კორპორაციული კრედიტების საერთო პორტფოლიო 2023 წელს 20%-ით გაიზარდა, საიდანაც 5,59 მილიარდი დოლარის ღირებულების სესხები იმ უცხოურ კომპანიებთან დადებულ შეთანხმებებზე მოდის, რომლებმაც რუსეთი დატოვეს.

რუსეთის ცენტრალური ბანკის საბანკო რეგულაციების დეპარტამენტის ხელმძღვანელმა ალექსანდერ დანილოვმა განაცხადა, რომ ასეთმა შედეგმა გააოცა. მისი თქმით, მარტის თვეში მოელოდა, რომ მოგება ზომიერი და არაუმეტს 11 მილიარდი დოლარი იქნებოდა.

რეკორდული მაჩვენებელი მიანიშნებს, რომ აშშ-ისა და ევროპის მცდელობების მიუხედავად, რუსეთის ეკონომიკა იმაზე ბევრად მედეგი ყოფილა, ვიდრე წარმოედგინათ.

30 იანვარს საერთაშორისო სავალუტო ფონდმა განახლებული პროგნოზი გამოაქვეყნა, რომლის მიხედვითაც, მოსალოდნელია, რომ რუსეთის ეკონომიკა 2024 წელს 2.6%-ით გაიზრდება, რაც, თუ გამართლდა, ოქტომბრის პროგნოზთან შედარებით, ორჯერ უფრო სწრაფი ზრდა იქნება.

ასე ასკვნის საერთაშორისო სავალუტო ფონდი. ეს ინფორმაცია ბიზნესწრეებში ბრიტანულმა გამოცემამაც გაავრცელა, მაგრამ ამით რუსეთს არაფერი უშავდება, პირიქით, მოგებაზეა რეკორდულ მოგებაზეა გასული და ამ გზით განაგრძობს სვლას.

როგორც მოცემულობა გვიჩვენებს, გასაოცრად უცნაურად საზღვრავენ ყველაფერს იმ კოლექტიურ დასავლეთში, რაც რუსეთის ჩამოქცევას უკავშირდება. როგორც ვხედავთ, კოლექტიურ დასავლეთს რუსეთის არც საომარ ველზე დამარცხების შნო ჰქონია და არც არც ფინანსურ მინდორზე. სწორედაც რომ უნიათოები ყოფილან, მხოლოდ პატარა და ღარიბ ქვეყნებს ჩაგრავენ...

თითქოს ეს თავსატეხები არ ეყოფოდათ და ახლა მსოფლიოში ცნობილი ტელეწამყვანი, ტაკერ კარლსონი გამოვიდა ასპარეზზე გამომწვევად. „დასავლური მედია კორუმპირებულია და მთელ მსოფლიოს ატყუებს, ამიტომ ჩამოვედი მოსკოვში პუტინთან ინტერვიუსთვის,“ — განაცხადა მან და ჩაწერა კიდეც ინტერვიუ რუსეთის პრეზიდენტთან, რომლის მოსმენა და ნახვა ნებისმიერ დაინტერესებულ ადამიანს შეუძლია.

კონსერვატიული შეხედულების მქონე ტაკერ კარლსონის ეს სიტყვები სასტიკად არ მოეწონათ ლიბერასტებს და არა მხოლოდ მათ. შესაბამისად, მყისიერად დაიწყო საუბარი, რომ ვლადიმირ პუტინთან ინტერვიუს გამო, შესაძლოა, ევროკავშირმა სანქციები დაუწესოს ცნობილ ჟურნალისტს. ამის შესახებ ახლანდელმა და ყოფილმა ევროპარლამენტარებმა დაიწყეს საუბარი. როგორც ბელგიის ყოფილმა პრემიერ-მინისტრმა გაი ფერსჰოფტმა გამოცემა „Newsweek“-ს განუცხადა, ამ ინტერვიუს, შესაძლოა, რთული შედეგები მოჰყვეს ტაკერისთვის. ევროპელმა კანონმდებელმა ევროკავშირის წევრ ქვეყნებს ტაკერ კარლსონისთვის მოგზაურობის შეზღუდვების დაწესებისკენ მოუწოდა და აღნიშნა, რომ იგი (ტაკერ კარლსონი) დონალდ ტრამპისა და ვლადიმირ პუტინის იდეების გამხმოვანებელია: „იქიდან გამომდინარე, რომ პუტინი ომის დამნაშავეა, ლოგიკურია, ევროკავშირმა განიხილოს კარლსონის შესაძლო დასანქცირების გზებიც“, — დაამატა ფერსჰოფტმა.

ტაკერ კარლსონმა მარტივად განმარტა: „ჩვენ არ გვიყვარს პუტინი, ჩვენ არ მოგიწოდებთ, რომ დაეთანხმოთ მის მოსაზრებებს, მაგრამ ჩვენ მოგიწოდებთ, რომ უყუროთ მასთან ინტერვიუს, რადგან თქვენ რაც შეიძლება მეტი უნდა იცოდეთ.“

რა თქმა უნდა, პუტინის ტაკერთან ინტერვიუ თვით იმ დამსანქცირებლების კანტორას სხვაზე მეტად აინტერესებს, მაგრამ...

ევროკავშირის საგარეო ქმედებათა სამსახური (EAS) არის ორგანიზაციის დიპლომატიური მხარე, რომელიც პასუხისმგებელია საგარეო პოლიტიკაზე. იმისათვის, რომ ინდივიდი ევროკავშირის სანქციების სიას დაემატოს, განსახილველი მტკიცებულებები სწორედ ამ ორგანოს უნდა წარედგინოს. თუ მტკიცებულებები საკმარისად ჩაითვლება, EAS-ს შეუძლია, წარუდგინოს საქმე ევროპულ საბჭოს, ორგანოს, რომელიც ევროკავშირის ქვეყნების ე. წ. ლიდერებისგან შედგება, სწორედ ეს უკანასკნელი იღებს საბოლოო გადაწყვეტილებას სანქციების დაწესების შესახებ. აქედან გამომდინარე, ტაკერ კარლსონისთვის სანქციების დაწესებას გარკვეული დრო დასჭირდება, თუნდაც ევროკავშირის წევრი ყველა სახელმწიფო ლიდერი ამაზე შეთანხმდეს.

ტაკერ კარლსონს ჯერ ინტერვიუ არ ჰქონდა ჩაწერილი და გამოქვეყნებული, რომ წინსწრებით ატეხეს განგაში, ინტერვიუ მოსკოვისადმი სიმპათიით იქნება განმსჭვალულიო. ლუის გარიკანო, ყოფილი ევროპარლამენტარი დაეთანხმა ფერსჰოფტის მოწოდებას და, თავის მხრივ, აღნიშნა, რომ კარლსონი აღარ არის უბრალოდ ჟურნალისტი, ის ევროპის კონტინენტზე ყველაზე სასტიკი რეჟიმის სანქცირებულთა სიაში აღმოჩნდება, რაც, ძირითადად, ევროკავშირის ქვეყნებში მოგზაურობის აკრძალვას გულისხმობს.

პუტინი ესაუბრა ტაკერს და ყველა შეკითხვაზე მაქსიმალურად ამომწურავი პასუხი გასცა პირდაპირ და სახელების დარქმევით, ყოველგვარი მიკიბ-მოკიბვის გარეშე, საკუთარი დასკვნებიც დადო, ჭკუის დარიგება და ირონიაც არ დაიშურა და, ნეტავ, რატომ უნდა დასანქცირდეს ჟურნალისტი პროფესიული მოვალეობის შესრულების გამო? ეს უკვე სხვა და ძალიან ცუდ რამეზე მეტყველებს...

„ეს არანაირად არ არის პრორუსული მიდგომა, არ არის პროუკრაინული ან პროამერიკული, მაგრამ ეწინააღმდეგება ტრადიციული ანგლოსაქსური მედიის პოზიციას — მისი პოზიცია განსხვავდება სხვებისგან“, — განაცხადა კრემლის პრესსპიკერმა დმიტრი პესკოვმა.

ტაკერ კარლსონი დასავლური მედიის პირველი ჟურნალისტია, რომელმაც პუტინთან ინტერვიუ უკრინასთან ომის დაწყების შემდეგ და მისი მიმდინარეობისას ჩაწერა. ტაკერმა ასევე ღია სურვილი გამოთქვა, რომ ინტერვიუ აიღოს ვოლოდიმირ ზელენსკისგანაც.

სანქცია! — სხვა იარაღი და სიტყვა არ აქვს კოლექტიურ დასავლეთს, მაგრამ არ მუშაობს ეს მათი სანქციები რუსეთის წინააღმდეგ და დასაცინი გახდნენ, ბარემ გადაარქვან რუსეთს სახელი და „სანქცია“ დაარქვანო...

ამასწინათ გაეროს უშიშროების საბჭოს სხდომის ტრანსლაციას ვუყურე, მაინტერესებდა, რას იტყოდნენ ახალს და გასაოცარს. გამოვიდნენ: ზელენსკი, ბლინკენი, ლავროვი და სხვანი. ვუსმენდი და ერთი ამბავი გამახსენდა: ორი მომჩივანი მივიდა ბრძენთან. ერთმა თავისი ამბავი უამბო და ბრძენმა გადაუწყვიტა, მართალი ხარო. ახლა მეორემ უამბო თავისი ამბავი და იმასაც იგივე უთხრა, მართალი ხარო. შემსწრემ თავი ვერ შეიკავა და შეედავა ბრძენს, ასე რანაირად იქნება, რომ ორივე ერთდროულად მართალი იყოს ერთსა და იმავე საქმეშიო? ბრძენი დაფიქრდა და — შენც მართალი ხარო, — უპასუხა.

ასეა ამათი და მგონი უკვე მეთორმეტედ სანქციებდაწესებული რუსეთის ამბავიც...

ზურა ოთხერელი

საშობლოს გაბრწყინებაზე მეოცნებე გედია

წავიდა სოსო ჯაჭვლიანი... წავიდა კიდევ ერთი პატრიოტი, სამშობლოზე მოფიქრალი, გულანთებული ქართველი. მთელი ცხოვრება ქვეყნის მტრების წინააღმდეგ ბრძოლას შესწირა. იბრძოდა რეალურ ცხოვრებაშიც და იბრძოდნენ მისი კინოგმირებიც. გედიას ბრძოლა მოძველებულ ტრადიციებთან, ქვეყნის მტრებთან „ნაციონალებთან“ ბრძოლა ჩაანაცვლა. მახსოვს, ერთ-ერთ ინტერვიუში ვკითხე: რომელი ბრძოლა უფრო რთული იყო, გედიასი თუ ჯაჭვლიანის-მეთქი. „როცა პრინციპებს იცავ, ბრძოლა ყოველთვის რთულია. თუ ამას არ აკეთებ, მაშინ ბრძოლას უნდა განერიდო და გვერდზე გადგე. დღეს ტექნოლოგიებთან ბრძოლა რთულია. კომპიუტერს ეშმაკის ყუთს ვეძახი. ადრე უფრო ადვილი იყო, რადგან ზუსტად იცოდი, ვის უნდა შებრძოლებოდი, ხმალს ამოიღებდი და იცოდი, მტერი ვინ იყო, ახლა გვერდით ვირთხასავით დაგტრიალებენ და თურმე შენი დაუძინებელი მტრები არიან. მოვლენებს თვალი მაინც უნდა ვადევნოთ, რათა გავიგოთ, რამხელა ზიზღი და ბოროტებაა დედამიწაზე. ეს კარგად ჩანს, რადგან ლანძღვის, თავზე ლაფის დასხმის, ჩასაფრებულობის მეტი არაფერი ხდება. ბორგავს საწყალი დედამიწა... მერე გიკვირს, რომ რაღაც ისე არ არის, ვერც იქნება, რადგან ჩვენ დედამიწა წყობიდან გამოგვყავს. ამიტომ გედიას ბრძოლა ბევრად ადვილი იყო“, — მითხრა მაშინ გულდაწყვეტილმა.

ხშირად წუხდა, როცა ეუბნებოდნენ, პოლიტიკა მსახიობის საქმე არ არისო. ვის ეძახიან ესენი პოლიტიკოსებს? — მკითხა ერთხელ შეშფოთებულმა, — რა რანგით ვაფასებთ პოლიტიკოსებს? ოცდაათი წელია, მთელი საქართველო პოლიტიკაშია, მაგრამ საქართველოს გაბრწყინების გზას ჯერაც ვერ დავადექით, — სინანულით დაამატა მან.

მუდმივად სამშობლოს გაბრწყინებაზე ოცნებობდა. ფიქრობდა, რომ პარლამენტში პატიოსანი და ღირსეული ადამიანები უნდა ყოფილიყვნენ. „ხშირად დემოკრატიულ საზოგადოებასა და ევროპულ ღირებულებებზე ვლაპარაკობთ. ველოსიპედი უკვე გამოგონილია, მთავარი პოლიტიკური ნება და კანონების აღსრულებაა. ადამიანი გაღვიძების თანავე იწყებს მსახიობობას. პოლიტიკოსიდან დაწყებული, დამლაგებლით დამთავრებული, ყველა მსახიობია და ამ სამყაროში საკუთარ როლს ასრულებს, კარგად თუ ცუდად — ამას საზოგადოება განსჯის. დრო რომ გავა, გაირკვევა, „ვმსახიობობდი,“ თუ ქვეყანას ვემსახურებოდი“.

სოსოს იუმორიც გამორჩეული ჰქონდა. ხშირად ამბობდა, ღმერთმა დაიფაროს ქართველი კაცი იუმორის გარეშეო. თუმცა, ამის შესახებ ხომ ფართო საზოგადოებისთვის ისედაც ცნობილია მისი ფილმებიდანაც.

ამაყობდა, რომ პატიოსანი კაცის სახელი ჰქონდა. ფილმებიც — „სვანი“ და „მაიტა, ნასოსი“ საკუთარი ფულით გადაიღო.

გელათიდან სამებამდე ლუკა კურტანიძესთან და მერაბ შათირიშვილთან ერთად კისერზე ჯაჭვებმობმულმა ფეხით იარა. ეს პროტესტი იყო, რაც სამშობლოსთვის გააკეთა. ამ აქციით სიმბოლურად დააკავშირეს ორი ეპოქა — დავით აღმაშენებლის და დღევანდელი სამება, რომელიც ერის გადარჩენის უდიდესი ძალაა. ეს ორი საკრალური ადგილი სოსო ჯაჭვლიანმა თავისი სიცოცხლის ფასად დააკავშირა ერთმანეთს. სწორედ ეს იყო ამ იდეის დედააზრი. ამ აქციის უკან მხოლოდ სამშობლოს გადარჩენის, მადლიერებისა და მისი დაფასების სურვილი იდგა.

სოსო ჯაჭვლიანმა თავისი ცხოვრებით, საქმით დაამტკიცა, რომ სამშობლო უსაზღვროდ უყვარდა. იგი საქართველოს სიყვარულში იწვოდა და დაიფერფლა. იბრძოდა სოსო და იბრძოდნენ მისი გმირებიც, სოსო — სამშობლოსთვის, გედია — მოძველებული ტრადიციების წინააღმდეგ. სამწუხაროა, რომ უკურნებელ სენთან ბრძოლაში დამარცხდა...

ახლა გედიას და მარიტას სულები ზეცაში შეხვდებიან ერთმანეთს.

გმირებს ნუ დაეჭიდები, სიკვდილო, დამარცხდებიო!

დასრულდა სოსო ჯაჭვლიანის მიწიერი სიცოცხლე, უფალმა გაანათლოს მისი უკვდავი სული.

თამარ შველიძე
„საერთო გაზეთი“

„საერთო გაზეთი“
მწუხარებას გამოთქვამს
გამოჩენილი ქართველი
კომპოზიტორის, მრავალი თაობისთვის
საყვარელი სიმღერების ავტორის,

ვაჟა აზარაშვილის

გარდაცვალების გამო და
თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს
და ქართველ საზოგადოებას.



„საერთო გაზეთის“ მხარდასაჭერი ფონდი ს/ნ 202375349. სს „საქართველოს ბანკი“. კოდი BAGAGE22. ა/ნ GE19BG0000000182763600.

საერთო გაზეთი
შპს საგამომცემლო ცენტრი „საერთო სიტყვა“
მთავარი რედაქტორი: გვანცა ხარჩილავა
რედაქტორი და გამომცემელი: თამარ ბერძენიშვილი
სარედაქციო კოლეგია:
თამარ შველიძე, გია ბურდული, ზურაბ ოშხერელი, ნინო დაუშვილი, ნონა ქარქაშაძე, ლევან ჭიღლაძე (სამართალი), ლევან ბოჭორიშვილი (დამკაბადონებელი), ბელა გველესიანი (ლიტერატურული სტილი და კორექტურა); ბესიკ ცარციძე (გავრცელების მენეჯერი) 599 58 72 50.
http://www.saertomedia.com

მის:. თბილისი, სლავა მეტრეველის ქ. 18;
ტელ.: 593 44-04-01; (რედაქცია)
E-mail: saertogazeti@yahoo.com. http://www.saertomedia.com
რეგისტ. №202375349; უაკ (UDC) 070.23 (479.22) ს-158
გაზეთის გამოწერა შეგიძლიათ შპს
„ელვა-ჯი“-ს მეშვეობით +995 32 238 26 73; +995 32 238 26 74

ISSN 2233-3983
ISBN 977-22333-9800-1
2 008311 231562

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. შესაძლოა, ავტორის პოზიცია არ ეთანხმებოდეს რედაქციის აზრს. ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი. გასაჩივრება შესაძლებელია მასალის გამოქვეყნებიდან ერთი კვირის ვადაში. შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდება.
® ამ ნიშნით აღნიშნულია სარეკლამო მასალები.

იბეჭდება შპს „ასავალ-დასავალის“ სტამბაში. აგლაძის 39. ტელ: 234-39-99